სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამხრეთ კავკასიის რეგიონი და საქართველო, მიმდინარე საფრთხეები და გამოწვევები

SOUTH CAUCASUS REGION AND GEORGIA - CURRENT THREATS AND CHALLENGES

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2022

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამხრეთ კავკასიის რეგიონი და საქართველო, მიმდინარე საფრთხეები და გამოწვევები

SOUTH CAUCASUS REGION AND GEORGIA - CURRENT THREATS AND CHALLENGES

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული
COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

გორი, 2022

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი	
პოლკოვნიკი დავით რაზმაძე	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე
სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე	
პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი
სარედაქციო კოლეგიის წევრები	
პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი
ალექსი ბურდულაძე	აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი
ნანი არაბული	აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ჭიაბრიშვილი	აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
რუსუდან დალაქიშვილი - ჭიჭინაძე	აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გიორგი სხირტლაძე	აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
თინათინ კროპაძე	ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ქეთევან კვესელავა	ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
რედაქტორი/კორექტორი	
ნიკოლოზ ესიტაშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
მთარგმნელი	
იზა ჯანიაშვილი	აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უცხო ენის მთარგმნელი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	
სალომე პოპიაშვილი	ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების მთავარი სპეციალისტი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2022

ISBN 978-9941-8-4587-1

EDITORIAL BOARD

Head of the Editorial Board

Colonel Davit Razmadze	Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili	Head of the Scientific Research Center of the Academy

Members of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze	Head of Baccalaureate of the Academy
Aleksi Burduladze	Acting Head of Informatics Program of Baccalaureate of the Academy
Aleksi Burduladze	Professor of Informatics Program of Baccalaureate of the Academy
Nani Arabuli	Associate Professors of Informatics Program of Baccalaureate of the Academy
Ketevan Chiabrishvili	Acting Head of Management Program of Baccalaureate of the Academy
Rusudan Dalakishvili-Chichinadze	Associate Professors of Management Program of Baccalaureate of the Academy
Giorgi Skhirtladze	Head of Defence and Security Program of Baccalaureate of the Academy
Ketevan Kveselava	Chief Scientist of Scientific-Research Center of the Academy
Tinatin Kropadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of the Academy
Ketevan Kveselava	Chief Scientist of Scientific-Research Center of the Academy

Editor/Corrector

Nikoloz Esitashvili	Chief Researcher of Scientific-Research Center of the Academy

Translator

Iza Janiashvili	Foreign Language Translator of the Academy

Computer Design:

Salome Popiashvili	Chief Specialist in Distance Learning Center Courses of National Defence Academy

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2022

სარჩევი

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობების დინამიკა
მასტერ სერჟანტი აკაკი ბზეკალავა 9

გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ინტერესების განსაზღვრა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში
მასტერ სერჟანტი აკაკი ოზგებიშვილი 18

საქართველოს წინაშე არსებული მიმდინარე რეგიონალური საფრთხეები და მათი გამომწვევი მიზეზები
უფროსი სერჟანტი არჩილ ხანჯალიაშვილი 24

სამხრეთ კავკასიის რეგიონის და საქართელოს, როგორც რეგიონის ნაწილის საფრთხეების და გამოწვევების მიმოხილვა
მასტერ სერჟანტი გივი ბოქოლიშვილი 28

რუსეთის ფედერაციის „საინფორმაციო ომი" საქართველოში
უფროსი სერჟანტი გიორგი მელიქიძე 35

სამხრეთ კავკასიის ისტორიული და პოლიტიკური განვითარება
მასტერ სერჟანტი გიორგი ტარიელაშვილი 38

სამხრეთ კავკასიის რეგიონი, როგორც „ერთი მთლიანობა"
მასტერ სერჟანტი გიორგი ხმიადაშვილი 42

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების: საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ისტორიული მიმოხილვა
უფროსი სერჟანტი ირაკლი უჩაძე 46

სამხრეთ კავკასიის რეგიონი და საქართველო, საფრთხეები და გამოწვევები
მთავარი სერჟანტი კობა ოშხერელი 50

„რბილი ძალის" და საინფორმაციო ომის გავლენა სამხრეთ კავკასიაში
უფროსი სერჟანტი ლერი უშხვანი 61

რუსეთის მანიპულირება სამხრეთ კავკასიის ეთნიკური უმცირესობით რეგიონში იმპერიალისტური ზრახვების განხორციელების მიზნით
უფროსი სერჟანტი მირიან იაკობაშვილი 70

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნები და რუსეთის როლი რეგიონში არსებულ საფრთხეებზე და გამოწვევებზე
მასტერ სერჟანტი ნოდარ გრიგალაშვილი 76

სამხრეთ კავკასია და საქართველო: მიმდინარე საფრთხეები და გამოწვევები
უფროსი სერჟანტი სერგო კანდელაკი 80

CONTENT

DYNAMICS OF POLITICAL RELATIONS OF THE COUNTRIES OF THE SOUTH CAUCASUS REGION - GEORGIA, ARMENIA AND AZERBAIJAN
MASTER SERGEANT AKAKI BZEKALAVA _____ 9

IDENTIFY THE GEOPOLITICAL, GEOSTRATEGIC AND GEOECONOMIC INTERESTS IN THE SOUTH CAUCASUS
MASTER SERGEANT AKAKI OZGEBISHVILI _____ 18

MODERN REGIONAL THREATS FACING GEORGIA AND THEIR CAUSES
SENIOR SERGEANT ARCHIL KHANJALIASHVILI _____ 24

OVERVIEW OF THREATS AND CHALLENGES IN THE SOUTH CAUCASUS REGION AND GEORGIA AS PART OF THE REGION
MASTER SERGEANT GIVI BOKOLISHVILI _____ 28

INFORMATION WARFARE OF THE RUSSIAN FEDERATION IN GEORGIA
SENIOR SERGEANT GIORGI MELIKIDZE _____ 35

HISTORICAL AND POLITICAL DEVELOPMENT OF THE SOUTH CAUCASUS
MASTER SERGEANT GIORGI TARIELASHVILI _____ 38

THE SOUTH CAUCASUS REGION AS "ONE WHOLE"
MASTER SERGEANT GIORGI KHMIADASHVILI _____ 42

HISTORICAL OVERVIEW OF THE COUNTRIES IN THE SOUTH CAUCASUS REGION - GEORGIA,
AZERBAIJAN AND ARMENIA
SENIOR SERGEANT IRAKLI UCHADZE _____ 46

THE SOUTH CAUCASUS REGION AND GEORGIA – THREATS AND CHALLENGES
SENIOR SERGEANT KOBA OSHKHERELI _____ 50

IMPACT OF "SOFT POWER" AND INFORMATION WAR IN THE SOUTH CAUCASUS
SENIOR SERGEANT LERI USHKHANI _____ 61

RUSSIA'S MANIPULATION OF THE ETHNIC MINORITY REGION IN THE SOUTH CAUCASUS AIMING TO CARRY OUT IMPERIALIST INTENTIONS
SENIOR SERGEANT MIRIAN IAKOBASHVILI _____ 70

THE COUNTRIES IN THE SOUTH CAUCASUS REGION AND RUSSIAN CONTRIBUTION TO THE THREATS AND CHALLENGES
MASTER SERGEANT NODAR GRIGALASHVILI _____ 76

SOUTH CAUCASUS AND GEORGIA: CURRENT THREATS AND CHALLENGES
SENIOR SERGEANT SERGO KANDELAKI _____ 80

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობების დინამიკა

მასტერ სერჟანტი აკაკი ბზეკალავა
საქართველოს თავდაცვის ძალების
სპეციალური ოპერაციების ძალების G-5 სამსახური

აბსტრაქტი

ნაშრომზე მუშაობის პროცესში რაც უფრო მეტ მასალას ვეცნობოდი თემასთან დაკავშირებით, მით უფრო ნათელი გახდა მისი მაშტაბურობა და აქტუალურობა, რადგან დღევანდელი სამხრეთ კავკასია დახუნძლულია სხვადასხვა დონის და სპეციფიკის გამოწვევებით როგორებიცაა: საგარეო და შიდა პოლიტკა, ეკონომიკა, უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილს ამძაფრებს რუსეთის საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, არავინ იცის როდის ან რა შედეგით დასრულდება ნახსენები ომი, მაგრამ ცალსახაა, რომ მსოფლიო და მათ შორის სამხრეთ კავკასიაც ვეღარ იქნება ისეთი როგორიც ომამდე იყო. რეგიონის სფეციფიკიდან, გეოპოლოტიკური ისტორიიდან და არსებული გარემოებებიდან გამომდიარე, როგორი შეიძლება იყოს რეგიონის ხვალინდელი დღე?

რელევანტური და ადეკვატური პასუხების ძიებაში, გადავწყვიტე სამხრეთ კავკასიის ბოლო სამი ასწლეულის ისტორიული ფაქტები შემესწავლა უსაფრთხოების და გამოწვევების კუთხით გლობალურ ჭრილში. რაც მომცემდა საშუალებას მეპოვა მსგავსებები წარსულის მოვლენებსა და დღევანდელობას შორის, გამეანალიზებინა პრობლემების გამომწვევი მიზეზები და მათი არმოფხვრისა თუ გადაჭრის გზები.

ფაქტებიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასია მუდამ იყო რეგიონში გლობალური მოთამაშეების ინტერესის სფერო, თუმცა მეფის რუსეთი, საბჭოთა რუსეთი და დღეს უკვე რუსეთის ფედერაცია შავ-სისხლისფერ ზოლად გასდევს რეგიონს თავისი „კეთიმეზობლობით' და „ერთმორწმუნე მხსნელის" მანტიით შემოსილი. ამიტომ სამომავლოდაც რუსეთის მიერ შემოთავაზებულ „„შვიდობას და კეთილდღეობას" სისხლის და ბორკილების გემო ექნება.

საკვანძო სიტყვები: მეფის რუსეთი, საბჭოთა კავშირი, პოსტ-საბჭოთა პერიოდი, NATO და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები, სამომავლო პერსპექტივები.

DYNAMICS OF POLITICAL RELATIONS OF THE COUNTRIES OF THE SOUTH CAUCASUS REGION - GEORGIA, ARMENIA AND AZERBAIJAN

MASTER SERGEANT AKAKI BZEKALAVA
G-5 Section, Special Operations Forces,
Defence Forces of Georgia

ABSTRACT

While working on the paper, the more material I learned about the topic, the clearer its scale and relevance became, as the South Caucasus today is packed full of challenges of different levels and specifics such as foreign and domestic policy, economy, security and territorial integrity. All of the above is exacerbated by Russia's hostilities on the territory of Ukraine. No

one knows when or how the war will come to the end, but it is clear that the whole world, including the South Caucasus, can no longer be like it was before the war. Given the specifics, geopolitical history and current circumstances of the region, what can the region be like for tomorrow?

Looking for the relevant and adequate answers, I decided to study the historical facts of the last three centuries regarding security and challenges in the South Caucasus in a global context, allowing me to find similarities between the events of the past and the present, to analyze the causes of the problems and the ways to eliminate or solve them.

Given the facts, the South Caucasus has always been a field of interest for global players in the region, but Tsarist Russia, Soviet Russia, and today the Russian Federation is a black spot in the region, camouflaged with its good neighborly relations and common faith. That is why the peace and prosperity proposed by Russia will always be associated with blood and shackles.

Keywords: Tsarist Russia, Soviet Union, Post-Soviet Period, Relations between NATO and South Caucasus, Future perspectives.

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი იყო არის და დიდი ალბათობით ისევ დარჩება გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ინტერესების გზაჯვარედინი გლობალური მოთამაშეებისთვის. აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ჩრდილოეთიდან სამხრეთით რეგიონი წარმოადგენდა ერთგვარ გამყოფს ევროპასა და აზიას შორის როგორც კულტურული ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. სამხრეთ კავკასიაში შემავალი სამი სახელმწიფო - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, მიუხედავად მათი დიდი ხნის სამეზობლო ისტორიული წარსულისა წარმოადგენენ ეთნიკურად, რელიგიურად და იდეოლოგიურად განსხვავებულ სახელმწიფოებს, განსხვავებული კულტურით და მსოფმხედველობით.

ისტორიულად რეგიონში, არსებულ საფრთხეებსა თუ გამოწვევებს ზემოთ ნახსენები ქვეყნები განსხვავებული მიდგომებით უმკლავდებოდნენ მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ პრობლემას ანალოგიური ეფექტი ქონდა მათზე. ასევე აღსანიშნავია ინტერესთა ქონფლიქტი თვითონ ქვეყნებს შორის, რაც ხშირ შემთხვევაში რეგიონში მოქმედი გლობალური მოთამაშეების მხარდაჭერით იყო პროვოცირებული.

მთიან ყარაბახში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის 2021 წლის ომმა და რუსეთის ფედერაციის მიერ 2022 წელს უკრაინის ტერიტორიაზე განხორციელებულმა სამხედრო მოქმედებებმა, ცხადყო სამხრეთ კავკასიაში არსებული საფრთხეების და გამოწვევების აქტუალურობა, განსაკუთრებით გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ჭრილში. გეოსტრატეგიული კუთხითაც იკვეთება მოვლენების განვითარების ისეთი მონახაზები, რომლებიც განაპირობებს რეგიონში არსებული მნიშვნელოვანი სტრატეგიული მოთამაშეების გავლენის სფეროების გადანაწილებას, რაც თავისთავად შექმნის ახალ რეალობას სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნებისთვის, რომელიც სავარაუდოდ დატვირთული იქნება გამოწვევებით. [1]

ძირითადი ნაწილი

ისტორიული ფაქტების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია განვიხილოთ სამი ეტაპი: სამხრეთ კავკასია **მეფის რუსეთის დროს**, სამხრეთ კავკასია **საბჭოთა კავშირის ეპოქაში,** სამხრეთ კავკასია **პოსტ-საბჭოთა პერიოდიდან დღემდე.**

მეფის რუსეთი. Tsarist Russia. მე-18 საუკუნის მიწურულს და მე-19 საუკუნის გარიჟრაჟზე სამხრეთ კავკასიაზე გეოსტრატეგიული ზეგავლენის მთავარ პრეტენდენტად მეფის რუსეთი გადაიქცა, მას შემდეგ რაც შესუსტდა სასანიანთა ირანის და ოტომანთა თურქეთის გავლენა რეგიონზე. ამ უკანასკნელთა მრავალგზის ლაშქრობის შედეგად რეგიონის ქვეყნები ფაქტობრივად გაპარტახების პირას იყვნენ მისული, რამაც საშუალება მისცა რუსეთს მხსნელის მანტია მოერგო, რისი თვალსაჩინო მაგალითია 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში მიღებული შეთანხმება[2] (ტრაქტატი) რუსეთ-საქართველოს შორის, რომელსაც მშვიდობა უნდა უზრუნველეყო საქართველოსთვის, თუმცა როგორც მოვლენებმა ცხადყო თავისუფლების სანაცვლოდ, რადგანაც 1810 წლისთვის საქართველოს სრული „რუსიფიქაცია“ წარმატებით განხორციელდა, თუმცაღა ჯერ კიდევ 1795 წელს „ტრაქტატი“[3] ვერ გახდა რუსეთის დაპირების შესრულების გარანტი როდესაც სპარსეთმა თბილისი ააოხრა, თავისუფლება დავკარგეთ და მშვიდობაც არ გვეღირსა. მეფის რუსეთის ისტორიულ ცნობიერებაში რუსეთი არის დაჩაგრული ქრისტიანული სომხეთის და საქართველოს უანგარო მცველი, თუმცაღა ფაქტები ცოტა განსხვავებულად აღწერს მოვლენების განვითარებას, რუსულმა მართმადიდებლურმა ეკლესიამ გააუქმა, საუკუნეებით მასზე ძველი ქართული ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია და ლიტურგიის ენაც კი შეცვალა. გააფთრებულმა რუსიფიკაციამ გამოაღვიძა მიძინებული ეროვნული თვითშეგნება და სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ქვეყნები

1 Racz, “In Russia’s hands”, 2-9.

2 https://gfsis.org.ge/files/my-world/12/06.pdf

3 http://eprints.tsu.ge/473/1/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E2%84%96%205%202012-%20apolon%20tabuashvili.pdf

მიხვდნენ, რომ რუსეთის დაპირებული მშვიდობა მირაჟია თავისუფლების გარეშე და მიუხედავად იმისა, რომ ქართველები გარკვეულ პრივილეგირებულ ნაციას წარმოადგენდნენ რუსეთის იმპერიაში, რუსი საზოგადოება მათ არსებობას საფრთხედ აღიქვამდა. რევოლუციურმა ქარტეხილებმა, 1917 წლისთვის მეფის რუსეთი აიძულა ზეგავლენის სადავეები მოეშვა სამხრეთ კავკასიაში, რასაც მოწმობს ქართველი მენშევიკების ლიდერის და შემდეგ უკვე პრემიერ-მინისტრის 1917 წლის ნოემბრის განცხადება, რომ **„საქართველომ აირჩია დასავლეთის გზა, რომელიც რუსეთზე გადის“** ასე დასრულდა მეფის რუსეთის „გულითადი“ თანადგომის პერიოდი სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც რამდენიმე დეკადა გასტანა და მალევე განიცადა ტრანსფორმაცია რეგიონის „გასაბჭოების“ „საქველმოქმედო“ პროცესში, რომელიც ასევე დიდ ხანს გაგრძელდა. ამ პროცესებს წინ უსწრებდა კიდევ ერთი ისტორიული მოვლენა, რომელიც დღესაც ახდენს გავლენას სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტაბილურობასა და მშვიოდბაზე. ზუსტად აქედან გამომდინარე ვეხებით 1915-1916 წლებში, პირველ მსოფლიო ომის პერიპეტიაში ჩაფლული ოსმალეთის იმპერიის მიერ განხორციელებულ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის (ძირითადად ანატოლიის დაბლობზე იყვნენ დასახლებული), ხოცვასა და თურქეთის ტერიტორიიდან დეპორტაციაზე რა დროსაც დაახლოებით 1,5 მილიონი ადამიანი დაიღუპა. სამართლიანობა მოითხოვს, რომ აღინიშნოს მაშინდელი ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხი მოსახლეობის აგრესიული მოქმედებები, თურქული მოსახლეობის წინააღმდეგ იყო წინაპირობა ზემოთ აღნიშნული მოვლენების ინიცირებისთვის, რაც თავის მხრივ პროვოცირებული იყო მეფის რუსეთის მიერ.

საბჭოთა კავშირი. გასაბჭოების ეპოქა სამხრეთ კავკასიისთვის სათავეს იღებს 1922 წელს, როდესაც ბოლშევიკებმა შექმნეს ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკა (ასფსრ) რომელშიც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი გააერთიანეს. ამ ერთობამ 14 წელი იარსება და შემდეგ „წარმატებით“ ინტეგრირდა სსრკ-ში (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი) 1936 წელს[4]. გასაბჭოების პროცესი არ მიმდინარეობდა სისასტიკის და სისხლისღვრის გარეშე მაგ. 1920 წელს ბაქოს აღების შემდეგ 2700 ადამიანი დახვრიტეს, 1924 წლის[5] აგვისტოში საქართველოში სისხლში ჩაახრჩვეს ეროვნული აჯანყება, უმოწყალოდ დახოცილთა შორის ჭარბობდა საეკლესიო სამღვდელოება და ეროვნული ინტელიგენცია. რაოდენ პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს მეფის რუსეთისგან განსხვავებით გასაბჭოების მთავარი შემომქმედები, სამხრეთ კავკასიაში იყვნენ რუსეთის მიერ იდეოლოგიურად გამოწვრთნილი ადგილობრივი პირები, რომლებსაც სწამდათ, რომ მათი თანამემამულეების ხოცვა-ჟლეტა რუსეთის კეთილი სურვილების განხორციელების ნაწილი და აღქმული მშვიდობის წინაპირობა იყო. 1929 წელს დაწყებულმა მკაცრმა ტრანსფორმაციულმა კამპანიებმა (მაგ. კოლექტივიზაცია), სამხრეთ კავკასიის ისედაც სისხლისგან დაცლილი ქვეყნები შედარებით დაინდო, თუმცა დიდძალი მსხვერპლი გამოიწვია უკრაინასა და ყაზახეთში, რაც კიდევ ერთი თვალნათელი მაგალითი იყო საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ აღქმაში, თუ რას ნიშნავდა დაპირებული „მშვიდობა“. ამ პერიოდს განეკუთვნება საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჩადებული ე.წ **„ნელი მოქმედების ნაღმები“** ავტონომიური ოლქების და რესპუბლიკების სახით (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, აჭარა, მთიანი ყარაბახი), რომელიც დღემდე რჩება რუსეთისთვის მისი გავლენების გავრცელების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად სამხრეთ კავკასიაში. რაც შეეხება მეორე მსოფლლიო ომის პერიოდს, მართალია აქტიურმა საბრძოლო მოქმედებებმა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებამდე ვერ მოაღწია, თუმცა ნიშანდობლივია ამ რეგიონიდან გაღებული ნახევარ მილიონზე მეტი ჯარისკაცის სიცოცხლე იმის გათვალისწინებით,

4 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (შემოკლებით სსრკ, საბჭოთა კავშირი, სსრ კავშირი, საბჭოეთი) — სოციალისტურ-ცენტრალიზებულად მართული მრავალეროვანი სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, ჩრდილო და შუა აზიაში.

5 აგვისტოს აჯანყება — 1924 წელს მომხდარი აჯანყება საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყველაზე მასშტაბური, საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული გამოსვლა საქართველოში. საქართველოს სსრ მთავრობის მიერ შეფასდა, როგორც მენშევიკური ავანტიურა.

რომ რეგიონის მაშინდელი მოსახლეობა 8 მილიონს შეადგენდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ კავკასია მოიცვა საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა რეპრესიაებისა და გადასახლებების ტალღამ, რასაც მოჰყვა ერთგვარი საბჭოთა ფეოდალური მმართველობის ხანა ადგილობრივი კადრების ხელმძღვანელობით[6], რა დროსაც ყვაოდა კორუფცია, ნეპოტიზმი და ჩრდილოვანი ეკონომიკის ქსელები მთელი რეგიონის მაშტაბით. საბჭოთა ხელისუფლება შედარებით რბილად, თუმცა მიზანმიმართულად აგრძელებდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების „რუსიფიკაციას", რაც გამოიხატა ქართული და სომხური ენებზე შეტავით და მათი რუსული ენით ჩანაცვლების მცდელობით, ამან კი 1978 წლის აპრილში თბილისში დიდი საპროტესტო ტალღა გამოიწვია[7], რამაც აიძულა საბჭოთა ხელისუფლება დათმობაზე წასულიყო, ეს მოვლენები შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირის იმპერიაში ბზარის გაჩენის საწყის ეტაპად, რომელიც აქტიურ ფაზაში შევიდიდა 1988 წლიდან და სამხრეთ კავკასია ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ტალღამ მოიცვა. საბჭოთა მანქანა თავისი ჩვეული ხერხებით შეეცადა პროტესტის ჩახშობას და 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მშვიდობიან მოსახლეობას ჯარი დაუპირისპირა[8], დაიღუპა 19 მშვიდობიანი მოქალაქე, ასობით დაშავდა და მოიწამლა. მიუხედავად მცდელობისა, საპროტესტო ტალღამ შეუქცევადი სახე მიიღო და საბჭოთა კავშირის რიგებიდან გამოსვლის განცხადება ერთმანეთის მიყოლებით გააკეთეს საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

პოსტ-საბჭოთა პერიოდი. სამხრეთ კავკასიაში შემავალი ქვეყნებისთვის პოსტ-საბჭოთა პერიოდი საწყისი 1992-2000 წლები საკმაოდ რთული გამოდგა. როგორც ეკონომიკური ისე სოციალური კუთხით რომელსაც გარდა ობიექტური მიზეზებისა. საბჭოთა კავშირის სამართალ მემკვიდრემ რუსეთის ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი სეპარატიზმის გაღვივებით. მან თავისი გავლენების შესანარჩუნებლად აამოქმედა ე.წ „ნელი მოქმედების ნაღმები" ყარაბახის, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სახით. რომელიც მცირე ხანში ფართო მაშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა (მთიანი ყარაბახი 1988 წელი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი 1991-1992 წლები). ამ კონფლიქტებმა რეგიონში ლტოლვილების მასიური ტალღა გამოიწვია. რაც ისედაც რთულ ეკონომიკურ სიტუაციას რეგიონში კიდევ უფრო აუარესებდა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს „მხსენლად" ისევ რუსეთი მოევლინა. რომელმაც სამივე ქვეყანა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა"-ში და „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებ"-ის ქოლგის ქვეშ გააწევრიანა, რეალურად კი რუსეთს უფლება ეძლეოდა სამხედრო ბაზები შეენარჩუნებინა თურქეთის და ირანის საზღვართან, რითაც ასევე შეეძლო გაემყარებინა გავლენა რეგიონში. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის კი რეალურად ისევ ანალოგიური დილემა იყო შეთავაზებული „ან უსაფრთხოება ან სუვერენიტეტი". 2000 წელი სამხრეთ კავკასიისთვის შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვან თარიღად რომელიც განაპირობა ორმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ: **პირველი** ეს იყო რუსეთის ფედერაციის ახალი ლიდერი ვლადიმერ პუტინი და **მეორე** გარე ძალების გამძაფრებული ინტერესი რეგიონის მიმართ რომელიც ძირითადად განპირობებული იყო ენერგო პროდუქტების ექსპორტირებით და სავაჭრო-ეკონომიკური კორიდორის გამოყენებით. აუცილებელია აღინიშნოს კიდევ ერთი ახალი გლობალური მოთამაშის ჩრდილო - ატლანტიკური კავშირის ორგანიზაცია (North Atlantic Treaty Organization) NATO-ს გამოჩენა სამხრეთ კავკასიაში რომლის გააქტიურებაც ამ პერიოდს ემთხვევა.[9]

NATO და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები. 1992 წელს საქართველო,

---

6 ედუარდ შევარდნაძე 1972-1985, კარენ დამირჩიანი 1972-1988, ჰეიდარ ალიევი 1969-1982

7 https://idfi.ge/ge/14_april
გიორგი შარვაშიძე - TSU.ge 18 აპრ.. 2021 წ . — 1978 წლის აპრილში გაზეთ „კომუნისტში" ... მძლავრი საპროტესტო ტალღის წინაშე.

8 9 აპრილის ტრაგედია — 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში მომხდარი სისხლიანი მოვლენები, რაც გამოიხატა საბჭოთა არმიის მიერ ანტისაბჭოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის ძალისმიერ დარბევაში, რის შედეგადაც დაიღუპა 21 და დაშავდა 427 ადამიანი. 9 აპრილის მოვლენებმა წყალგამყოფის როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

9 Halbach, „Russia in the North and South Caucasus between Near Abroad and Inland Abroad", 3-22.

აზერბაიჯანი და სომხეთი შეუერთდნენ ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს. **1994** წელს საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა ხელი მოაწერეს პროგრამა „თანამშრომლობა მშვიდობისათვის“ (Partnership For Pease) ჩარჩო დოკუმენტს. აღნიშნული პროგრამის დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში მონაწილეობა მიიღეს: საქართველომ 1996 წლიდან, აზერბაიჯანმა 1997 წლიდან და სომხეთმა 2002 წლიდან. ეს ფაქტი ლაკმუსის ქაღალდივით თვალნათლივ აჩვენებს პუტინის რუსეთის გავლენის სიძლიერის დონეებს. სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში. რადგანაც ის NATO-ს უმთავრეს მოწინააღმდეგედ აღიქვამს და რეგიონში მისი გავლენის გავრცელებას ყველა მეთოდით ეწინააღმდეგება. მიუხედავად რუსეთის მცდელობებისა 2004 წელს საქართველომ და 2005 წელს აზერბაიჯანმა და სომხეთმა დაასრულეს მათი პირველი „პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა“ („Individual Partnership Action Plan“ IPAP)[10] . მეტ-ნაკლები წარმატებით NATO აგრძელებდა რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთ თანამშრომლობის გაღრმავებას ერთობლივი წვრთნებით, მაგ. წვრთნა, აღჭურვის პროგრმა და საერთაშორისო მისიები, რაც რუსეთისთვის მიუღებელი იყო და ცდილობდა ნებისმიერი გზით პროცეზებზე ზეგავლენის მოხდენას. განსაკუთრებით გამოსაყოფია **NATO**-ს და საქართველოს ურთიერთობების სწრაფი განვითარება 2003 წლის შემდეგ რაც **„ვარდების რევოლუციის“**[11] შედეგად ახალი მთავრობა მოვიდა სათავეში. NATO-საქართველოს ურთიერთობების განვითარება უკუპროპორციული იყო საქართველო-რუსეთის ურთიერთობებისა რომელმაც კულმინაციას მიაღწია 2008 წლის აგვისტოში. რუსეთის მიერ შეთავაზებულ „მშვიდობასა და თავისუფლებას“ შორის საქართველომ არჩევანი თავისუფლებაზე გააკეთა, პუტინის განმარტებით კი ის „ნაციონალიზმს, სეპარატიზმს და ექსტრემიზმს“ ებრძოდა, ყოველივე ამას მოყვა ფართომაშტაბიანი ომი ცხინვალის რეგიონში, 418 დაღუპული, 2232 დაჭრილი, 10 ათასობით იძულებით დევნილი და ათეულობით ოკუპირებული ქართული სოფელი. 2008 წლის შემდეგ NATO-ს და ევროპული თანამეგობრობის არასაკმარისად მკაფიო რეაქციით გათამამებული პუტინის რუსეთი, თავისი გავლენის სფეროების გასავრცობად სამხრეთ კავკასიაში აქტიური საომარი ქმედებებიდან ჰიბრიდული ომის მეთოდებზე გადავიდა და „რბილი ძალის“ გამოყენება დაიწყო. რეგიონში ყველაზე გამორჩეულად „დემოკრატიის დეფიციტის“ მქონე აზერბაიჯანში შეეცადა თავისი ანტიდასავლური და კონსერვატიულ-მორალური იდეების გაღვივებას. მეზობელი ქვეყნებიდან (საქართველოს გამოკლებით) ფაქტიურად იზოლირებაში მყოფი სომხეთი მის ეკონომიკურ წყალობაზე დამოკიდებული გახადა. საქართველოში „ერთმორწმუნე ძმების“ და „ტკბილი საერთო ისტორიის“ სენტიმენტების გაღვივებით შეეცადა დასაყრდენი ეპოვა, როგორც საზოგადოებაში ასევე პოლიტიკურ თუ რელიგიურ ავტორიტეტებში. მას შემდეგ რაც იგივე მეთოდების გამოყენებით პუტინის გეგმა „მარიონეტი მთავრობა“ უკრაინაში ჩაფლავდა იანუკოვიჩის სახით, ის გადავიდა 2008 წელს საქართველოში ნაცად ტაქტიკაზე და 2014 წელს „ნაციონალისტებისაგან“, რუსული მოსახლეობის დაცვის მოტივით ოკუპირება მოახდინა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების, ასევე ყირიმისა და სევასტოპოლის, რითაც მან ნათელი გახადა მისი „იმპერიალისტური“ ოცნების ასრულების ავადმყოფური ჟინი. პარალელურად რუსეთი ხელიდან არ უშვებს შანს თავისი პოზიციები გაიმყაროს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამხრეთ-დასავლეთით და 2013 წლიდან წარმატებით ეხმარება პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს საკუთარი მოსახელობის ამოხოცვასა და ქალაქების განადგურებაში. სირიაში განვითარებული მოვლენები სამხრეთ კავკასიისთვის სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ამ შეიარაღებულ კონფლიქტში ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ რეგიონში გავლენის არსებობაზე პრეტენზიის მქონე ორი დიდი ძალა რუსეთი და თურქეთი, რა დროსაც გეოსტრატეგიულ ჭრილში გამოიკვეთა ორი მნიშვნელოვანი ასპექტი. პირველი - რეგიონში გავლენის შესანარჩუნებლად რუსეთი

10 https://en.wikipedia.org/wiki/Individual_Partnership_Action_Plan

11 „ვარდების რევოლუცია“ — მშვიდობიანი სახალხო გამოსვლების სერია საქართველოში 2003 წლის ნოემბერში

სამხედრო ძალას უყოყმანოდ გამოიყენებს და თურქეთმა უნდა მიიღოს არსებული რეალობა, ხოლო მეორე - რუსეთის „უძლეველი არმია“ არც ისე უძლეველია, როგორც ამას პუტინის რუსეთი წარმოგვიდგენს. ამის მცირე მაშტაბით დემონსტრირებად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2020 წლის სექტემბრიდან მთიან ყარაბახში განვითარებული საომარი მოქმედებები“, სადაც თურქეთის მიერ პოლიტიკურად მხარდაჭერილმა და მილიტარისტულად მომზადებულმა აზერბაიჯანმა, რუსეთის მიერ „მშვიდობა“ შეპირებული და „გიუმრის“ რუსული ბაზით ზურგ გამაგრებული სომხეთი დიდი ადამიანური დანაკარგების ფონზე აიძულა დაეთმო მთიანი ყარაბახის ის ტერიტორიები, რომლებსაც ათწლეულები აკონტროლებდა. რუსეთმა მისი პროტეჟე სომხეთის ინტერესების უგულვებელყოფით მოახერხა ასეთ სიტუაციაშიც მისთვის მეტ-ნაკლებად მისაღების შედეგის მიღება. 2020 წლის 10 ნოემბრის სამმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე[12] მან „სამშვიდობო მისიის“ სტატუსით, მოახერხა რეგიონში მძლავრი სამხედრო ქვედანაყოფის განლაგება და ამავდროულად კონფლიქტის ღიად დატოვება რაც დამატებით ბერკეტს აძლევს იმისთვის, რომ ზეგავლენა მოახდინოს კონფლიქტის მონაწილე მხარეებზე. თუმცაღა თავის მხრივ თურქეთმაც მიაღწია იმას, რომ აიძულა რუსეთი შეეგუოს მის სამხედრო წარმომადგენლობას რეგიონში. 2022 წლის 24 თებერვალში დაწყებულმა მოვლეენებმა რადიკალურად შეცვალა სიტუაცია სამხრეთ კავკასიაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში. თითქმის ორი თვეა რაც რუსეთის უძლეველი არმია შეიჭრა უკრაინის ტერიტორიაზე, მისი „დენაციფიკაციის“ და „დემილიტარიზაციის“ მიზნით, თუმცაღა ამ დრომდე არა თუ სტრატეგიული არამედ ვერცერთი ოპერატიული დონის ამოცანაც კი ვერ აღასრულა. აღნიშნულმა ვითარებამ საინტერესო განვითარება ჰპოვა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მიუხედავად იმის რომ პუტინი პირადად ესაუბრა აზერბაიჯანის და სომხეთის პრეზიდენტებს საბრძოლო მოქმედების დაწყებამდე, ცოტა ხნით ადრე რუსეთის სამხედრო ფიასკოს ალბათობა აზერბაიჯანმა ერთი თვის თავზე მოახდინა თავისი სამხედრო ძალების დემონსტრირება და დაიკავა მთიანი ყარაბახის ის ადგილები (სოფელი „ფარუხი“ და მის გარშემო მყოფი სიმაღლეები), რომელზეც რუსი სამშვიდობოები იდგნენ სანამ მათ პუტინი უკრაინაში გაიხმობდა. თავის მხრივ არსებული რეალობა აიძულებს სომხეთს ახალი გამოსავალი ეძებოს და თურქეთთან განაახლოს მოლაპარაკებები, მოკლედ რომ ვთქვათ რეგიონში ძალთა ბალანსის კარდინალურად შეცვლის გზაგასაყარზე ვიმყოფებით, სადაც რუსეთის ჰეგემონია შეიძლება საგრძნობლად შესუსტდეს, თუმცაღა ამ პერიოდში მომხდარი ერთი პატარა ფაქტი ნათლად ასახავს სამხრეთ კავკასიის შემადგენელი ქვეყნების რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას იმ არასტაბილურ და ტურბულენტურ ვითარების მიმართ, რაშიც რეგიონი იმყოფება. საუბარი მაქვს გაეროში უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის კენჭისყრის შედეგებზე სადაც სომხეთმა-თავი შეიკავა, აზერბაიჯანი- საერთოდ არ დაესწრო კენჭისყრას, საქართველომ-მხარი დაუჭირა. [13]

დასკვნა

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სამხრეთ კავკასია ძირითადად თავისი გეორგრაფიული განლაგების გამო ყოველთვის იყო გლობალური მოთამაშეების ინტერესთა კონფლიქტის „პოლიგონი“,მასში შემავალი ქვეყნები კი თავისი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით, სხვადასხვაგვარად ცდილობდნენ არსებული გამოწვევებს გამკლავებოდნენ. რუსეთის სამხედრო აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ, რეგიონისთვის შექმნა უნიკალური ვითარება, როცა სულ მცირე ბოლო სამი ასწლეულის განმავლობაში რუსეთი მკვეთრად კარგავს შესაძლებლობებს იყოს სამხრეთ კავკასიაში დომინანტი „ინფლუენსერი“. ამის ფონზე რეგიონში თავის ინტერესებს იმყარებს თურქეთი, რომელსაც განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა აზერბაიჯანთან. ირანი როგორც

12 https://netgazeti.ge/news/497181/

13 NATO Overview, Partners in the South Caucasus, 1-7.
Novikova „Triple Blockade. Triangle of relation: Armenia-Azerbaijan-Turkey, 2-13.

რეგიონის მეზობელი დიდი ძალა და ჩინეთი რომელიც არც მანამდე მალავდა თავის დიდ ინტერესს რეგიონის მიმართ. როგორც ისტორიული ფაქტები ცხადყოფს რუსეთის „კეთილმეზობლური“ მიდგომა რეალურად „მშვიდობასა და თავისუფლებას“ შორის არჩევანი იყო ყოველთვის თუმცა არც შეპირებული მშვიდობა იყო გარანტირებული, შესაბამისად საქართველომ ამ ისტორიულ გზაგასაყარზე გონივრულად და თამამად უნდა შეარჩიოს მომავლის კურსი, რომელიც რეალურ განვითარებასა და „თავისუფალი ნების“ ქონის უფლებაზე იქნება ფოკუსირებული, რომელიც ცალსახად შეუთავსებელი იყო რუსეთთან მიმართებაში, რადგან როგორც „ცივი ომის“ დროინდელ ერთ გამონათქვამშია აღწერილი „ რასაც არ უნდა აკეთებდეს რუსი, შედეგად ყოველთვის კალაშნიკოვის ავტომატს ღებულობს“. შესაბამისად მიმდინარე მოვლენები ნათელი მაგალითია იმის, რაც ნაშრომში განხილული ისტორიული ფაქტების მიხედვითაც ცალსახაა კერძოდ, რეგიონში მოქმედი მნიშვნელოვანი მოთამაშეებს შორის რუსეთი არის ყველაზე არაპროგნოზირებადი და არასაიმედო რომელსაც არ ახასიათებს სხვისი ინტერესების გათვალისწინება და შესაბამისად მის ნებისმიერ ქმედებას მოყვება „კალაშნიკოვი“, რომელსაც მხოლოდ შესაბამისი „კალაშნიკოვით“ შეიძლება ესაუბრო, რასაც უკრაინა ამტკიცებს უკვე ორ თვეზე მეტია. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პერსპექტივებს თანამედროვეობის ჭრილში, წარსულის ფაქტებთან ანალოგები აქაც გამოიკვეთა, რომ სამივე ქვეყანა თავისებურად ცდილობს გაუმკლავდეს კიდევ ერთხელ რუსეთისგან გამომდინარე გამოწვევებს უსაფრთხოების კუთხით. აზერბაიჯმა აქცენტი გააკეთა საკუთარი „კალაშნიკოვის“ გამოყენებით რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებაზე მაშინ, როდესაც სომხეთი საბოლოო იმედს ამყარებს „ევრაზიულ კავშირზე“ და რუსეთის უძლეველობაზე დებს ფსონს, საქართველო კი უცნაური „არ გაღიზიანების“ პოლიტიკის გამოყენებით ცდილობს ფონს გასვლას. ნაშორომის დასაწყისში ვახსენე რუსეთ-უკრაინის ომი, რომლიც აუცილებლად შეცვლის არა მარტო რეგიონის არამედ მსოფლიო წესრიგსაც, თუმცა რუსეთს რომ მთელი მსოფლიოსგან განსხვავებული ლოგიკა აქვს (თუ ბელარუსს არ ჩათვლით) და იარაღის ენა, საკმაოდ ადეკვატურად ესმის და ეს უკვე დაამტკიცა. საბოლოოდ ამ მცირე ისტორიული მოკვლევის მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ყველა ქვეყნისთვის რუსეთთან ურთიერთობა იყო ცალსახად უარყოფითი მათთვის მაშინ, როდესაც რაიმე სახის პოზიტივის პოვნა ძალიან რთულია. პრობლემები და გამოწვევები იყო და რეგიონში მოქმედ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთანვ ერთად, თუმცა რუსეთი ამ მხრივ ცალსახად ლიდერია. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სამომავლო პერსპექტივები სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებსა და რუსეთს შორის ვერ ტოვებს ნათელი მომავლის საფუძვლებს, თუ არ შეირჩა რუსეთთან საუბრის და ურთიერთობის ისეთი ფორმა რომელსაც ის გაიგებს რისი უახლესი მაგალითიც არის უკრაინის და მისი მხარდამჭერი ცივილური სამყაროს საუბრის მეთოდი „უძლეველ რუსეთთან“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Akgul M. “THIRD PARTY INVOLVEMENT PROCESS TO THE NAGORNO-KARABAKH CONFLICT”, University of Illinois at Urban-Champaign, 2017.
2. Daskalova A. “Problem or Solution? Russia’s Role in the Nagorno-Karabakh Conflict” Oct 2015.
3. “Turkey’s Role in the Nagorno-Karabakh war: a potential resource for peace”, Caucasus Edition Journal of Conflict Transformation. Jul 2013.
4. Heinrich Boyle Foundation. Author Uwe Halbach „Russia in the North and South Caucasus between Near Abroad and Inland Abroad”, Feb 2018.
5. Heinrich Boyle Foundation. Author Guyane Novikova „Triple Blockade. Triangle of relation: Armenia-Azerbaijan-Turkey, Feb 2018.
6. Andras Racz, “IN RUSSIA’S HANDS Nagorno-Karabakh after the ceasefire agreement”, Apr 2021.

7. NATO Overview, Partners in the South Caucasus, Sep 2007.
8. Ronald Grigor Suny, “The making of Georgian Nation”, Bloomington, Indianapolis 1994.
9. Sergey Markedonov, “Georgian Paradox of Russian Politics”, Apr 2007.
10. Kornely K.kakachia, “Challenges to the South Caucasus regional security aftermath of Russian-Georgian conflict: Hegemonic stability or new partnership?”, Sep 2009.

გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ინტერესების განსაზღვრა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში

მასტერ სერჟანტი აკაკი ოზგებიშვილი
გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონის და საქართველოს, როგორც რეგიონის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის საფრთხეების და გამოწვევების მიმოხილვას. ნაშრომის მიზანია მე-20 საუკუნის დასასრულს რეგიონში განვითარებული გეოპოლიტიკური ცვლილებებიდან გამომდინარე შიდა საფრთხეების და გამოწვევების გაანალიზება, განვითარებული მოვლენების დინამიკის წარმოჩენა სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორებისა და გარემობების გათვალისწინებით.

ჩვენი ნაშრომის მთავარი ამოცანაა გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ინტერესების განსაზღვრა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ნაშრომში ასევე განვიხილავთ რეგიონში შემავალი ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ურთიერთობებს (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი), ასევე რეგიონზე დაინტერესებული სახელმწიფოების (აშშ, რუსეთი, თურქეთი) და საერთაშორისო ორგანიზაციების (NATO, ევროკავშირი) ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის დაშლამ სამხრეთ კავკასიაში გამოიწვია დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბება. აღნიშნულმა ფაქტმა გლობალურ გეოსტრატეგიულ სივრცეში გავლენა იქონია რეგიონში პოლიტიკურ, სტრატეგიულ და ეკონომიკურ ცვლადებზე და მსოფლიოს ძლიერ მოთამაშეთა შორის გამოიწვია ინტერესთა კომფლიქტი, რამაც განაპირობა რეგიონში სხვადასხვა სამხედრო კომფლიქტური ზონების წარმოქმნა. რეგიონში ძირითადად გავლენის სფეროების დაპირისპირებულ მხარეებად შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთის ფედერაცია და აშშ-ს ინტერესთა კომფლიქტი.

საინტერესოდ მიგვაჩნია, სამხრეთ კავკასიაში არსებული სამხედრო კონფლიქტების მოგვარების მიზნით რეგიონში შემავალი ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობების ანალიზი რეგიონალური უსაფრთხოების თვალსაზრისით. არსებული ვითარება და რეგიონის სტაბილურობა კვლავაც აქტუალურია, როგორც საერთაშორისო საზოგადოებაში ასევე რეგიონში შემავალი ქვეყნებისათვის, რადგან არსებობს მთელი რიგი პროცესები და რეგიონის შიდა თუ გარე ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტების დარეგულირებას/მოგვარებას. წარმოდგენილი ნაშრომით ჩვენ შევეცდებით არსებული ვითარების სრულფასოვნად წარმოჩენას და გაანალიზებას.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა კავშირი, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, საფრთხეები და გამოწვევები.

IDENTIFY THE GEOPOLITICAL, GEOSTRATEGIC AND GEOECONOMIC INTERESTS IN THE SOUTH CAUCASUS

MASTER SERGEANT AKAKI OZGEBISHVILI
Giorgi Antsukhelidze Sergeants Academy

ABSTRACT

The present paper is a review of threats and challenges in the South Caucasus region and Georgia as an important part of the region. The paper aims to analyze internal threats and challenges arising from geo-political factors in the region at the end of the 20-th century as well

as to demonstrate the dynamics of the developments given various external and internal agents and circumstances.

The main purpose of the paper is to identify geopolitical, geostrategic and geoeconomic interests throughout the countries of the South Caucasus. The paper will also discuss the political, economic and military relations between regional countries (Georgia, Azerbaijan, Armenia) and other states interested in the region (USA, Russia, Turkey, Iran) as well as the interests of international organizations (NATO, EU).

The collapse of the Soviet Union led to the establishment of independent and sovereign states in the South Caucasus. This fact has affected the political, strategic and economic variables in the global geostrategic space and has led to a conflict of interests between the global powerful players, resulting in the emergence of various military conflict zones in the region. Basically, the Russian Federation and the US can be considered as the main opposing parties in the region having a conflict of interests.

It is interesting to analyze the political relations between the countries in the South Caucasus regarding regional security in order to resolve the current military conflicts in the South Caucasus. The current situation and stability of the region is still relevant for the international community as well as the regional states as there is a large number of processes and regional domestic and external factors that prevent conflicts from being settled / resolved. The present paper attempts to show and analyze the current situation to the full extent.

Key words: Soviet Union, South Caucasus region, threats and challenges.

შესავალი

სამხრეთ კავკასია უძველეს რეგიონს წარმოადგენს თავისი ისტორიით, კულტურით, ეთნიკური მრავალფეროვნებით და გეოგრაფიული მდებარეობით. მისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე არასდროს დაუკარგავს აქტუალობა და ინტერესი, როგორც დასავლური ქვეყნების ასევე რუსეთის ფედერაციის. დროის სხვადასხვა მონაკვეთებში მსოფლიოს ძლიერი და წამყვანი ქვეყნების ლიდერების ცვლილებების მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ არ შეცვლილა გეოპოლიტიკური ინტერესები.

XX საუკუნის ბოლო პერიოდიში საბჭოთა კავშირში ეკონომიკურმა კრიზისმა და გარემო ფაქტორებმა განაპირობა საბჭოთა კავშირის დაშლა. რასაც მოჰყვა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადება, რამაც გეოპოლიტიკურ სივრცეში გამოიწვია ახალი ტერმინის წარმოშობა სამხრეთ კავკასიის რეგიონი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აქტუალური გახდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნების უსაფრთხოება და სტაბილური მდგოარეობის ჩამოყალიბება. თუმცა დღემდე ვერ მოხერხდა აღნიშნული საკითხის მოგვარება რასაც ადასტურებს რეგიონში არსებული გაყინული კომფლიქტები, რაც გამოწვეულია რეგიონში შემავალი ქვეყნების მიერ არჩეული განსხვავებული პოლიტიკური კურსის და ინტერესების გამო, ასევე რუსეთის ფედერაციის და დასავლეთის იტერესების შეუთავსებლობით. აღნიშნული ფაქტორები რეგიონში ქმნის არასტაბილურ ვითარებას, როგორც გაყინული კომფლიქტების გაღვივების, ასევე ახალი საფრთხეების წარმოქმნის საშიშროებას.

სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური ვითარება

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასია გახდა პოტენციური კოლიდორი, რეგიონში არსებული დიდი ენერგო რესურსების მიწოდების შესაძლებლობად დასავლური ქვეყნებისათვის რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით. შესაბამისად რუსეთის ფედერაციის ინტერესებიდან გამომდინარე რეგიონი მუდმუვად განიცდის ზეწოლას რუსეთის მხრიდან და ქმნის დესტაბილიზაციას სამხრეთ კავკასიის რეგიონში. გააღვივა და პროვოცირება მოახდინა ეთნიკური კომფლიქტების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში, ხოლი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიან ყარაბაღში.

ევროკავშირი და აშშ-ი ფიქრობდა რომ რეგიონის უსაფრთხოების საკითხები ერთიან სისტემის ფარგლებში უნდა მოგვარებულიყო მაგრამ დიდი ძალისხმევის მიუხედავად აღნიშნული საკითხი დღემდე პრობლემატურია, რადგან რეგიონში შემავალი სამივე ქვეყანა რადიკალურად განსხვავებულია ეთნიკური, რელიგიური და არამონათესავე ენობრივი თვალსაზრისით, ასევე განსხვავდება სახელმწიფოების მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკური კურსი.

რუსეთის ფედერაციამ როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრემ, გეოგრაფიული ტერიტორიების დაკარგვის მიუხედავად გავლანა მაინც შეინარჩუნა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით. სომხეთი მხარს უჭერს რეგიონში რუსეთის ფედერაციის გავლენის გაფართოებას. ოფიციალური ერევანი გაწევრიანდა დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციაში, რათა უზრუნველყოს საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოება, მასზე ძლიერი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის მქონე აზერბაიჯანის მხრიდან სამხედრო ინტერვენციის შემთხვევაში, რომლის სამხედრო პარტნიორს წარმოადგენს თურქეთი, რისი გარანტორიც არის სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები.

აზერბაიჯანის პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირე თურქეთია და მისი ინტერესებიდან გამომდიარე რეგიონზე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანისთვის მისი ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფანს საქართველო წარმოადგენს ორივე ზემოაღნიშნული ქვეყნისათვის საქართველო სტრატეგიულ პარტნიორად ითვლება, აზერბაიჯანი იმის მიუხედავად, რომ რუსეთი და სომხეთი

სამხედრო მოკავშირეები არიან და ყარაბაღის კონფლიქტით რუსეთი ცდილობს რეგიონში გავლენის არეალის გაფართოებას. აზერბაიჯანი კი ინარჩუნებს სტაბილურ ურთიერთობას რუსეთის ფედერაციასთან.

საქართველოს მიერ არჩეული საგარეო კურსი რომელიც გულისხმობს ევროპის დიდ ოჯახში და ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებას, ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ქვეყნის უსფრთხოების და ქვეყანაში არსებული კომფლიქტების მოგვარების კუთხით. 2008 წლის რუსეთ-საქართველის ომის შემდეგ ქვეყანას გაწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან, დასავლეთმა აზერბაიჯანის ენერგორესურსების საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფნის საშუალებით მოიპოვა გავლენა რეგიონზე რაც ეწინააღმდეგება რუსეთის ფედერაციის ინტერესებს, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში პირდაპირ დაპირისპირებას ერიდება და რეგიონში არასტაბილური ვითარების შესაქმნელად პერიოდულად ეგრეთწოდებულ გაყინული კომფლიქტების გაღვივებას იყენებს არაპირდაპირი გზით, კავკასიაში არსებული კომფლიქტური რაიონები მუდმივად არის საერთაშორისო განხილვის საგანი თუმცა კომფლიქტები დღემდე მოუგავრებელ და პრობლემატურ სკითხს წარმოადგენს რეგიონში. საქართველოში დღეის მდგოარეობით რუსეთის ფედერაციის მიერ მიმდინარეობს მცოცავი ოკუპაცია ეგრედწოდებული დემარკაცია-ბორდერიზაცია და სასაზღვრო ზოლთან შექმნილია სამხედრო იმფრასტრუქტურა, ასევე მნიშვნელოვანია ბოლოს განვითარებული მოვლენები მთიან ყარაბაღში რამაც საბოლოოდ გამოიწვია რეგიონში სამმხრივი შეთანხმების შედეგად რუსული ქვედანაყოფების დამატებითი სამშვიდობო ძალების განლაგება, რაც რუსეთის ფედერაციის გავლენის გაფართოებას წარმოადგენს რეგიონში.

კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნების და თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობები

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენს ეგრეთწოდებულ „აბრეშუმის გზა“-ს რომელიც შავი ზღვის აუზს და კასპიის ზღას მოიცავს, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც რომ ისტორიულად აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებულმა უთანხმოებებმა განაპირობა საქართველო გამხდარიყო ძირითადი სატრანზიტო მაგისტრალი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ენერგორესურსების. შესაბამისად განხორციელდა არაერთი პროექტი აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის რაც წინაპირობა გახდა ამ სამი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად საქართველოს ერევანთან საკმაოდ დაბალანსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა გააჩნია. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რეგიონში არსებული არასტაბილური ვითარებისა (იგულისხმება კომფლიქტური ზონების არსებობა) და გარე ძალების ზეგავლენისა საქართველო წარმატებით ახერხებს სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ორ ქვეყანასთან და თურქეთთან როგორც ეკონომიკურ ისე კულტურულ სფეროში ურთიერთობებს. აღსანიშნავია ტურიზმის განვითარება და საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი სამივე ქვეყანასთან. ასევე დიდი როლი უკავია კავკასიის რეგიონში ეკონომიკის განვითარების კუთხით შეტანილ წვლილს დასავლეთის კერძოდ კი აშშ-ს მიერ განხორციელებულ ფინანსურ მხარდაჭერას, რეგიონში განხორციელებული ენერგოპროექტების მშენებლობაში შეტანილ წვლისა და ძალისხმევას.

საქართველოს და აშშ-ს ურთიერთობები

ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გამოიკვეთა, როდესაც ამერიკის სხვადასხვა მაღალჩინოსნების განცხადებებში გაჟღერებულ იქნა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის პარტნიორად გამოცხადების შესახებ და მეტიც აშშ-ს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული იქნა, რომ კასპიის რეგიონი

წარმოადგენდა აშშ-ს ეროვნული ინტერესების ზონას.

საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, რეგიონში არსებული დაძაბული მდგომარეობიდან გამომდინარე დაუყოვნებლივ დაიწყო თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რამაც დიდი როლი ითამაშა ქვეყნის განვითარებაში, მრავალმხრივ ასპექტში. პოლიტიკურ, ეკონომიკური ქვეყნის დემოკრატიული პრინციპებისა და ღირებულებების განმტკიცების, თავდაცვის უნარიანობის გაძლიერების და უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით.

აშშ-ს და საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობა 2001 წელს დაიწყო, როდესაც საქართველო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეუერთდა და მომზადება დაიწყო შეიარაღებული ძალების, არაერთი პროგრამის გავლით და გადამზადებით საქართველოს არმიის ძალები მონაწილეობდნენ ამერიკელ სამხედროებთან ერთად სხვადასხვა მანდატის ფარგლებში კერძოდ: კოსოვოს, ერაყსა და ავღანეთში, როგორც სტაბილურობის ოპერაციებში ასევე ტერორიზის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არსებული საფრთხეები და გამოწვევები

არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე საქართველო არაერთი პრობლემის და საფრთხის წინაშე დგას თუ გავითვალისწინებთ უახლოეს წარსულში მთიან ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებს და შესაბამისად რეგიონში კიდევ უფრო გაზრდილ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალებს და უკრაინასთან ფართომაშტაბიანმა სამხედრო ინტერვენციამ სრულიად შეცვალა გეოპოლიტიკური ვითარება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით განსაზღვრულია ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები:

1. რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მის მიერ მხარდაჭერილი მარიონეტული რეჟიმების მხრიდან პროვოკაციული ნაბიჯები, რეგიონში ტერორისტების მომზადება და მათი საკუთარი მიზნებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გამოყენება.
2. ოკუპირებულ საზღვართან მაცხოვრებელი მოსახლეობის ტერორი, უკანონო თავისუფლების აღკვეთა და ადამიანის ფუნდამენთური ღირებულებების თავისუფლების დარღვევა.
3. რუსეთის მხრიდან ახალი სამხედრო ინტერვენციის რისკი.
4. სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული კომფლიქტი (მთიანი ყარაბაღი).
5. საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზაციული დანაშაული.
6. ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები.
7. ენერგეტიკული გამოწვევები.
8. კიბერუსაფრთხება.
9. დემოგრაფიული გამოწვევები.

ზემოთ აღნიშნული საფრთხეების, გამოწვევების მოგვარება და ნორმალიზება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარებისა და წინსვლისთვის, თუმცა უკიდურესად მნიშვნელოვანია რუსეთის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი და სამხრთ კავკასიის ორ მეზობელ ქვეყანას შორის არსებული სამხედრო კომფლიქტი.

დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნების მოკლე ისტორია და მათი როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური მიმართულებები, ასევე რუსეთის ფედერაციის და აშშ-ის ინტერესებისამხრეთ კავკასიის რეგიონზე.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი არასდროს დაკარგავს აქტუალობას და ყოველთვის იქნება ახალი კომფლიქტის წარმოქმნის მიზეზი. რაიონში არსებული რესურსების სატრანზიტო დერეფანზე კონტროლის მოპოვება ზემოთხსენებული ორი დიდი სახელმწოფის ინტერესებიდან გამომდინარე. სამხრეთ კავკასია ყოველთვის

წარმოადგენდა გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საკვანძო რაიონს რადგან იგი ითვლება დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ გზაჯვარედინად.

რეგიონში შემავალმა ქვეყნებმა დღემდე ვერ შეძლეს საერთო რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა რაც გამოწვეულია განსხვავებული პოლიტიკური კურსით და რეგიონში არსებული კომფლიქტებით.

საქართველოსთვის უპირველეს პრობლემას წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიები სადაც ვერ ხორციელდება საქართველოს იურისდიქცია და სხვა პროექტები რაც ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარების და უსაფრთხოებისთვის. შესაბამისად აღნიშნული კომფლიქტები უნდა მოგვარდეს დიპლომატიური და მშვიდობიანი ფორმით საერთაშორის ორგანიზაციების ჩართულობით, ასევე მნიშვნელოვანია ყარაბაღის კომფლიქტის მოგვარება რადგან ორ მეზობელ ქვეყანაში არსებული დაპირისპირება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საქართველოზე როგორც ეკონომიკური ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით. შესაბამისად როდესაც საუბარია რეგიონის საერთო უსაფრთხოების სისტემაზე გასათვალისწინებელია რეგიონში არსებული გამოწვევები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ენვერ ჯულიმანი, ნინო ტლაშაძე, ალეკო ცქიტიშვილი „ნდობა და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში“ გამომცემლობა „გლობუსი“ სტამბა. თბილისი 2015 წ.
   http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/gamocemebi/compedium-geo-bo-lo.pdf
2. დ. პაპიაშვილი ,,სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები'' თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2009 წ.
3. https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/cigni_d-pipinashvili_2009.pdf
4. ,,საქართელოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები.
5. https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf

საქართველოს წინაშე არსებული მიმდინარე რეგიონალური საფრთხეები და მათი გამომწვევი მიზეზები

უფროსი სერჟანტი არჩილ ხანჯალიაშვილი
გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია

აბსტრაქტი

ნაშრომში მიმოხილულია რეგიონში მიმდინარე საფრთხეები და მათი გამომწვევი მიზეზები. კონკრეტულად, რუსეთსა და საქართველოს შორის გამართული აფხაზეთის და სამაჩაბლოს, და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარე ყარაბაღის ომები, მიმდინარე თუ გაყინული კონფლიქტები, რომელიც დღესაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის ერთიანობის და სუვერენიტეტის შენარჩუნების საქმეში. საუბარია ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის წარსულ და ამჟამად არსებულ ურთიერთგავლენაზე, რაც პირდაპირ აისახება სახელმწიფოებზე და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს დასავლეთთან ინტეგრირების საკითხში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის რეგიონში ყველა ქვეყანას განსხვავებულია ეროვნული ინტერესი და საგარეო პოლიტიკა გააჩნია, რაც ხშირად, კონფლიქტის საფუძვლად იქცევა ხოლმე. ამ საკითხების გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვას, რომლის გარანტსაც ქვეყნის მხრიდან მართებული და ქმედითი საგარეო პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: შეიარაღებული კონფლიქტები, რეგიონი, საფრთხეები, სუვერენიტეტი, ინტერესები

MODERN REGIONAL THREATS FACING GEORGIA AND THEIR CAUSES

SENIOR SERGEANT ARCHIL KHANJALIASHVILI
Giorgi Antsukhelidze Sergeants Academy

ABSTRACT

The paper discusses the modern threats along with their underlying causes in the region. Specifically, these are the wars of Abkhazia and Samachablo between Russia and Georgia as well as the Karabakh wars between Armenia and Azerbaijan and ongoing or frozen conflicts that still pose a great threat to the preservation of unity and sovereignty of the country. We are talking about the past and present reciprocal influences between the countries that directly affect the states and threaten the integration of both Georgia and other Transcaucasian countries with the West.

At the same time, it should be noted that the national interests and foreign policies of all countries in the Caucasus region are different from one another, thus giving rise to the conflicts. Developing a valid and effective foreign policy is a matter of great importance to resolve these issues that is a guarantee to protect state sovereignty.

Key words: armed conflicts, region, threats, sovereignty, interests

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდება. სამხრეთ კავკასია, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს. იგი მდებარეობს კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის და მოიცავს საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ტერიტორიებს.

საქართველოს, როგორც სამხრეთ კავასიის შემადგენელობაში შემავალ ქვეყანას, 90-იანი წლებიდან მოყოლებული რამოდენიმე შეიარაღებული კონფლიქტი ჰქონდა. აფხაზეთის ომი 1992-1993წლებში გაიმართა. მშვიდობიანი მოსახლეობიდან დაიღუპა 10 ათასზე მეტი ადამიანი, ასეულობით უგზო-უკვლოდ დაიკარგა. 10 ათასამდე დასახიჩრდა და აფხაზეთის ტერიტორიდან იძულებით იქნა გადაადგილებული 300 ათასზე მეტი ადამიანი.

1980-იან წლებში ცხინვალის რეგიონში არსებული ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი და გაღვივებული დაძაბულობა, 1991-1992 წლებში ომში გადაიზარდა.

ასევე, 2008 წელს, არსებულმა კონფლიქტმა კულმინაციას მიაღწია და საბოლოოდ რუსეთ-საქართველოს ომში გადაიზარდა, რომელიც დღესაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის ერთიანობის და სუვერენიტეტის შენარჩუნების საქმეში.

ძირითადი ნაწილი

ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლების გათვალისწინებით(მშპ საერთო მაჩვენებელი) და გაანგარიშებით, ერთ სულ მოსახლეზე საქართველო არასახარბიელო ადგილზეა და ბოლო მონაცემებით, 112 ადგილს იკავებს მსოფლიოში. ჩვენი ქვეყანა ჰუმანური განვითარების ინდექსის მიხედვით 89-ე ადგილზეა. ეს მაჩვენებლები აღნიშნავს, რომ საქართველოს წინაშე რთული ამოცანები დგას. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოსთან მიმართებაში, რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, ყველაზე კარგი ურთიერთობა აქვს. საქართველო ბოლო წლებში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან დიდი ფინანსურ დახმარებას იღებს. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველომ ქმედითი ნაბიჯები გადადგა ევროპის მიმართულებით და ნატოში ინტეგრაციის მიზნით. 2013 წელს, ვილნიუსის სამიტი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოდგა[1], რადგან ამ დროს საქართველომ ევროკავშირთან მიმართებაში პარაფირება დაასრულა, რაც ნიშნავს მეტი ნდობის მოპოვებას და უსაფრთხოების შენარჩუნებას, ასევე თავისუფალი ვაჭრობას და სწრაფ განვითარებას.

რაც შეეხება სომხეთ აზერბაიჯანის ურთიერთობას, დაძაბულობა დაიწყო მთიანი ყარაბაღის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო. 1992 წელს 6 იანვარს, მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პირველმა მოწვევამ მიიღო დეკლარაცია მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის შესახებ. რის შედეგადაც, დაიწყო კონფლიქტი აზერბაიჯანის სამთავრობო ჯარებსა და რეგიონის მოსახლეობის შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის. სომხეთს და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის კონფლიქტი 2020 წელის 17 სექტემბერს დაიწყო და გაგრძელდა აზერბაიჯანული მხარის გამარჯვებით. რის შედეგადაც, აზერბაიჯანულმა მხარემ კონტროლირება მოიპოვა მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე. ეს კონფლიქტი დღესაც მწვავე საფრთხეს წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის, რომელიც ყოველდღე შეიძლება გამწვავდეს და რეგიონში ახალი საფრთხე წარმოქნას.

ასევე აღსანიშნავია საქართველოს გაყინული კონფლიქტები აფხაზეთისა და ჩრდილო ოსეთის რეგიონებს შორის, რომელშიც მცოცავი ოკუპაცია დღესაც მიმდინარეობს და არსებული მდგომარეობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ამჟამინდელი კონფლიქტების მიზეზი სავარაუდოდ, სამხრეთ კავკასიაში ხალხის მასობრივ მიგრაციაა, რამაც რეგიონის „სიჭრელე“ გამოიწვია. შედეგად, კავკასიაში ბევრი სხვადასხვა ენაზე

1 https://mfa.gov.ge/News

მოსაუბრე ენობრივი ჯგუფებია. ამას ემატება გეოგრაფიული იზოლაცია, რადგან კავკსიონი წარმოადგენს არაკონტაქტურ ბარიერს. სწორედ ამით არის სამხრეთ კავკასიაში განპირობებული ეთნიკური და კულტურული თვითმყოფადობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის რეგიონის ქვეყნები გამოუცდელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. შიდა არეულობით გარეშე დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა ისარგებლეს და ეთნიკურ ნიადაგზე გამოწვეული კონფლიქტი წაახალისეს.

XXI საუკუნეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები განსაკუთრებული აქტიურობით და სიმძაფრით ხასიათდება. დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობით, სამხრეთ კავკასია ერთ-ერთ ცხელ წერტილს წარმოადგენს. რეგიონის წინაშე დღის წესრიგში დგას სხვადასხვა ქვეყნების, კერძოდ: რუსული, თურქული, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და დასავლეთის თანმხვედრი პრობლემები, რომელიც ხშირ შემთხვევაში არასასურველ შედეგამდე მიდის, რომელიც ზემო აღნიშნულში არის მოხსენიებული.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი მიიჩნევა საკომუნიკაციო დერეფნად სარკინიგზო, საჰაერო და საგზაო სფეროში. ამიტომ, სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობა წარმოადგენს არა მარტო მოცემული რეგიონის ინტერესების სფეროს, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო რეგიონთაშორის მიმდინარე პროცესებზეც. აქედან გამომდინარე, დიდი გეოეკონომიკური მიზნები გააჩნია ნატოს რეგიონთან მიმართებაში. ნატოს მიერ, სამხრეთ კავკასიას განიხილავენ მეწინავე თავდაცვის სტრატეგიის ტერიტორიად, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობისკენ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს.

ასევე აღსანიშნავია ის, რომ სამხრეთ კავკასია, წარმოადგენს პოტენციურ დერეფანს, სადაც გაედინება ცენტრალური აზიის და ასევე, კასპიის ზღვის ქვეყნებში არსებული რესურსები. ისტორიის წყაროებიდან, ცნობილი „აბრეშუმის გზა“ ზუსტად სამხრეთ კავკასიის რეგიონში გადიოდა[2]. ასევე რეგიონში გადის რკნიგზა, რაც სწრაფად აკავშირებს ევროპულ და აზიურ ქვეყნებს ერთმანეთთან. სწორედ ამ სავაჭრო გზების და დერეფნების საშუვალებით წარმოიქმნება სამხრეთ კავკასიაში ბიზნესისა და ვაჭრობის განვითარება. აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიაში ყოველთვის დაძაბულია მდგომარეობა წანყვანი ქვეყნების(როგორიცაა რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები) ფონზე. ამ ქვეყნებს აქვთ დიდი ინტერესი და პრეტენზიები ქვეყნის ტერიტორიებზე, არსებული დერეფნის კონტროლზე და თავიანთი გავლენის განვითარებაზე, საიდანაც მიღებული იქნა რეგიონში სამი გაყინული კონფლიქტი და შიდა პოლიტიკური უარყოფითი დინამიკა, რომელიც ასევე საფრთხეს უქმინს რეგიონის უსაფრთხოებას.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების დარეგულირებას, ის დამოკიდებულია ეთნო-კონფლიქტური ურთიერთობების დარეგულირებაზე. რომელთა შორის ამ დროისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მთიანი ყარაბახის კონფლიქტია. მოუხედავად დასავლური მხარის და ორგანიზაციების ჩართულობისა, მხარეებს შორის კონფლიქტის დარეგულირების საკითხი ვერ მოგვარდა და ამდროისთვისაც, ქვეყნებს შორის არსებული სიტუაცია შესათანხმებელი დარჩა. გარდა ყარაბახის პრობლემისა, სამხრეთ კავკასის რეგიონში აფხაზეთისა და ეგრედ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ გაყინული კონფლიქტი მწვავე ვითარებაში რჩება. საქართველოს გავლენა მიმართულია იქითკენ, რომ შეამციროს რუსული გავლენა რეგიონზე და დასავლური მეგობარი ქვეყნების დახმარებით მშვიდობიანათ დაიბრუნოს ანექსირებული ტერიტორიები.
მიუხედავად რეგიონის საერთო სოციალისტური წარსულისა, თანამედროვე სამხრეთ კავკასიის თითოეულ ქვეყანაში დღის წესრიგში განსხვავებული გამოწვევები დგას. თუ კი, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, ქვეყნის ძირითად მიზანს ტრანსატლანტიკურ სივრცეში გაწეევრიანება წარმოადგენს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბახის კონფლიქტის მოუგვარებლობა რჩება. იმის მიუხედავად, რომ საკითხი საკმაოდ საინტერესოა, მისი მოგვარება საკმაოდ რთულია, რაც არსებული რთული

2 https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Irakli_Danelia.pdf

სიტუაციის რეგულირებისათვის საჭირო პოლიტიკური ნებით არის განპირობებული. ასევე შესაძლოა, ეს საკითხი გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეცვლით გადაიჭრას.

როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნების წინაშე არსებულ გამოწვევებზე, დასაფიქრებელია საფრთხეზე, რომელიც შესაძლოა დადგეს თურქეთის მიერ „თურქული სამყაროს გაერთიანების“ განზრახვის შემთხვევაში, რასაც ქვეყნის პირველი პირების მიერ წარმოთქმული სიტყვებიც ადასტურებს: „ერთი ერი ორ სხვადასხვა ტერიტორიაზე“[3].

გარდა ამისა, გარკვეულ საფრთხედ შეიძლება მოვიაზროთ რელიგიური იდენტობიდან გამომდინარე, მცირე აზიის ქვენების და სირიის მდგომარეობა, სადაც ისტორიულად ეთნიკური თურქი ხალხი ცხოვრობს.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის ის ქვეყნები, რომლებიც ამ პრობლემის წინაშე დგანან ყველაზე დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ არსებული სიტუაციის და საკუთარი მოქალაქეების მიმართ, რადგან მათ ყველაზე კარგად იციან ის შედეგები, რაც ამ კონფლიქტმა გამოიწვია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყარაბაღის კონფლიქტი სწორედ ის საკითხია, რომლის მოგვარებაც შიდა ძალების მობილიზებით და საერთო ინტერესების გამონახვით არის შესაძლებელი, რადგან მისი მონაწილე მხარეები სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებია. იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი შეძლებენ მესამე მხარის გარეშე, საკუთარი ძალებით საერთო, სამართლიანი გადაწყვეტილებით არსებული კონფლიქტური სიტუაციის დალაგებას, ეს იქნება დიდი პოგრესი და დიდად დაეხმარება რეგიონის პოლიტიკურ განვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ დიდი ხნით დარჩება საკითხი მოუგვარებელი.

ამ სიტუაციის საპირისპირო მოცემულობა გვაქვს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. განსხვავებით სომხეთის და აზარბაიჯანისაგან, რომელთაც სიტუაციის მოგვარება ყოველგვარი მესამე პირის გარეშე შეუძლიათ, ხოლო ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში რუსეთ-საქართველოს ინტერესები სრულიად ეწინააღმდეგება ერთმანეთს და საპირისპირო შინაარსი გააჩნია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https//intermedia.ge/სტატია/57492სამხრეთ-კავკასიის-პრობლემები-და გამოწვევები/26/user:ეკატერინე%20ლაზარაშვილი:show:channel
2. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98_%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90
3. http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Kakhaber%20Kalichava.pdf
4. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Irakli_Danelia.pdf
5. https://www.seu.edu.ge/uploads/files/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%202021%20(1).pdf
6. https://www.seu.edu.ge/uploads/files/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%202021%20(1).pdf

3 https://www.seu.edu.ge/uploads/files

სამხრეთ კავკასიის რეგიონის და საქართველოს, როგორც რეგიონის ნაწილის საფრთხეების და გამოწვევების მიმოხილვა

მასტერ სერჟანტი გივი ბოქოლიშვილი
საქართელოს თავდაცვის ძალების
აღმოსავლეთის სარდლობის შტაბის
G-7-ის სამსახურის სერჟანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონის და საქართელოს, როგორც რეგიონის ნაწილის საფრთხეების და გამოწვევების მიმოხილვას. ნაშრომის მიზანია, გეოპოლიტიკური ცვლადებიდან გამომდინარე რეგიონალური შიდა საფრთხეების და გამოწვევბის გაანალიზება. ჩვენი ნაშრომის მთავარი ამოცანაა რეგიონალური და რეგიონისგარე პოლიტიკური ინტერესების განსაზღვრა. ნაშრომში ასევე განხილულია რეგიონის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი), პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობები რეგიონის გარე (აშშ, რუსეთი, თურქეთი, ირანი) სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (NATO, ევროკავშირი). პოსტსაბჭოთა პერიოდში სუვერენიტეტი სახელმწიფოების შექმნამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ, მსოფლიო პოლიტიკური რუკის კორექტირებამ, სამხრეთ კავკასია კვლავ აქცია მსოფლიოში ერთ-ერთ ცხელ წერტილად. შეგვიძლია გამოვყოთ რუსეთისა და განვითარებული დასავლეთის პოლიტიკურ ინტერესთა დაპირისპირება. საინტერესოა სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნების მიმდინარე კონფლიქტების, პრობლემათა მოგვარების მიზნით პოლიტიკისა და ურთიერთობების ანალიზი. როგორც ვიცით მიმდინარე სიტუაცია და სტაბილურობა კვლავაც რჩება აქტუალურ საკითხად რეგიონში, რადგანაც არსებობს ხელისშემშლე;ლი პროცესები, რომელებიც ხელს უშლიან კონფლიქტების დარეგულირებას. სტატიაში ჩვენ შევეცდებით მიმდინარე მდგომარეობის ობიექტურად წარმოჩენას და გაანალზებას.

საკვანძო სიტყვები: საქართელო, სამხრეთ კავკასია, უსაფრთხოება, სტაბილურობა, ურთიერთობები, კონფლიქტები, საფრთხეები, გამოწვევები.

OVERVIEW OF THREATS AND CHALLENGES IN THE SOUTH CAUCASUS REGION AND GEORGIA AS PART OF THE REGION

MASTER SERGEANT GIVI BOKOLISHVILI
SERGEANT of G-7 SECTION, EASTERN COMMAND,
DEFENCE FORCES OF GEORGIA

ABSTRACT

The present paper is a review of threats and challenges in the South Caucasus region and Georgia as part of the region. The paper aims to analyze regional domestic threats and challenges arising from geo-political factors as well as to show their dynamics given various agents and circumstances. The main purpose here is to identify regional and non-regional geostrategic and geoeconomic interests throughout the countries of the South Caucasus. The paper will also discuss the political, economic and military relations between regional (Georgia, Azerbaijan, Armenia) and non-regional (USA, Russia, Turkey, Iran) countries and international organizations (NATO, EU). The collapse of the USSR and the establishment of sovereign states in the post-Soviet space, thus adjusting the world political map and global geostrategic variables, once again made the South Caucasus one of the hot zones in the world and the object of intersection of geopolitical interests between powerful players. Basically, we can distinguish the clash of po-

litical interests between Russia and the developed West. It is interesting to analyze the policies and relations between the countries in the South Caucasus in order to resolve the conflicts and regional security issues in the South Caucasus. The current situation and stability is still relevant in the region as there is a number of inhibitory processes that prevent conflicts from being resolved, thus classified as frozen conflicts. The present paper attempts to show and analyze the current situation to the full extent.

Keywords: Georgia, South Caucasus, Security, Stability, Relations, Conflicts, Threats, Challenges.

შესავალი

სამხრეთ კავკასია უაღრესად მდიდარი ისტორიის მქონე და უძველესი რეგიონია. მისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე ის ყოველთვის იყო ძლიერი სახელმწიფოებისა თუ სახელმწიფოთა გაერთიანებების ყურადღების ობიექტი. 1989 წელს საბჭოთა კავშირში გამოცხადდა ეკონომიკური კრიზისი ოფიციალურად გამოცხადდა. მან დაკარგა აღმოსავლეთ ევროპის კონტროლი, რადგანაც როგორც ვიცით 1989 წ. დაიწყო კომუნისტური იდეოლოგიის დაცემა. 1991 წლის 26 დეკემბერს კი საბოლოოდ დაიშალა . რის საფუძველზეც სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამმა ქვეყანამ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) გამოცხადება დამოუკიდებლობა. რის შედეგადაც შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზში, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით ჩამოყალიბდა სამხრეთ კავკასიის რეგიონი, რომელიც აერთიანებს სამ სუვერენულ ქვეყანას, საქართელოს, აზერბაიჯანს და სომხეთს.

სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკა

აღსანიშნავია, რომ სამივე ქვეყანას რათქმა განსხვავებული პოლიტიკური ხედვა აქვთ. მაგალითად სომხეთი, იზიარებს რუსეთის გავლენის შენარჩუნებას რეგიონში. აზერბაიჯანი კი თურქეთის მოკავშირედ რჩება. თუმცა ის მაინც ინარჩუნებს ურთიერთობას რუსეთთან. საქართველოს კი კურსი აღებული აქვს ევროპისკენ და სურს ნატოს წევრობა. საქართველომ 2008 წ. მომხდარი ომის შემდეგ შეწყვიტა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები.

თუმცა დრო და დრო მიმდინარეობს საომარი მოქმედებების გაღვივება:

1991 – 1992 წწ - ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტი (ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა);

1991 – 1994 წწ - სომხეთ-აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის შეიარაღებული კონფლიქტი;

1992 – 1993 წწ - აფხაზეთის ომი (ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკა);

2008 წ. - რუსეთ-საქართელოს ომი (საქართელოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული მთავრობები);

2016 წ. - სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღში სამხედრო შეტაკებები;

2020 წ. - სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებული კონფლიქტი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ე. წ. სახრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის შეიარაღებული ძალები დღესაც ეწევა საქართელოს ტერიტორიის მცოცავ ოკუპაციას და განაგრძობს დეფაქტო საზღვრის დემარკაცია-ბორდერიზაციას, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მუდმივად ხდება შედარებით მცირე შეიარაღებული შეტაკებები, მიუხედავად ორივე ქვეყნების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა.

რუსეთი - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა დაკარგა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე და რეგიონში არსებულ სატრანზიტო არტერიებზე კონტროლი, რამაც ხელი გაუხსნა დასავლეთს და კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოძებნოს ახალი ალტერნატიული გზები ცენტრალურ აზიასთან და მის ენერგორესურსებთან. აღსანიშნავია, რომ რუსეთის რთული ეკონონომიკური ფონის მიუხედავად რუსეთი კვლავ რჩება ევროპის ენერგორესურსების ძირითად დონორად (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ ევროპის მთელი რიგი გვეყნების განცხადებებს, რომ 2022 წლის ბოლომდე ყველა ქვეყანა რომელიც დამოკიდებულია რუსულ ენერგორესურსებზე გამოძებნის ალტერნატიულ გზებ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების თავიდან დასაღწევად). რუსეთი 1991 წლიდან ფარული თუ ღია მოქმედებებით ცდილობს ჩაერიოს და მართოს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების საგარეო თუ შიდა პოლიტიკა იმგვარად, რომ კვლავ დარჩეს რეგიონში პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი ,,დირიჟორი'', საბჭოთა კავშირის თანამედროვე ინტერპრეტაციით, რომელსაც ვიცნობთ როგორც ,,ევრაზიული კავშირი'' ცდილობს კვლავ აღადგინოს საბჭოთა იმპერიის დროინდელი გავლენის სფეროები და გახდეს

მთავარი ჰეგემონი. აღნიშნულიდან გამომდინარე სამხრეთ კავკასიის რეგიონში დასავლეთის ინტერესების გააქტიურებას რუსეთი და მისი იმპერიალისტური მთავრობა აღიქვამს ეროვნულ საფრთხედ.

ამერიკის შეერთებული შტატები - ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების გამოვლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე 1990-იანი წლებიდან დაიწყო. აშშ-ს ერთერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მსოფლიო ბაზარზე რუსეთის ენერგოპოზიციების შემცირებას და ზოგადად დასავლეთის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირებას. რასაც რუსეთი უპირისპირებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების დესტაბილიზაციით, რეგიონში არსებული კონფლიქტების მეშვეობით.

აღსანიშნავია რეგიონში ახალდ აღმოცენებული ,,მოთამაშეები'' რომლის ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონზე დღითიდღე იზრდება, ესენია თურქეთი და ირანი. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ რეგიონის კონტროლისათვის რუსეთს ბევრად უადვილდება ურთიერთობები ირანთან და თურქეთთან და ამ ურთიერთობების ფონზე ცდილობს ჩამოიშოროს გარე მოთამაშეები როგორიცაა აშშ და ევროკავშირი.

რეგიონის გარე ურთიერთობები

1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე დღეებიდან, ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების საქმეში, დემოკრატიის გაძლიერების, თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების განმტკიცების, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების ასევე, კულტურული და ხალხთაშორისი კავშირების გამყარების მიმართულებით. ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მომხრე, რაც გაღრმავებულია 2009 წ. 9 იანვარს, ქ. ვაშინგტონში ხელმოწერილი საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტით მე-10 წლისთავთან დაკავშირებით , 2019 წლის 11 ივნისს მიღებულ ერთობლივი დეკლარაციით, რომელშიც კიდევ ერთხელაა დადასტურებული ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპები და ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე მხარდაჭერა საქართველოსადმი.

აღსანიშნავია საქართელოსა და NATO-ს შორის თანამშრომლობა, რომლის საფუძველის ჩაყრაც იწყება 1992 წლიდან. 2022 წლის 7 მარტს, ევროკავშირის საბჭომ განიხილა ევროკავშირთან ასოცირებული საქართველოს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი და მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული განაცხადის ევროკომისიისთვის გადაგზავნასთან დაკავშირებით, განაცხადის შესწავლის მიზნით შესაბამისი პროცედურის დასაწყებად.

რეგიონალური ურთიერთობები

საქართელოს მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობები გააჩნია სამხრეთ კავკასიის რეგიონის დანარჩენ ორ ქვეყანასთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან და ასევე შავი ზღვის რეგიონის წევრ თურქეთის რესპუბლიკასთან.

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია აზერბაიჯანი, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ხორციელდება სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობები . მათ შორის ენერგეტიკული თანამშრომლობა წარმოადგენს უმთავრეს მიმართულებას, აგრეთვე თანამშრომლობა ტურიზმის სფეროშიც წარმატებულად მიმდინარეობს.

აღსაღნიშნავია საქართველოსა და სომხეთს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები, იგი დამყარებულია კეთილმეზობლობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის საფუძველზე. საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია სომხეთის რესპუბლიკა.

საქართველოსა და თურქეთს თანამშრომლობა სტრატეგიულ უფრო ხასიათსაა. თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში

ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. ამასთან, საქართველო დაინტერესებულია გაზარდოს ექსპორტი თურქეთის ბაზარზე. აღსანიშნავია ენერგეტიკული პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, რომლებიც საქართველო-თურქეთის ერთობლივი მუშაობითაა განხორციელებული. ასევე აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტის და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზაციისთვის.

მიმდინარე საფრთხეები და გამოწვევები

დღეის მდგომარეობით საქართელოს წინაშე საკმაოდ ბევრი გამოწვევა და საფრთე არსებობს, გამომდინარე სამხრეთ კავკასიის რეგიონში გაზრდილი უსაფრთხოების მოთხოვნების ფონზე. ასევე მნიშვნელობან როლს თამაშობს რევანდელი რუსეთ-უკრაინის სრულმაშტაბიანი ომი.

საქართელოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტის შესაბამისად ჩამოყალიბებული აქვს მის წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები:

მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების კონფცეფციის დოკუმენტში ჩამოყალიბებული ყველა საკითხი მნიშვნელოვანია და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირი გააჩნიათ სტატიში ვისაუბრებთ, მხოლოდ სამ სამ მათგანზე, რომლებიცაა : **რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი, კავკასიაში არსებული კონფლიქტები, ენერგეტიკული გამოწვევები.**

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მნიშვნელოვანია და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირი გააჩნიათ მინდა ვისაუბრო სამ მათგანზე, რომლებიცაა : **რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი, კავკასიაში არსებული კონფლიქტები, ენერგეტიკული გამოწვევები.**

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის რისკი

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგე, საქართველოს აღებულმა კურსმა დაუბრუნდეს თავის ძველ ევროპულ ოჯახს და გახდეს დასავლური ფასეულობების გამტარებელი, რუსეთი 2008 წელს აიძულა საქართველოზე განეხორციელებინა სამხედრო აგრესია.

დღეისათვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფნა, სამხედრო ბაზების მშენებლობა და მათი შესაძლებლობის ზრდა კატალიზატორია პროვოკაციებისა და შესაძლო სამხედრო აგრესიისთვის. რუსეთის ფედერაცია არღვევს ყველანაირ საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს, არ ასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას რომელიც დაიაოდო 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის. მან აგრეთვე 2008 წ. ომის შემდეგ ხელი შეუშალა და უშლის „საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიისა“ და „ეუთოს მისიის“ მუშაობას,

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ არის რუსული აგრესიის რისკი. თუმცა საქართველოს მიმართ გამოხატული საერთაშორისო მხარდაჭერა, ამ რისკის შემაჩერებელი ფაქტორია.

კავკასიაში არსებული კონფლიქტები

საქართველოს, მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტები, საფრთხეს უქმნის რაც გამოიხატება შემდეგში:

კავკასის რეგიონებშიმიმ მიმდინარე კონფლიქტები უარყოფითად მოქმედებს, სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებაზე და ჰუმანიტარული კრიზისების განვითარების წყაროა. რუსეთი კი ცდილობს საქართველოს წინააღმდეგ აამხედრა რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მოსახლეობა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლის არარსებობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის ტრანსნაციონალური დანაშაულისათვის და ამ პრობლემის ეფექტიანი გადაჭრის

ხელშემშლელი დამატებითი ფაქტორია.

საქართველოსთვის ასევე გამოწვევაა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი. ამ ქვეყნების შეიარაღებული დაპირისპირების განახლება შეასუსტებს სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას და უფრო გაზრდის რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური გავლენას რეგიონში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2020 წლის სომხეთ-აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებისთვის თურქეთი მხრიდან დაინიცირდა პლატფორმა 3+3 ფორმატი, რომელიც მოიცავს სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამ სახელმწიფოს (აზერბაიჯანი სომხეთი და საქართველო) და სამ არარეგიონალურ სახელმწიფოს (თურქეთი, რუსეთი და ირანი). აღნიშნული ფორმატში მონაწილეობა საქართელოს მთავრობამ უარყო, რადგან მიჩნეულია, რომ **„ოკუპანტ ქვეყანასთან ერთად ერთ ფორმატში მონაწილეობა ძალიან გაჭირდება".**

დასკვნა

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევიდან და საფთხიდან გამომდინარე, საქართველოს უმთავრეს გამოწვევად რჩება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე რეგიონალური უსაფრთხოება.

მნიშვნელოვანია ქვეყნის შიდა კონფლიქტების სტაბილიზაცია და დიპლომატიური გზებით, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით მოგვარება. უსაფრთხოების ასპექტი პირდაპირ განაპირობებს, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტს, ასევე მის ეკონომიკური პოტენციალების ზრდა/განვითარებას. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთს, რომელიც კვლავ მთავარ საფრთხედ რჩება, აწყობს და მის ინტერესებში შედის მუდმივად არსებობდეს საქართველოს ტერიდტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტები, და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მარიონეტული მთავრობების ყოლა, რომლის მართვის ძირითადი ბერკეტი მის ხელში იქნება. ასეთ შემთზვევაში მუდმივად ექნება ზეწოლისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების ხარისხის მართვის კონტროლი სადავეები, რითიც შეაფერხებს და გააკონტროლებს დასავლეთის და განვითარებული მსოფლიოს ეკონომიკურ ზრდასა თუ განვითარებას და გაზრდის რუსეთის იმპერიალისტურ სურვილებზე დამოკიდებულს.

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე, რომელსაც ოფიციალური მოსკოვი ნიღბავს, როგორც სპეციალურ ოპერაციას ნეონაცისტების მიმართ, იძულებულია შეამციროს კონტიგენტი და სრული სამხედრო პოტენციალი მიმართოს ომის ზონაში, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საქართელო და სრულიად სამხრეთ კავკასიის რეგიონი რუსეთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვაია.

აღნიშნული ომის ფონზე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი რეგიონში არსებული სატრანზიტო დერეფნების როლი. დღითიდღე იზრდება საქართველოში არსებული საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების და საქართველოს კუთვნილი საზღვაო პორტების მნიშვნელობა და დატვირთვა, რაც საქართელოსთვის არცთუ ისე ახალი გამოწვევაა.

ამრიგად, შეგვიძლია მოვახდინოთ საქართელოსთვის წინაშე არსებული საფრთხებისა და გამოწვევების დეფინიცირება:

საფრთხეები:

- ჩრდილოელი მეზობელის იმპერიალისტური ინტერესები საქართელოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი;
- რუსეთის მუერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და სამშვიდობო მიისიით შენიღბული რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართელოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მთიან ყარაბარში დისლოცირება;
- სამხედრო აგრესიის განახლების რისკები.

გამოწვევები

- ქვეყნის შიგნით არსებული კონფლიქტების დიპლომატიური გზებით

გადაწყვეტა;

- რეგიონში და ქვეყნის შიგნით უსაფრთხოების შენაჩუნება და განმტკიცება;
- სატრანზიტო დერეფნის სტატუსის შენარჩუნება და განვითარება;
- სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების საერთო საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება;
- ინტეგრაცია და გაერთიანება ისეთ სამხედრო და პოლიტიკურ ორგანიზაციებში როგორებიცაა ჩრდილო ატლატიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია და ევროკავშირი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საბჭოთა კავშირის დაშლა — XX საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა პროცესებმა გამოიწვია 1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირის დაშლა და მის ნაცვლად 15 დამოუკიდებელი და 4 თვითგამოცხადებული ან ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.
2. დ. პაპიაშვილი ,,სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები'' თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2009წ.
3. https://mod.gov.ge/ge/page/119/tanamshromloba-ashsh-stan 4. https://mfa.gov.ge/Main-Nav/ForeignPolicy/BilateralRelations - ურთიერთობები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის
4. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations-საქართველოევროკავშირის ურთიერთობები
5. https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations-საქართველოაზერბაიჯანის ურთიერთობები
6. https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf - ,,საქართელოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია,, კავკასიაში არსებული კონფლიქტები გვ.9 - 10

რუსეთის ფედერაციის „საინფორმაციო ომი" საქართველოში

უფროსი სერჟანტი გიორგი მელიქიძე
გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რეგიონი და მასში შემავალი ქვეყნები მოექცნენ დასავლური ქვეყნების ინტერესის ქვეშ, რაც რუსეთისთვის სასიამოვნო მოვლენა არ არის, რადგან რუსეთის ინტერესი ყოველთვის იქნება საბჭოთა კავშირის აღდგენა, რომლის შესახებ მოწოდებებს რუსეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ღიად თუ ფარულად აჟღერებენ. კრემლი, რომელიც არის „ჰიბრიდული ომის" ღირსეული სამართალმემკვიდრე სამხედრო ინტერვენციის შემდეგ, ცდილობს მოსახლეობის დაყოფას, რომლებიც გახდებიან მოწყვლადი სხვადასხვა სახის „ფეიკ-ნიუსების" მიმართ. მოსახლეობის აზრის მართვა და სათავისოდ გამოყენება, რუსეთისთვის მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა, რაც გამოწვეული იქნება თავის გავლენის გასაძლიერებლად სამიზნე ქვეყნებში. საინფორმაციო ომის ერთ-ერთი საუკეთესო იარაღია, საჭიროების შემთხვევაში, მოწყვლადი საზოგადოების აზრით მანიპულირება ან სამიზნე ქვეყანაში მართვადი ქაოსის შექმნა. ჩემი მიზანი არის მკითხველს დავანახო საინფორმაციო ომის ის მეთოდები, რომელზე დაყრდნობითაც ოკუპანტი ქვეყანა ცდილობს გავლენის მოპოვებას საქართველოში და ის მეთოდები, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება მათი ნების მიუხედავად გახდნენ მოწყვლადები რუსული ნარატივის. აღნიშნული მეთოდების დროული აღმოჩენა და მათ წინააღმდეგ ბრძოლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის კეთილდღეობის და ხვალინდელი უკეთესი დღისთვის.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, საქართველო, გავლენა, რბილი ძალა.

INFORMATION WARFARE OF THE RUSSIAN FEDERATION IN GEORGIA

SENIOR SERGEANT GIORGI MELIKIDZE
Giorgi Antsukhelidze Sergeants Academy

ABSTRACT

After the collapse of the Soviet Union, the South Caucasus region and its member states found themselves under the interest of Western countries that is not a favourable thing for Russia, because Russia's interest will always be focused on restoring the Soviet Union that is either overtly or covertly voiced by the Russian political elites. The Kremlin that is a worthy successor to the hybrid warfare after the military intervention is attempting to divide the population who will become vulnerable to various types of fake news. Managing and manipulating public opinion is the best way to achieve the goal that will lead Russia to strengthen its own influence over the target countries. One of the best techniques of information warfare is, if necessary, to manipulate the minds of a vulnerable group of community or even to create managed chaos in the target country. My aim here is to demonstrate the methods of information warfare by which the occupier country is trying to gain influence in Georgia as well as to show the techniques that can make the public vulnerable to the Russian narrative against their will. Discovering and fighting against these methods in a timely manner is of vital importance for the welfare of the country and the better days ahead. Along with the spread of technology, it becomes impossible to filter great deal of information that is disseminated through the Internet or other sources. The media, cyber attacks, internet, social networks, agitators, and so on are the means the aggressor uses to the best of its abilities to spread misinformation and to make information warfare.

Keywords: Russia, Georgia, influence, soft power

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი, მისი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, მუდმივად იყო სხვადასხვა იმპერიების ინტერესის საგანი. ეს მიდგომა შეცვლილი იყო საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან, ისევ მოექცა დასავლური თუ სხვადასხვა ქვეყნების ინტერესის ქვეშ. თითოეული დაინტერესებული ქვეყანა ცდილობს საკუთარი ინტერესების გატარებას გავლენის გასაზრდელად, რასაც ხელს უწყობდა რუსეთის არაკეთილმეზობლური ურთიერთობა რეგიონში შემავალ ქვეყნებთან და განსაკუთრებით აღსანიშნავი არის საქართველოსთან ურთიერთობა, რომელიც არერთხელ აისახა სამხედრო ინტერვენციებით და ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევით, სამხედრო მეთოდებით. რუსეთმა აღნიშნულ რეგიონში და განსაკუთრებით საქართველოში, არაერთხელ სცადა სამხედრო ინტერვენციის გზებით შედეგის მიღწევა, თუმცა ამ ყველაფერმა გამოიწვია საქართველოში რუსეთის ინტერესების შესუსტება, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული მეთოდი იწვევს მოსახლეობის აგრესიას, აგრესორი ქვეყნების მიმართ. ამ ყველაფრის ფონზე კრემლმა მიდგომა შეცვალა და ცდილობს საზოგადოების დაყოფას სხვადასხვა სახის მოწყვლად ჯგუფებად, რომელთა მიმართებაშიც იყენებს უამრავ სხვადასხვა სახის დეზინფორმაციას, რათა შეძლოს ხალხის აზრის მართვა და უარყოფითად განსჭვალვა დასავლური ღირებულებების წინააღმდეგ, რაც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსს. ამ ყველაფერში კრემლი ნამდვილად არის დახელოვნებული და მათთვის ხალხის აზრის მანიპულირების საუკეთესო საშუალებაა.

ტექნოლოგიების გავრცელებასთან ერთად, შეუძლებელი ხდება იმ აუარებელი ინფორმაციის გაფილტვრა, რომელიც ვრცელდება ინტერნეტ თუ სხვა სახის საშუალებებით. აგრესორი, დეზინფორმაციის გავრცელებაში და ,,საინფორმაციო ომის'' წარმოებაში საუკეთესოდ იყენებს შემდეგ საშუალებებს: მედია, კიბერშეტევები, ინტერნეტი, სოციალური ქსელები, აგიტატორები და ა.შ.

ძირითადი ნაწილი

კრემლმა გაანალიზა დასავლური სახელმწიფოებისგან წამოსული კეთილგანწყობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში და მიხვდა, რომ ძალისმიერ მეთოდებს, რომელიც ჩვეული მოვლენა არის მისთვის, ამჯობინებდნენ რეგიონის ქვეყნების დემოკრატიისკენ და განვითარებისკენ აღებულ გეზს, რომელსაც დასავლელი პარტნიორები სთავაზობდნენ აღნიშნული რეგიონის ქვეყნებს. თუ გააგრძელებდა თვითონ აგრესიულ მიდგომებს, უფრო და უფრო ხელს შეუწყობდა ამ მეთოდებით დასავლური ქვეყნების მიდგომას, რომელიც განვთიარებაზე და დემოკრატიაზე არის ორიენტირებული. ამიტომ, მან გადაწყიტა დასავლურ ღირებულებების დაკნინება და მოწყვლადი საზოგადოების აზრების მართვაზე გადავიდა. ის ეხება ისეთ მგრძნობიარე თემებს, რომელიც დაკავშირებული არის რეგიონში არსებული ქვეყნების ტრადიციებთან და ღირებულებებთან. აჟღერებდნენ ისეთ ,,მესიჯებს'' რომლის თანხმადაც ევროპა ორიენტირებულია ქვეყნის ტრადიციების გარყვნასთან, ამ ყველაფერს კი ადასტურებენ არასწორი ფაქტებით, რომელსაც ავრცელებენ მედიის და სოციალური ქსელების მეშვეობით[1]. ჩვეული მოქმედების ტაქტიკა მათვის არის ჯერ ნიადაგის შემზადება და შემდეგ არასწორი გაყალბებული ფაქტების ,,სააშკარაოზე'' გამოტანა. ამ ყველაფერს კი საზოგადოება მოუმზადებელი ხვდება.

პირველ რიგში კრემლმა მიზნად დაისახა იმ სახელმწიფო ინსტიტუტების დაკნინება, რომელიც საზოგადოებაში ნდობის მაღალი მაჩვენებლით სარგებლობს. თუ საზოგადოებას ნდობა დაეკარგება აღნიშნული ისნტიტუტების მიმართ, მათი მართვა უფრო და უფრო მარტივი გახდება. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ეკლესია, სადაც მუდმივად ხდება უცხოური სპეცსამსახურების ჩარევით დაპირისპირება

1 http://eprints.iliauni.edu.ge/9575/1/Pages%20from%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90.pdf.

სასულიერო პირებს შორის. ისმის არერთგვაროვანი განცხადებები და ხდება ფაქტების გამოაშკარავება, რაც დაბნეულ საზოგადოების დიდ ნაწილს გაურკვევლობაში აგდებს, რაც თავისთავად იწვევს უნდობლობას.

პარალელურად ასპარეზზე გამოყავს პრორუსული პარტიები, რომლებიც ცდილობენ პარლამენტში შესვლას და სამწუხაროდ, გამოსდით კიდეც. მათ ნარატივი არის დაფუძნებული დასავლური ღირებულებების კრიტიკაზე, NATO-ს და ევროკავშირში ვერ გაწევრიანებაზე და რუსეთთან მეგობრულ მიდგომაზე, რომელიც გულისხმობს მათი ნარატივის თანახმად ნეიტრალიტეტს, თუცა ამ ყველაფერს ახორციელებენ მცდარი ფაქტების მოყვანით და მუდმივად გაყალბებული ინფორმაციებით[2], პარალელურად მუშობენ საზოგადოების ფსიქოლოგიაზე და თავს ახვევენ ხალხს მითებს რუსულ არმიის უძლეველობაზე და აგრძლებენ მცოცავ ოკუპაციას, რითაც ამტკიცებენ მათ არაკეთილმეგობრულ დამოკიდებულებას. ამ ყველაფრის ფონზე, ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენენ ქართულ საზოგადოებაზე, თუმცა, ამ მხრივ, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა მათ ცივი წყალი გადაასხა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ შედეგის მიუღებლობის შემდეგ, შეცვალეს ნარატივი და ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს უკრაინაში მიმდინარე მოვლენები კრემლის გეგმის მიხედვით მიდის.

პარალელურ რეჟიმში, როდესაც ,,ევროპულ გარყვნილების'' შესახებ გვამცნობს კრემლის ნარატივი[3] ხდება პროვოკაციების მოწყობა, სადაც წინა პლანზე გამოყავთ ის ხალხი, ვის წინააღმდეგაც თვითონ იბრძვიან, რაც რა თქმა უნდა ხელს უწყობს მოსახლეობის აგრესიას და რუსული ნარატივის მართებულობას, ამ ყველაფრის ფონზე კი ქვეყანის შიგნით არის ქვეყნის დესტაბილიზაციის საშიშროება და აღნიშნული ქმედებები უფრო და უფრო აშორებს ევროპულ ღირებულებებს.

დასკვნა

ამრიგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება და შესაბამისად, კრემლიც მიხვდა, რომ საინფორმაციო ომის მეშვეობით და ხალხის აზრის მართვით უფრო ნაკლები რესურსის და მისი გამოაშაკრავების გარეშე შეიძლება იმ შედეგის მიღწევა, რომელსაც ძალისმიერი მეთოდებით მხოლოდ ნაწილობრივ აღწევდა. ძალისმიერი მეთოდებით მას ტერიტორიების მართვის შესაძლებლობა ჰქონდა, სადაც მუდმივად აწყდებოდა მოსახლეობის შეურიგებელ ბრძოლას ოკუპაციის წინააღმდეგ. ამ ეტაპზე, იგი ცდილობს ხალხის მასების აზროვნებაზე გაბატონებას, რომლის შესრულების შემთხვევაშიც საზოგადოების ნების მიუხედავად, თვითონ საზოგადოება ხდება მოწყვლადი აღნიშნული ნარატივის წინაშე, რაც კრემლს მისცემს საშუალებას მიიღოს როგორც ტერიტორიაზე, ასევე ხალხის აზროვნებაზე წვდომა. მათი აპრობირებული მეთოდია შექმნას ,,მართვადი ქაოსი", რაც მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://openscience.ge/bitstream/1/1990/1/Samagistro%20Maisuradze.pdf
2. http://eprints.iliauni.edu.ge/9575/1/Pages%20from%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90.pdf გადამოწმებულია 15.06.2022;
3. https://old.tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=5&tid=6

2 https://openscience.ge/bitstream/1/1990/1/Samagistro%20Maisuradze.pdf

3 იქვე.

სამხრეთ კავკასიის ისტორიული და პოლიტიკური განვითარება

მასტერ სერჟანტი გიორგი ტარიელაშვილი
გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია

აბსტრაქტი

სამხრეთ კავკასია ცენტრალური აზიის და ევროპის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთთან დამაკავშირებელი უძველესი რეგიონია. მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რეგიონი ყოველთვის ექცეოდა დიდი ქვეყნების ყურადღების ცენტრში. თავის მხრივ, მეზობელი სახელმწიფოები კი ცდილობდნენ, რომ ყველას თავისი გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიის ინტერესები გაეტარებინათ რეგიონში. ხშირად იცვლებოდა ვითარება, მაგრამ გეოსტრატეგიული ინტერესები თანდათან მატულობდა. სამხრეთ კავკასიის რეგიონში პატარა ქვეყნები შეზღუდული იყო პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური თვალსაზრისით, რაც განაპირობებდა მათ დახმარებას. მაგრამ მეზობელ სახელმწიფოებს აღებული ჰქონდათ სხვადასხვა პოლიტიკური კურსი, რაც რეგიონის განვითარებისთვის ხელის შემშლელი იყო. ასევე აღსანიშნავია რეგიონში ტერიტორიული დაპირისპირებები ისეთ დაინტერესებულ ქვეყნებს შორის, როგორიცაა: რუსეთი, აშშ–ი და თურქეთი, რომლებიც ცდილობდნენ რეგიონში თავისი ინტერესების გატარებას, გავლენების გაძლიერებას და შესაბამისად, დიდ გავლენას ახდენდნენ კიდეც.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, პოლიტიკა, გამოწვევები, სატრანზიტო ფუნქცია.

HISTORICAL AND POLITICAL DEVELOPMENT OF THE SOUTH CAUCASUS

MASTER SERGEANT GIORGI TARIELASHVILI
Giorgi Antsukhelidze Sergeants Academy

ABSTRACT

The South Caucasus is an ancient region that connected Central Asia, Europe, the Middle East and Russia to one another. Due to its geographic location, the region has always been in the limelight of big nations. Neighboring states, in turn, have been trying to pursue their own geopolitical, geoeconomic and geostrategic interests in the region. The situation changed frequently but the geostrategic interests increased little by little. Small countries in the South Caucasus region were limited regarding politics, military, economics, and finance that led other nations to help them. However, the neighboring states had different political orientations that hampered the development of the region. It is also worthy to mention the territorial disputes in the region between interested countries such as Russia, the United States and Turkey, attempting to pursue their interests in the region, strengthening their impact and, consequently, they really had a great influence.

Keywords: Conflict, Policy, Challenges, Transit Function.

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი კავკასიონის ქედის სამხრეთი ნაწილია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომელ პერიოდშიც იყო ეკონომიკური კრიზისი, სამივე ქვეყანამ, მიუხედავად რუსეთის დიდი წინააღმდეგობისა, გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.[1]

აღნიშნული სახელმწიფოები, რაშიც იყვნენ გამოუცდელები, შიდა არეულობით დაინტერესებული სახელმწიფოები სარგებლობდნენ და რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეთნიკურ ნიადაგზე გამოწვეულ კონფლიქტებს ახალისებდნენ. სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებმა განსაკუთრებული პრობლემები გააჩინა. სამხრეთ კავკასიის არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ცხადყოფდა, რომ რეგიონის განვითარებისთვის ხელის შემშლელი იყო. რეგიონში მწვავე იყო რუსული, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული და დასავლური ინტერესების პროცესები, რაც იწვევდა უარყოფით შედეგებს. ქვეყნებს შორის სამხრეთ კავკასიაში ურთიერთობა მუდმივად დაძაბულია, გამომდინარე იქიდან, რომ აქვთ თავიანთი და სხვადასხვა ინტერესები რეგიონის მიმართ, ტერიტორიებთან დაკავშირებული გაურკვევლობა და შიდაპოლიტიკური სხვადასხვა ინტერესები. რეგიონის განვითარება უკავშირდება პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტების დარეგულირებას, რომელთა შორის არის: აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბახის კონფლიქტები. მთიანი ყარაბახის კონფლიქტის დროს, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა, შეთავაზება, რომ კონფლიქტი მოგვარებული ყოფილიყო, მცდელობები უშედეგო იყო და ვერ შეთანხმდნენ სომხეთი და აზერბაიჯანი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემის გადაჭრაში დასავლეთი დაინტერესებულია და მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოლაპარაკების წარმოება, რათა მხარეები წავიდნენ კომპრომისზე კონფლიქტის დარეგულირების მიზნით.

უსაფრთხოების გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში

ყარაბახის განახლებულმა კონფლიქტმა მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონში უსაფრთხოების საკითხი. ომში ჰიბრიდული მოქმედებების განხორციელებამ აზერბაიჯანს აშკარა უპირატესობა მოაპოვებინა, ხოლო სომხეთმა დაკარგა სამხედრო ტექნიკა და მიიღო დიდძალი ფინანსური ზარალი[2]. ამ კონფლიქტის გაგრძელებამ, რუსეთის ,,სამშვიდობო მისიის“ სახით , მნიშვნელოვანი საფრთხეები გამოიწვია, როგორც სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, ასევე საქართველოსთვის. ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო დიდი საფრთხის გამოწვევების წინაშე დააყენებს. ახლა უკვე რეგიონში ორივე მხრიდან გვესაზღვრება რუსი მშვიდობისმყოფელები, რაც რუსეთის ძირითადი მიზანია - რეგიონში ტოტალური გავლენის მოპოვება[3]. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციას ,,ნატოს“/დასავლეთს დიდი ინტერესი აქვს რეგიონზე, მაგრამ ,,გაყინული“ კონლიქტების მოგვარებაში და კრიზისების აღმოფხვრაში პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ის თავისი წევრი ქვეყნების საზღვრებს არ ცდება. დიპლომატიური ურთიერთობების ნაკლებობა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რუსეთის გაზრდილი ინტერესები რეგიონში და ნატოს არარსებობა, ქმნის არასტაბილურ მდგომარეობას, რაც ეხმარება რუსეთს კიდევ უფრო გააძლიეროს პოზიციები სომხეთის მხრიდან და ცდილობს მეტი ინტერესები გაატაროს არსებულ რეგიონში[4]. მთიანი ყარაბახის ომის დროს, ორივე ქვეყანას, სომხეთსა და აზერბაიჯანს რუსეთთან კავშირი ჰქონდათ, როგორც ღია, ისე ფარული მოლაპარაკებები. კონფლიქტის ერთ ღამეში შეწყვეტა მას მიუთითებს. ასეთი ვითარება კი, რუსეთის დიდ გავლენებზე მიუთითებს. სამხრეთ კავკასიის რეგიონის დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა

1 Nasirov, E. (2017). The South Caucaus: A Playground Between NATO and Russia? Connections, 47-56.

2 Koberidze, G. (2020). Nagorno-Karabakh War - Regional and Global Consequences. Foreign Policy Council.

3 ბათიაშვილი, ზ. (2020). gfsis.org. Retrieved from gfsis.org: https://www.gfsis.org/ge/blog/view/1105

4 Nasirov, E. (2017). The South Caucaus: A Playground Between NATO and Russia? Connections, 47-56.

აშშ–ის, რუსეთის მხრიიდან, მაგრამ თუ ვიტყვით იმას რომ, დიდი ინტერესის მიუხედავად, ორგანიზაციების არამყისიერმა რეაგირებამ, რუსეთს საშუალება მისცა გამოეყენებინა არსებული მდგომარეობა და რეგიონში დომინანტური მდგომარეობაში ჩამდგარიყო. დასავლეთის და სამხრეთ კავკასიის თანამშრომლური ურთიერთობა განსხვავებულია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოების შემთხვევაში. საქართველო და აზერბაიჯანი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დიდი ძალით არიან ჩართული სამშვიდობო მისიებში, ბალკანეთსა და ავღანეთში, რაც უფრო მეტად დააახლოვებულს აჩენს ალიანსთან. ჩრდილო კავკასიის ქვეყნების ასეთი მოქმედებები რუსეთს სასტიკად აღიზიანებს. ცდილობს მეტი კონტროლი იქონიოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე, რათა მის საზღვრებთან ახლოს არ იყოს ალიანსი. რაც შეეხება სომხეთს, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა ინტეგრაციას ნატოს პროგრამებში და აქტიურად მონაწილეობდა, რუსეთის მხრიდან გაკეთებული განცხადებები მასზე დიდ გავლენას ახდენდა. ის რუსეთზე დამოკიდებული აღმოჩნდა როგორც ეკონომიკურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით. სომხეთი რუსეთს მიიჩნევდა ერთადერთი მნიშვნელოვან ძალად თურქული საფრთხისგან თავდაცვის საკითხში. სამხრეთ კავკასია რუსეთისთვის და აშშ–ისთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

საქართველოში მიმდინარე საფრთხეები და გამოწვევები

გარდა ყარაბახის პრობლემისა, რეგიონში დგას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის არსებული ვითარება. ამის ნათელი მაგალითია ოსური მოსახლეობა, რომელიც ცდილობს და მიისწრაფვის სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის გაერთიანებისა და საქართველოსგან გამოყოფისაკენ. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ეროვნული უმცირესობები, როგორიცაა ასევე აფხაზეთი, რომელიც დაუპირისპირდა საქართველოს, მოითხოვდა საქართველოდან გამოყოფას, რომელის ეთნიკური წმენდაც ჩაატარეს ქართველების მხრიდან წინააღმდეგობის მოსასპობად. რაშიც რუსეთი ხელს უწუობდა სეპარატისტებს, როგორც აფხაზეთის შემთხვევაში, ასევე სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში. ამ კონფლიქტებმა ჩამოშალა ორივე რეგიონში, როგორც ინფრასტრუქტურა და ეკონომიკა, ასევე გაიზარდა იძულებულ გადაადგილებულ პირთა რაოდენობა. ნათლად ჩანს, რომ რუსეთმა თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა. 2008 წლის ომმა დაგვანახა რუსეთის, როგორც დამპყრობელის მისწრაფებები. ზოგადი სურათი რადიკალურად შეიცვალა არსებული მოქმედებების შემდეგ. ამ ფაქტის გარდა, რუსეთი ყოველთვის ცდილობს არსებულ რეგიონში დომინირებას. საქართველო თავისი სტრატეგიიდან გამომდინარე, ცდილობს როგორმე შეასუსტოს რუსეთის გავლენა კონფლიქტის რეგიონებში და გაამლიეროს კეთილმოსურნეთა გავლენა. თუკი შესაბამისი პასუხი არ იქნება გაცემული რეგიონში უსარფხოების გამოწვევებზე, სიტუაცია მნიშვნელოვნად დაიძაბება და რუსეთი დარჩება არსებული სიტუაციის მაკონტროლებლად. სწორედ ამიტომ, რეგიონში არსებული სახელმწიფოების მხარდაჭერა თავდაცვის და ეკონომიკურ სფეროში მნიშვნელოვანია, რათა შესაძლებელი გახდეს სტაბილურობისა და ძალაუფლების შენარჩუნება.

საქართველო, აზერბაიჯანი,და სომხეთი სრულიად განსხვავებული გამოწვევების წინაშე დგანან, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე სოციალური კუთხით. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად კი განსხვავებულ გზებს ირჩევენ. საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით ევროპისკენ ისწრაფვის. აზერბაიჯანი ირგებს ენერგეტიკის მწარმოებელი ქვეყნის სტატუსს და უპირატესობას და დასავლეთის მიერ დაწესებული ნორმების შემოღებას აჭიანურებს. სომხეთსი კი ევრაზიულ კავშირში შევიდა. რათქმა უნდა ქვეყნების ენერგეტიკული მახასიათებლებიც განსხვავებულია. საქართველოს სურს მის ტერიტორიაზე არსებული ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურების მაქსიმალურად ათვისება. აზერბაიჯანი ცდილობს თავისი რესურსების საექსპორტო ბაზრების გაფართოებას[5].

5 ბათიაშვილი, ზ. (2020). gfsis.org. Retrieved from gfsis.org: https://www.gfsis.org/ge/blog/view/1105

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების მიერ აღებული სხვადასხვა პოლიტიკური კურსი და რეგიონში არსებული ტერიტორიული დაპირისპირებები, რეგიონის განვითარებისთვის და მათ შორის, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, უდავოდ ხელის შემშლელი ფაქტორია. ასევე აღსანიშნავია, რომ მათ მიერ საკუთარი ინტერესების გატარებას, გავლენების გაძლიერებას და შესაბამისად, დიდი გავლენის მოხდენას განსაკუთრებული უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ქვეყნის მემკვიდრეობის რეორგანიზაცია და ამასთან, ჩამოყალიბდეს გამართული სამართლებრივი, კომუნიკაციური, სატარიფო და სადაზღვეო სისტემები. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი საერთაშორისო სატრანზიტო ფუნქციის მატარებელი ქვეყნის, სტატუსის შენარჩუნებას და საერთაშორისო ასპარეზზე მისი არსებობის და ფუნქციების გაძლიერების საკითხს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Nasirov, E. (2017). The South Caucaus: A Playground Between NATO and Russia? Connections, 47-56.
2. Koberidze, G. (2020). Nagorno-Karabakh War - Regional and Global Consequences. Foreign Policy Council.
3. ბათიაშვილი, ზ. (2020). gfsis.org. Retrieved from gfsis.org: https://www.gfsis.org/ge/blog/view/1105
4. Nasirov, E. (2017). The South Caucaus: A Playground Between NATO and Russia? Connections, 47-56
5. ბათიაშვილი, ზ. (2020). gfsis.org. Retrieved from gfsis.org: https://www.gfsis.org/ge/blog/view/110 1. Nasirov, E. (2017). The South Caucaus: A Playground Between NATO and Russia? Connections, 47-56.
6. Koberidze, G. (2020). Nagorno-Karabakh War - Regional and Global Consequences. Foreign Policy Council.
7. ბათიაშვილი, ზ. (2020). gfsis.org. Retrieved from gfsis.org: https://www.gfsis.org/ge/blog/view/1105
8. Nasirov, E. (2017). The South Caucaus: A Playground Between NATO and Russia? Connections, 47-56
9. ბათიაშვილი, ზ. (2020). gfsis.org. Retrieved from gfsis.org: https://www.gfsis.org/ge/blog/view/110

სამხრეთ კავკასიის რეგიონი, როგორც „ერთი მთლიანობა“

მასტერ სერჟანტი გიორგი ხმიადაშვილი
გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში ვეცადე გადმომეცა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ისტორიული ასპექტები, მისი გეოგრაფიული მახასიათებლები, მათ წინაშე არსებული საფრთხეები და ის პერსპექტივები, რაც არსებობს იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რაც დღეს აქვთ რეგიონის სახელმწიფოებს. საკითხის დასმას განაპირობებს ამიერკავკასიის ქვეყნების დამოკიდებულების გადახედვა მეზობელ „არაკეთილმოსურნე“ სახელმწიფოებთან, რომლებიც განსაკუთრებული აუცილებლობის ურთიერთობას „აიძულებენ“ რეგიონის ქვეყნებს. რესურსების სიმდიდრით გამორჩეულ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხის გონივრულად გაანალიზება და საერთო აზრამდე მისვლაა საჭიროა იმის გასააზრებლად, რომ შეიარაღებული დაპირისპირება ნებისმიერი ქვეყნის და მათ შორის, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის უსაფრთხოების შესუსტებას გამოიწვევს. ეს პროცესი კი, თავისთავად, რეგიონის ქვეყნებზე რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური გავლენის ზრდას გამოიწვევს.

საკვანძო სიტყვები: ამიერკავკასია, რესურსები, შეიარაღებული დაპირისპირება.

THE SOUTH CAUCASUS REGION AS “ONE WHOLE”

MASTER SERGEANT GIORGI KHMIADASHVILI
Giorgi Antsukhelidze Sergeants Academy

ABSTRACT

The present paper aims to demonstrate the historical aspects, geographical features, modern threats and current perspectives for the countries of the South Caucasus at the given moment. This issue is raised by the review of the relations of the Transcaucasian countries with the neighboring “unfriendly” states that force the countries of the region to have special relations. It is necessary to reasonably analyze the issue of relations with the countries rich in resources and to come to the general opinion in order to understand that the armed confrontation will only weaken the security of all three countries in the South Caucasus and help increase the political influence of the Russian Federation in the region.

Key words: Transcaucasia, resources, armed confrontation.

შესავალი

სამხრეთ კავკასიის მდებარეობა და ისტორია

სამხრეთ კავკასიას, რომელიც განთავსებულია გარკვეულ ტერიტორიაზე, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის და რომელსაც კავკასიონის ქედი ორ ნაწილად ჰყოფს, (ჩრდილო და სამხრეთ კავკასიად), მოიხსენიებენ როგორც ამიერკავკასია. ეს არის განმარტებული, როგორც კავკასიონის ქედის სამხრეთ რეგიონი. „ამიერკავკასია“ მეოცე საუკუნის ტერმინია, რომელიც რუსულიდან მომდინარეობს და „კავკასიის ქედს მიღმა არსებულს“ ნიშნავს. დღესდღეობით კი, სამხრეთ კავკასიის ტერმინით არის ცნობილი. გარკვეული მეცნიერების აზრით, „კავკასია“ ბერძნულიდან არის წარმოქმნილი და „კაუკასოს“ უკავშირდება. ამგვარად, „კავკასია“ გეოგრაფიულად წარმოადგენს სამხრეთ კავკასია პატარა, მჭიდროდ დასახლებული რეგიონია კავკასიონის სამხრეთ ნაწილში. კავკასიონის მაღალმთიანი რეგიონი ძირითადად საქართველოს შემადგენლობაში შედის. სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებით ცნობები ძვ.წ.აღ. V საუკუნეში გვხვდება, როდესაც ჰეროდოტე აღწერს კოლხებს და მათ მუქკანიან ეგვიპტელებად მოიხსენიებს. ასევ, ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი, მოგვიანებით სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებლებს აღწერს და აღნიშნავს, რომ ისინი კავკასიას უწოდებენ „კასპიას“[1]. არსებობდა მოსაზრება, რომ აფრიკის შემდეგ პირველი ადამიანები საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ეს დადასტურდა დმანისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სადაც აღმოჩენილი იქნა ქალისა და მამაკაცის ძვლები, რომელსაც ზეზვა და მზია ეწოდა და 1.8-1,7 მილიონი წლით თარიღდება. აქედან გამომდინარე, სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ მზია და ზეზვა პირველი ევროპელები არიან.

ძირითადი ნაწილი

სამხრეთ კავკასია, თავის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილია და მასზე გავლენის მოპოვებას და კონტროლს ოდითგანვე ცდილობდნენ ისეთი ქვეყნები და იმპერიები როგორიცაა: აქემენიანები, პართია, ბიზანტია, მონღოლები, არაბები, ირანელები, ოსმალები, რომისა და რუსეთის იმპერია. თითოეულმა მათგანმა თავისი კვალი დატოვა საკუთარი სარწმუნოებით და კულტურით. სამხრეთ კავკასიის რეგიონი სამართლიანად მიიჩნევა აზიისა და ევროპის ხიდად, რადგან ეს არის დერეფანი რომელზეც ოდითგანვე გადიოდა საქარავნე გზა ეგრეთ წოდებული „აბრეშუმის გზა“. თუმცა, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან სამხრეთ კავკასიაზე რუსეთის იმპერია გაბატონდა. მან თავის გავლენის ქვეშ მოაქცია საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1918 წელს სამივე ქვეყანამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მათ შორის საქართველომ ყველაზე დიდხანს, 1921 წლამდე მოახერხა შეენარჩუნებინა ეს სტატუსი და საკუთარი კონსტიტუციის შექმნაც კი მოასწრო, რომელიც დასავლურმა ქვეყნებმა აღიარეს. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შემდეგ, რუსეთმა მოახდინა საქართველოს გასაბჭოება. ეს იყო უმძიმესი პერიოდი. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ყველა მოსაზღვრე ქვეყანამ მიიტაცა. საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. სომხეთმაც იმავე წლის 23 სექტემბერს გამოაცხადა საბჭოთა კავშირიდან გასვლა, ხოლო ცოტა მოგვიანებით, 18 ოქტომბერს აზერბაიჯანმაც მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. სამივე სახელმწიფომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, განვითარების განსახვავებული გზა აირჩია. ე.წ.“ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველომ მიზნად დაისახა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება. სომხეთი აგრძელებს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობებს, ხოლო აზერბაიჯანმა რუსეთის მაგივრად, თურქეთი და ნატოს სხვა წევრი ქვეყნები აირჩია სტრატეგიულ პარტნიორად.

განვითარების სხვადასხვა მიმართულების მიუხედავად, სამხრეთ კავკასიის რეგიონი „მომგებიანი სტრატეგიული პოზიციის“ წყალობით, მნიშვნელოვანი როლის

1 https://ik-ptz.ru/ka/literatura/strabon-geografiya-strabon-geografiya.html

შესრულებას შეუდგა. მხედველობაში გვაქვს მსოფლიო პოლიტიკაში დღესდღეობით არსებული პროექტი ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელიც სამ ქვეყანას ერთმანეთთან დააკაშირებს (თურქეთი, საქართველო, აზერბაიჯანი) და საშუალებას შექმნის ევროპული და აზიური ქვეყნები უმოკლეს დროში დაუკავშირდნენ ერთმანეთს[2].

სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებისთვის, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ამ სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის სრულად გამოყენება, ათვისება და ამოქმედება ერთ-ერთი მნიშვნელოვან საგარეო პილიტიკური მიზანად და გამოწვევად იქცა. საქართველოს ერთ-ერთი პრობლემაა ენერგო რესურსები. „ენერგოდამოუკიდებლობა საქართველოს დამოუკიდებლობის ტოლფასია“[3] - წერს გიორგი აბრამიშვილი[4]. ჩვენდა სამწუხაროდ, ქვეყანას არ გააჩნია საკუთარი მოხმარებისთვის საჭირო ენერგეტიკული რესურსები და გვიწევს დანაკლისი შევივსოთ მეზობელი ქვეყნებისგან, ეს კი ბუნებრივია, იწვევს მათზე დამოკიდებულებას. გრძელვადიან პერიოდში უნდა შევეგუოთ, რომ ქვეყნისთვის ენერგეტიკული გამოწვევა მუდმივად იარსებებს, მით უმეტეს იმ ფაქტით, რომ ვითარდება ეკონომიკა და შესაბამისად, იზრდება ენერგიებზე მოთხოვნა. დღეს, ენერგეტიკის თვალსაზრისით ძალიან ვართ დამოკიდებულები რუსეთზე, რომელიც მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით. ასევე, დიდ წილად დამოკიდებულები ვართ აზერბაიჯანზე, რომელიც ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონში გამოირჩევა ნავთობის მიწოდებით. რეგიონული გამოწვევების თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ საქართველოს შესაძლებლობა აქვს იყო ტრანზიტული ქვეყანა ენერგეტიკული მატარებლების გატარებისთვის. ამით იმის თქმა მინდა, რომ რესურსების არასაკმარის რაოდენობის არ ქონა, შესაძლოა გადაიჭრას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობით და სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბების პერსპექტივით.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი, შესაძლოა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჯერ კიდევ განიცდის ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესებს მეზობლებს შორის. სწორედ, ამ დროში გაწელილ და ხელოვნურად გართულებული პროცესის გამოძახილია კავკასიაში არსებული კონფლიქტები. მათ შორის, უმწვავესია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით. დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს კონფლიქტი ე.წ „დანაღმული ადგილია“ საბჭოთა კავშირიდან. რეგიონში კონფლიქტების არარსებობა და მეზობლებს შორის სტაბილური ურთიერთობა სამეზობლოს საერთო ინტერესია. ამ ვითარებაში, ქვეყნის სწორი საგარეო კურსი და პოზიცია ძალიან სწორად შეფასებული და გაანალიზებული უნდა იყოს. გასათვალისწინებელია რუსეთის ფედერაციის ფაქტორი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მოგებულია რეგიონში დაძაბულობით და ვითომ და „სამშვიდობო ქვეყნის“ როლის მორგებით. სწორედ, საერთო აზრამდე მისვლაა საჭირო და იმის გააზრება, რომ ქვეყნების შეიარაღებული დაპირისპირება მხოლოდ და მხოლოდ შეასუსტებს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნებს.

საქართველოს სახელმწიფო ისტორიას მტკივნეულად ახსოვს აფხაზეთის (1992-1993) და 2008 წლის სამაჩაბლოს ომი. ორივე ეს ომი პროვოცირებული იყო რუსეთის მიერ, რასაც მოჰყვა ჯერ აფხაზეთის, შემდეგ კი - სამხრეთ ოსეთის რეგიონების დაკარგვა. „ამ ორ სახელმწიფოს შორის დაპირისპირებამ პოლიტიკურად და ემოციურად დაჩრდილა კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“[5]. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთის ტერიოტორია ისტორიულად საქართველოს ნაწილია, მაინც მოხდა კონფლიქტური ჯგუფების ჩამოყალიბება და აგრესიის გაღვივება ქართველი ხალხის მიმართ. რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიაზე გავლენა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია

2 https://bm.ge/ka/article/baqo-tbilisi-yarsis-rkinigzis-gavlit-turqetidan-gamosuli-pirveli-satvirto-shemad-genloba-chinetshi-chavida/71299

3 https://forbes.ge/energodamoukidebloba-sa/

4 გიორგი აბრამიშვილი - საქართველოს განახლებადი ენერგიის განვითარების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორია(GREDA).

5 ზაქარეიშვილი პ.,ხედვა(კონფლიქტები საქართველოში) 2012-2016, თბილისი 2021, გვ.72;

და მას საკუთარი პოლიტიკური თუ სხვა სახის ინტერესები გააჩნია და კიდეც ახდენს მათ წარმატებით რეალიზებას. რუსეთი, ამას პირდაპირ ამბობს და არც ხისტ პოლიტიკას გამორიცხავს. აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის რეგიონი არასახარბიელო ვითარებაშია, რადგან დამოუკიდებლობის მიუხედავად, სამივე ქვეყანას რუსეთის ამბიციების გამო მუდმივი ბრძოლა უწევს წარმატების მისაღწევად. რუსეთი ვერ ეგუება იმ სტრატეგიულ დისბალანსს, რაც დასავლეთის გავლენების გაძლიერებას და ენერგეტიკულ პროექტების განვითარებას მოჰყვა. რუსეთი ასევე კარგად იყენებს „რბილ ძალას“ მედიას, რომელიც მის ინტერესებს ატარებს და ნელ-ნელა რუტინულად რუსულ იდეოლოგიას ნერგავს. რუსეთს არ სურს თანამშრომლობა დასავლური ტიპის მეზობლებთან განვითარებული, პროგრესული და დემოკრატიული სახელმწიფოების სახით, რაც ხდება ორი მიზეზის გამო: პირველი იმიტომ, რომ ასეთი სახელმწიფოების, საზოგადოების მართვა და რუსეთის ინტერესების გაზიარება არა არის მარტივი საკითხი და მეორე იმიტომ, რომ რუსეთში ბიძგი მიეცემა განვითარებაზე ორიენტირებული, თანამედროვე ძალების გააქტიურებას, რაც რუსეთისთვის ჯერ არ არის პრიორიტეტული.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ძალიან ფრთხილი და გონივრული ნაბიჯებია იმისათვის საჭირო, რომ ქვეყანამ აიცილოს შესაძლო სამომავლო აგრესია რუსეთისგან. ეს ყველაფერი შეუძლებელია მოხდეს, ევროატლანტიკური ინტეგრაციის და მათი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების გარეშე. ახალი კონფლიქტების რისკების ალბათობა ვფიქრობ, როგორც ყოველთვის, ძალიან მაღალია. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. მათ შორის მრავლად არიან ეროვნებით სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქი მოსახლეობა. ასე ვთქვათ, ქვეყანაში არის სენსიტიური უბნები, სადაც განსაკუთრებით მაღალია რისკი ახალი კონფლიქტის ჩამოყალიბების ხოლო ამის კარგი მაგალითია, პანკისის ხეობა და ისტორიის მანძილზე დაფიქსირებული კონფლიქტები. რუსეთის შესაძლებლობები და რესურსები საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც აძლიერებს მის ერთადერთი მიზანს - სამხრეთ კავკასიის რეგიონზე კონტროლის გატარებას. ამიტომ, ამ პროცესში ყოველგვარი წინაღობა და სხვა პოლიტიკური მოთამაშეების გააქტიურება რუსეთის მხრიდან კვალიფიცირდება, როგორც საფრთხე და მის ინტერესების უგულებელყოფა, რასაც მისი მხრიდან მოყვება ადეკვატური რეაგირება. მაგრამ ანალიტიკოსების ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთის უძლეველობა და დაუმარცხებლობა მითია და მეტი არაფერი. ეს ვერსია თითქმის დაადასტურა მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომმა, სადაც ნათლად გამოჩნდა რუსეთის წარუმატებლობა. ეს გარკვეულ იმედებს გვაძლევს, რომ რუსეთმა დაკარგოს თავისი გავლენები სამხრეთ კავკასიაზე და ჩვენც გაგვიჩნდეს იმის პერსპექტივა, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო ისევ ჩვენი კონტროლის ქვეშ მოექცეს.

ზემოთ ხსენებული საკითხები ძალიან მცირე, თუმცა უმნიშვნელოვანესი საკითხებია, რომელიც სამხრეთ კავკასიას და მათ შორის, საქართველოს უკავშირდება. საფრთხეები და გამოწვევი მუდმივად იარსებს იქამდე, სადამდეც იარსებებენ სახელმწიფოები. შესაბამისად, ქვეყნების მოკავშირეობითი და კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბება მხოლოდ და მხოლოდ გააძლიერებს რეგიონს, როგორც ერთ მთლიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზაქარეიშვილი პ.,ხედვა(კონფლიქტები საქართველოში) 2012-2016, თბილისი 2021, 206გვ.
2. https://ik-ptz.ru/ka/literatura/strabon-geografiya-strabon-geografiya.html
3. https://openscience.ge/bitstream/1/1783/1/Sophio%20Gurabanidze%20Samagistro.pdf
4. https://ka.wikipedia.org › wiki › სამხრეთი_კავკასია
5. https://bm.ge/ka/article/baqo-tbilisi-yarsis-rkinigzis-gavlit-turqetidan-gamosuli-pirveli-6.satvirto-shemadgenloba-chinetshi-chavida/71299

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების: საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ისტორიული მიმოხილვა

უფროსი სერჟანტი ირაკლი უჩაძე
გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია

აბსტრაქტი

ნაშრომში აღნიშნულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების: საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ისტორიული ურთიერთობები. განხილულია XVIII საუკუნეში რუსეთის მიერ საქართველოსა და კავკასიაზე გავლენის მოპოვების საკითხი და მათ მიმართ განხორციელებული ანექსია. სტატიაში მოყვანილია სამხრეთ კავკასიის სამი რეგიონის: საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობის გამოაცხადების პერიოდები და განვლილი გზები. ასევე შევეხეთ როგორც რუსეთის გავლენას სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, ისე რეგიონში დაძაბულობის შექმნის მცდელობებს.

განხილულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოქცევის საკითხი, რადგან ეს ზონა მსოფლიოში უმდიდრესი ნავთობისა და გაზის მწარმოებელი ზონაა. აგრეთვე ნაჩვენებია, რომ სამხრეთ კავკასიაში იკვეთება რუსული, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და დასავლური ინტერესები.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ანექსია, რუსეთი, საბჭოთა კავშირი.

HISTORICAL OVERVIEW OF THE COUNTRIES IN THE SOUTH CAUCASUS REGION - GEORGIA, AZERBAIJAN AND ARMENIA

SENIOR SERGEANT IRAKLI UCHADZE
Giorgi Antsukhelidze Sergeants Academy

ABSTRACT

The paper discusses the historical relations between the countries of the South Caucasus region: Georgia, Azerbaijan and Armenia. It also discusses the issues like the influence of Russia over Georgia and the Caucasus in the 18th century and their annexation. The article covers the periods and past paths of the three regions of the South Caucasus: Georgia, Azerbaijan and Armenia. The article covers the periods of declaration of independence and the steps taken by the three regions of the South Caucasus - Georgia, Azerbaijan and Armenia. The article also discusses the Russian influence on the South Caucasus region as well as its attempts aiming to create tensions in the region.

The paper also mentions the issue of bringing the South Caucasus to the international spotlight after the collapse of the Soviet Union, as this region is the richest oil and gas producing area in the world. The article also demonstrates the intersection of the Russian, Georgian, Armenian, Azerbaijani and Western interests about the South Caucasus.

Keywords: the South Caucasus, Georgia, Azerbaijan, Armenia, annexation, Russia, the Soviet Union.

შესავალი

სამხრეთ კავკასია მოიცავს სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს: საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს. იგი მჭიდროდ დასახლებული რეგიონია, რომელიც შავ ზღვასა და კასპიის ზღვებს შორის მდებარეობს. კავკასიონის მაღალმთიანი ნაწილი ძირითადათ საქართველოს უკავია, მისი აღმოსავლეთი ნაწილი აზერბაიჯანს, ხოლო სამხრეთი ნაწილი-სომხეთს. ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიას ესაზღვრება რუსეთი, სამხრეთით კი ირანი და თურქეთი. ამ სახელმწიფოების დაინტერესება სამხრეთ კავკასიის რეგიონით ყოველთვის აქტუალური იყო. XVIII საუკუნეში რუსეთმა საქართველოსა და კავკასიაზე გავლენა მოიპოვა და მათი ანექსია განახორციელა. კავკასიელი ხალხი არ ურიგდებოდა საკუთარი მიწა-წყლისა და ტრადიციების დაკარგვას. XIX საუკუნის ბოლოსათვის რუსეთმა თანდათან დაკარგა გავლენა დაპყრობილ ხალხებზე. საუკუნეების განმავლობაში, ევრაზიაში ხდებოდა მოსახლეობის დიდი რაოდენობით მიგრაცია. სწორედ ამიტომ არის, რომ კავკასიაში ძალიან ბევრი სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანი ცხოვრობს. 1918 წელს, როდესაც რუსეთის იმპერია დაიშალა[1], სამხრეთ კავკასიის რეგიონი ერთ პოლიტიკურ გაერთიანებად ჩამოყალიბდა[2]. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში სამმა რეგიონმა საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სომხეთმა საბჭოთა კავშირიდან გასვლა 1991 წლის 23 სექტემბერს განაცხადა, აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა 1991 წლის 18 ოქტომბერს გამოაცხადა, ხოლო საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ცალკეულ, გამოუცდელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. მათ შიგნით მიმდინარე შიდა არეულობებით, კი ყოველთვის სარგებლობდნენ გარე სახელმწიფოები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვნად მოექცა საერთაშორისო ყურადღების ცენტრში, რადგან ეს ზონა მსოფლიოში უმდიდრესი ნავთობისა და გაზის მწარმოებელი ზონაა. სამხრეთ კავკასიაში იკვეთება რუსული, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და დასავლური ინტერესები. ამჟამად სამხრეთ კავკასია სამი მოსაზღვრე ქვეყნის: რუსეთის, ირანისა და თურქეთის ინტერესები მეტნაკლებად ერთნაირია, მათ სურთ სხვა ძალების, უფრო კონკრეტულად კი, დასავლეთის გამოთიშვა რეგიონიდან. ეს ფაქტი კი საქართველოს სახელმწიფოზე აუცილებლად ნეგატიურად აისახება. დღევანდელ რუსეთის იმპერიას სამხრეთ კავკასიაზე სრული კონტროლის დამყარება არ შეუძლია. რეგიონში გავლენის შენარჩუნებას იგი სამხედრო ბაზების შექმნით ახორციელებს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე მთიან ყარაბაღში არსებული რუსული სამხედრო ძალების არსებობა. მოუგვარებელი კონფლიქტები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებზე მსოფლიოს მნიშვნელოვან გამოწვევებად რჩება. ის ფაქტი, რომ რუსეთს მითვისებული აქვს საქართველოს ტერიტორიები, დიდ საფრთხეს წარმოადგენს. როგორც ვიცით, საქართველო მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა რუსეთის აგრესიის მსხვერპლი. 1991 წელს ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე 90-იანი წლებიდან დაწყებული არსებობდა რამდენიმე შეიარაღებული კონფლიქტი: აფხაზეთის ომი, რომლის დროსაც უამრავი მშვიდობიანი ქართველი დაიღუპა, მრავალი ათასი მათგანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, საკუთარ ქვეყანაში უამრავი ადამიანი დევნილი გახდა. ასევე ომში გადაზრდილი სამხედრო დაპირისპირება ცხინვალის რეგიონში, და ბოლოს 2008 წ. აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსეთის სამხედრო აგრესია, რის შემდეგაც დავკარგეთ ტერიტორიები, დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა და გაიზარდა ქვეყანაში დევნილთა რიცხვი. როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს მიმდინარე საფრთხეებსა და გამოწვევებზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებული რუსეთის შეიარაღებული სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ნაწილები, დიდ საფრთხეს უქმნის საქართველოს და მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებას. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიტაცების შემდეგ,

1 https://www.tsu.ge/data/file_db/newspaper/N-2_09.pdf

2 https://matsne.gov.ge/ka/document/download/4801451/0/ge/pdf

ჩვენს ტერიტორიაზე ტერორიზმისა და ტერორისტული აქტების განხორციელების დიდი საფრთხე შეიქმნა. ოკუპირებული ტერიტორიები დგანან საფრთხის წინაშე რათა უნებურად გარეულნი არ იქნეს სხვადასხვა არალეგალურ საქმეებში, მაგალითად როგორიცაა: ნარკობიზნესი, იარაღის უკანონო გადაზიდვა და ვაჭრობა, ადამიანთა ტრეფიკინგი და სხვა. ასევე უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტიც, რომ საოკუპაციო ჯარები ძალიან ხშირად არღვევენ მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებებს. ხდება ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების ეთნიკური ნიშნით დევნა. ჩვენი ქვეყნისათვის დიდი გამოწვევაა დევნილი მოსახლეობის უსაფრთხოდ დაბრუნება თავიანთ მიწა-წყალზე. ასევე მიმდინარე საფრთხეებიდან შეიძლება გამოვყოთ კიბერსაფრთხეები. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს გარდა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო შეტევებისა, ასევე განახორციელდა კიბერთავდასხმები, ზემოთ აღნიშნულმა ფაქტებმა კი აჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის კიბერსივრცის დაცვა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცეების დაცვა. აღსანიშნავია, რომ ოკუპანტების მიერ უკანონოდ გამოყენებულმა ბუნებრივმა რესურსებმა შესაძლებელია საქართველოს ეკოლოგიური მხრივაც შეექმნას საფრთხე. ჩვენი ქვეყნისათვის ასევე უსაფრთხოების თვალსაზრისით საფრთხეს წარმოადგენს კავკასიაში არსებული სხვა კონფლიქტები.

1991 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დამოუკიდებელი საქართველოს მეზობლად ხელახლა გაჩნდა ორი სახელმწიფო: აზერბაიჯანი და სომხეთი. ამ ორ სახელმწიფოს ამჟამად ერთმანეთთან არ აქვთ არც დიპლომატიური და არც ეკონომიკური ურთიერთობა. საქართველოს ტერიტორია აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია. საქართველოს სახმელეთო გზების და საჰაერო სივრცეების გამოყენებით სომხეთი უკავშირდება თავის მოკავშირე-რუსეთს, ხოლო იგივე გზებით აზერბაიჯანი უკავშირდება მის მოკავშირე-თურქეთს. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დაპირისპირება და კონფლიქტი არ არის სულერთი და მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად აზერბაიჯანის ტერიტორიის მეხუთედი ნაწილი სომხეთის არმიასა და მთიანი ყარაბაღის შეიარაღებულ ძალებს აქვთ დაკავებული. ამ ტერიტორიებიდან განიდევნა ყველა აზერბაიჯანელი და ისინი ძირითადათ ცხოვრობენ აზერბაიჯანში განლაგებულ ლტოლვილთა ბანაკებში. ასევე აზერბაიჯანიდან განიდევნა ყველა სომეხი, მათი უმეტესობა რუსეთში ან ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში გადასახლდა. ეს კონფლიქტი, რა თქმა უნდა მოქმედებს ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე.

2020 წლის ყარაბაღის ომში საქართველოს ნეიტრალური პოზიცია ეკავა. მან ოფიციალურად ჩაკეტა როგორც სახმელეთო, ისევე საჰაერო საზღვრები ორივე სახელმწიფოსათვის, რათა არ მომხდარიყო სამხედრო ტვირთების გადატანა აღნიშნულ ტერიტორიებზე. თუმცა სომხეთში არსებობდა საპირისპირო მოსაზრება, რამაც სომხეთის უარყოფითი განწყობა გამოიწვია საქართველოს მიმართ. რუსეთი ცდილობს ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მოსახლეობის საქართველოს წინააღმდეგ განწყობას. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შეიარაღებული კონფლიქტის განახლება, რა თქმა უნდა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაზე იმოქმედებს, შეასუსტებს მათ უსაფრთხოებას და გაზრდის რუსეთის გავლენას. საქართველოს სტრატეგია ამ ეტაპზე მიმართულია იქითკენ, რომ როგორმე შეავიწროვოს რუსეთის გავლენა კონფლიქტის ზონებში და გაზარდოს მეგობარი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა. რუსეთი სულ უფრო ცდილობს რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოხდეს დაკავშირება. რუსეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია ამ ორი სახელმწიფოს სატრანზიტოდ გამოყენება. მათი მეშვეობით დაუკავშირდება თურქეთსა და ირანს. თუ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები რუსეთის გავლენის სფეროში გადავა სრულად, რეგიონი დიდი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. საქართველო, როგორც კავკასიის ცენტრი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. შეიძლება შეიქმნას გეოპოლიტიკური საფრთხე. თუკი რუსეთი შეეცდება კავკასიაში ახალი წესრიგის დამყარებას, ეს საქართველოს სახელმწიფოზე დასავლეთის გავლენას მნიშვნელოვნად შეამცირებს, რაც ქვეყნისთვის როგორც ეკონომიკურად, ასევე

პოლიტიკურად მტკივნეული იქნება.

დასკვნა

ამგვარად, სამხრეთ კავკასია ჯერ კიდევ რჩება ისეთ ტერიტორიად, სადაც არ არის სტაბილურობა და სხვადასხვა დიდი იმპერიების ინტერესები მოქმედებს. გამომდინარე იქედან, რომ მიმდინარე საფრთხეები და გამოწვევები საკმაოდ რთულია, სამივე რეგიონი-საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი უნდა შეეცადოს ისეთი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარებას, რომელიც მათ კატასტროფის წინაშე არ დააყენებს. ასევე საქართველოსათვის მნიშვნელოვანია, რომ მან შეინარჩუნოს ურთიერთობები და კიდევ უფრო მეტად დაუკავშირდეს მსოფლიოს სხვა დემოკრატიულ ქვეყნებს. ამ ქვეყნების მხარდაჭერა უდიდეს როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნების უსაფრთხოებასა და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში. ასევე მეტად მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო საზოგადოებებმა გააგრძელონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პროცესი, რაც თავის მხრივ გარკვეულ გავლენას იქონიებს ჩვენი ქვეყნების უსაფრთხოებაზე.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი და საქართველო, საფრთხეები და გამოწვევები

მთავარი სერჟანტი კობა ოშხერელი
თავდაცვის ძალების გენერალური შტაბი

აბსტრაქტი

ამიერკავკასიის რეგიონი განლაგებულია მსოფლიო გავლენის მქონე სახელმწიფოებისა და ცივილიზაციების გზაჯვარედინზე და შესაბამისად მათი ინტერესების სფეროში შედის. ესენია რუსეთი, ევროპა და ისლამური სამყარო. მათ გარდა გლობალიზაციის პირობებში, ამიერკავკასიის რეგიონზე გავლენას ახდენენ ასევე სხვა მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოები, რომლებიც არ ესაზღვრებიან მას უშუალოდ. აღნიშნული ძალების გავლენები ნათლად ჩანს ამიერკავკასიის სახელმწიფოების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, თავად ამიერკავკასიის რეგიონი მჭიდროდ არის დასახლებული მრავალი ეთნოსის მიერ, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც გეოპოლიტიკური მისწრაფებებით, ასევე კულტურულად და რელიგიურად.

ყოველივე ეს წარმოშობს უთანხმოებისა და დაძაბულობის კერებს, რომლებიც უქმნიან საფრთხეებს რეგიონის სტაბილურ და მშვიდობიან განვითარებას. ამიერკავკასიის რეგიონში არსებული და პოტენციური საფრთხეები ძირითადად გამომდინარეობს გადაუწყვეტელი ეთნიკურ-ტერიტორიული კონფლიქტებიდან[1], მათში რუსეთის ირიბი და პირდაპირი ჩარევიდან, ქვეყნების შიდა პოლიტიკური არასტაბილურობიდან და ეკონომიკების არასაკმარისი განვითარებიდან.

საქართველოს შემთხვევაში ამ ყველაფერს ემატება საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების, ასევე სეპარატისტული რეგიონების სამხედრო შესაძლებლობებს შორის საგრძნობი დისბალანსი.

საკვანძო სიტყვები: ამიერკავკასიის რეგიონი, საფრთხეები, ეთნიკურ - ტერიტორიული კონფლიქტები, სამხედრო შესაძლებლობები

THE SOUTH CAUCASUS REGION AND GEORGIA – THREATS AND CHALLENGES

SENIOR SERGEANT KOBA OSHKHERELI
General Staff of Defence Forces

ABSTRACT

The Transcaucasia region is located at the crossroads of the great civilizations and is therefore in their area of interest. These are Russia, Europe and the Islamic world. In addition to them, in the context of globalization, the Transcaucasia region is also affected by other states of world importance, which do not border it directly. The influences of these forces are clearly visible in the political, social and economic life of the Transcaucasia states. In addition, the Transcaucasia region itself is densely populated by many ethnic groups that differ in geopolitical aspirations as well as culturally and religiously.

All these circumstances create tensions, threatening the stable and peaceful development of the region. Existing threats in the Transcaucasia region mainly grow from unresolved ethnic-territorial conflicts, indirect and direct intervention of Russia into these conflicts, internal political instability of these countries and underdevelopment of their economies. In the case of Georgia, all this is compounded by the significant imbalance between the military capabilities of Georgia and its neighbors, as well as its breakaway regions.

Key words: Transcaucasia region, threats, ethnic – territorial conflicts, military capabilities

1 ეთნიკურ-ტერიტორიული კონფლიქტი - მეზობელ ეთნოსებს შორის ტერიტორიულ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი

შესავალი

თანამედროვე ამიერკავკასიის სახელმწიფოების დაარსების და მიმდინარე კონფლიქტების მოკლე ისტორია

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, 1991 წელს სამხრეთ კავკასიაში გაჩნდა სამი ახალი სახელმწიფო - საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იქნენ აღიარებულები მათი წინამორბედი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში და იმ ავტონომიების ჩათვლით, რომლებიც მათ შემადგენლობაში შედიოდნენ.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში თავი ღიად იჩინა სეპარატისტულმა მოძრაობებმა, რომლებიც მიზნად ისახავდენ არსებული პოლიტიკური სტატუსების შეცვლას. ასე აფხაზ სეპარატისტებს სურდათ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფა, შემდეგ კი მისი ცალკე რესპუბლიკის სახით პირდაპირ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლა. ოს სეპარატისტებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის რესპუბლიკურამდე ამაღლება სურდათ. მთიან ყარაბაღში ადგილობრივი სომხური მოძრაობა ოლქის აზერბაიჯანის შემადგენლობიდან გამოყოფას და სომხეთის შემადგენლობაში შესვლას ითხოვდა.

ამ მისწრაფებებს აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ რესპუბლიკური ცენტრები თბილისსა და ბაქოში.

კონფლიქტი მთიან ყარაბაღში

კონფლიქტი მთიან ყარაბაღში 1988 წელს დაიწყო მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის აზერბაიჯანის შემადგენლობიდან გასვლის მოთხოვნით. ეს მალევე სომხურ და აზერბაიჯანულ არაფორმალურ დაჯგუფებებს შორის შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა და 1994 წელს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქისა და მის ირგვლივ ტერიტორიების აზერბაიჯანისაგან ფაქტობრივი მოწყვეტით და ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობის განდევნით დასრულდა. საერთო ჯამში აზერბაიჯანმა მაშინ დაკარგა კონტროლი საკუთარი ტერიტორიის დაახლოვებით 20 პროცენტზე და ამასთან ერთად ნახევარ მილიონზე მეტი შიდა ლტოლვილი მიიღო.

2020 წელს, კონფლიქტის დაწყებიდან 30 წლის შემდეგ, აზერბაიჯანმა მოახერხა მთიანი ყარაბაღისა და სომხეთის არმიის სამხედრო გზით დამარცხება და დაკარგული ტერიტორიების უდიდეს ნაწილზე კონტროლის დაბრუნება.

კონფლიქტი აფხაზეთში

აფხაზი სეპარატისტების ანტიქართული აქტივობების და გამოსვლების ტალღა 1988-1989 წლებში დაიწყო, თუმცა კონფლიქტმა იმ დროს განვითარება ვერ ჰპოვა და პოლიტიკურ სფეროში გადაინაცვლა. აფხაზ სეპარატისტებს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა და საბჭოთა კავშირში ცალკე რესპუბლიკად გაწევრიანება ჰქონდათ განზრახული, რაშიც მათ ეწინააღმდეგებოდა როგორც რესპუბლიკური ცენტრი თბილისში, ისევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ქართველი ეროვნების დეპუტატები სოხუმში. 1990 წელს მოხერხდა პოლიტიკური კომპრომისის მიღწევა ზვიად გამსახურდიასა და აფხაზ სეპარატისტთა ლიდერ, ვლადისლავ არძინბას შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეთნიკური კვოტების შესახებ, რამაც კონფლიქტი დროებით ჩააწყნარა. მისი სამხედრო სტადია განახლდა 1992 წლის აგვისტოში და მალე ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ომი აფხაზეთში, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული სხვა და სხვა ფორმით რუსული არმია და რუსეთის ფედერაციიდან ჩასული მოხალისეები, ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდა და 1993 წლის სექტემბერში საქართველოს სამხედრო მარცხითა და აფხაზეთიდან ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განდევნით დასრულდა.

2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა რის შედეგადაც აფხაზეთის ტერიტორია

დღესაც ვერ კონტროლდება საქართველოს ხელისუფლების მიერ და ფაქტობრივად მოწყვეტილია საქართველოსაგან. მწვავედ რჩება აფხაზეთიდან დევნილთა პრობლემაც.

კონფლიქტი შიდა ქართლში (ე.წ სამხრეთ ოსეთი)

ოსების სეპარატისტული მოძრაობა შიდა ქართლში 1988–1989 წლებში გააქტიურდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის რესპუბლიკური სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. 1989 წლიდან დაიწყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქართული სოფლების შევიწროვება ოსური უკანონო ფორმირებების მიერ, რაც მხარეთა შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1991 წელს კონფლიქტი დაკონსერვებულ იქნა მის ზონაში რუსული სამშვიდობო კონტინგენტის შესვლით და მხარეთა დაშორიშორებით.

2008 წლის ზაფხულში ქართულ ოსური კონფლიქტი შიდა ქართლში ისევ გააქტიურდა, რაც 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში რუსეთ - საქართველოს ომში გადაიზარდა, რომელიც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით დასრულდა. განხორციელდა ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა და ეგრედ წოდებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან ქართველთა განდევნა. რუსეთმა ეგრედწოდებული სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარა, რის შედეგადაც ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორია დღემდე ვერ კონტროლდება საქართველოს ხელისუფლების მიერ და ფაქტობრივად მოწყვეტილია საქართველოსაგან.

პოლიტიკური პროცესები საქართველოს მეზობელ ქვეყნებში

რუსეთის ფედერაცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთში იმპერიული მსოფლმხედველობის აღზევებამ იჩინა ისევ თავი. რუსეთის იმპერიის ახალი აღორძინების იდეა საგარეო მიმართულებაზე დასავლურ სამყაროსთან პოლიტიკურ დაპირისპირებაში, ხოლო ქვეყნის შიგნით მცირე ერების საკუთარ მიწებზე თვითგამორკვევის მოძრაობების ჩახშობაში, ქვეყანაში მკაცრი პოლიტიკური ვერტიკალის ჩამოყალიბებაში, ადამიანის უფლებების შეზღუდვაში და ოლიგარქიული ეკონომიკის აშენებაში აისახა.

იმპერიული აღორძინების პოლიტიკის ფარგლებში, რუსეთი მის მეზობელ ქვეყნებში სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერით ცდილობდა და ცდილობს მათი შიდა პოლიტიკური ვითარებების დესტაბილიზაციას და ამ არასტაბილურობის ხანგრძლივად შენარჩუნებას. მისი სტრატეგიული მიზანი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი ქვეყნების არშემდგარ სახელმწიფოებად (Failed States) ჩამოყალიბება, მათ მოსახლეობებში ეროვნული ნიჰილიზმის და უიმედობის განცდის გაღვივება და შესაბამისად რუსეთის წიაღში დაბრუნების სურვილის გაჩენაა.

თურქეთი

თურქეთის შიდა და გარე პოლიტიკური ხაზი მე - 20 საუკუნის დასაწყისიდან იყო დაფუძნებული თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის, ქემალ ათათურქის ხედვებზე, რომელმაც თურქი ერი ევროპეიზაციის გზაზე დააყენა, პოლიტიკაში და სახელმწიფო სტრუქტურებში ისლამური რელიგიის გავლენა შეზღუდა, ფართო გზა მისცა განათლებასა და ტექნიკურ პროგრესს. ამან შესაბამისი შედეგი გამოიღო და თურქეთი მსოფლიოს ერთ ერთ წამყვან სახელმწიფოდ აქცია, მაღალგანვითარებული ეკონომიკით, მრეწველობით და ძლიერი შეიარაღებული ძალებით.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში თურქეთის პოლიტიკურ სისტემაში ისევ გაძლიერდა ისლამიზმისა და პანთურქიზმის გავლენები. ასევე მიმდინარეობს სელჯუკთა და ოსმანთა პერიოდების იდეალიზაციის ხაზი კულტურაში, რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობისა და პოლიტიკოსების განწყობებზე. დღეს თურქეთი პოზიციონირებს საკუთარ თავს მსოფლიოში მუსულმანების დამცველად, ასევე თურქულენოვანი ხალხების ლიდერად და მათი მიზიდულობის ცენტრად. ამ პოლიტიკის ფარგლებში თურქეთმა აქტიურად მიიღო მონაწილეობა სირიისა და

ლიბიის კონფლიქტებში, ასევე ჩართული იყო აზერბაიჯანის არმიის გაძლიერებასა და მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის კონტროლის ქვეშ დაბრუნებაში.

აზერბაიჯანი

მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში, 1991 წელს აზერბაიჯანის სამხედრო მარცხისა და სომხეთის მიერ მისი ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ, ქვეყანაში არასტაბილურობისა და შიდა არეულობის პერიოდი დადგა. იყო სამხედრო გადატრიალების მცდელობაც. 1993 წელს ქვეყნის სათავეში ჰეიდარ ალიევი მოვიდა, რომელმაც ქვეყანაში მკაცრი სახელისუფლებო ვერტიკალი ჩამოაყალიბა და ხანგრძლივი პოლიტიკური სტაბილურობა დაამყარა. ამის შემდეგ დაიწყო ქვეყნის მუდმივი ეკონომიკური ზრდა, რომლის საფუძველსაც აზერბაიჯანის მიერ ნავთობისა და გაზის ექსპორტი წარმოადგენს. ამასთან ერთად ჰეიდარ ალიევმა დაიწყო აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების გაძლიერება, რომელიც მის გადაიარაღებას, რიცხობრივ ზრდასა და წვრთნას მოიცავდა, რაშიც აზერბაიჯანს ძირითადად თურქეთი და ისრაელი ეხმარებოდენ. აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა თურქეთთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობასა და რუსეთთან სტაბილურ, უკონფლიქტო ურთიერთობაზეა ორიენტირებული.

2003 წელს ჰეიდარ ალიევის შემდეგ, აზერბაიჯანის სათავეში მისი შვილი, ილჰამ ალიევი მოვიდა რომელმაც სახელისუფლებო ვერტიკალის გამკაცრებაზე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებაზე მამამისის პოლიტიკური ხაზი გააგრძელა და გააძლიერა. 2020 წელს მთიან ყარაბაღში საომარი მოქმედებები განახლდა, რის შედეგადაც აზერბაიჯანის არმიამ დაამარცხა მთიანი ყარაბაღისა და სომხეთის გაერთიანებული სამხედრო ძალები, რითიც ქვეყანას დაუბრუნა კონტროლი დაკარგული ტერიტორიების უდიდეს ნაწილზე.

დღეს აზერბაიჯანის არმიასა და მთიანი ყარაბაღის სომხურ შენაერთებს რუსული სამშვიდობო კონტინგენტი აშორიშორებს.

სომხეთი

საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე სომხეთმა რუსეთთან მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების გეზი აიღო. ეღნიშნულმა ფაქტორმა და ასევე ძალიან გავლენიანი და მდიდარი მსოფლიო სომხური დიასპორის დახმარებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა სომხური მხარის მიერ აზერბაიჯანის სამხედრო დამარცხებაში პირველი ყარაბაღის ომის დროს.

1991 წლის შემდეგ სომხეთი რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ფარვატერში სრულად მოიქცა. ამის მთავარი მიზეზი თურქეთთან ისტორიული მტრობა და აზერბაიჯანთან მიმდინარე კონფლიქტი იყო და არის. თუმცა რუსეთის დახმარებაზე გადაჭარბებული იმედის გამო, სომხეთი საგრძნობლად ჩამორჩა აზერბაიჯანს სამხედრო განვითარებისა და მაღალტექნოლოგიური თანამედროვე შეიარაღებული ძალების მშენებლობის მხრივ. ეს ფაქტორი 2020 წლის კონფლიქტში სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის არმიების მარცხით და მათი კონტროლის ქვეშ მყოფი აზერბაიჯანის ტერიტორიების დაკარგვით დასრულდა.

ამჟამად სომხეთი ისევ აგრძელებს რუსეთზე მკაფიო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ორიენტაციას.

ახალი კონფლიქტების გაჩაღების შესაძლებლობა
სამხრეთ კავკასიის რეგიონში

რუსეთის მიერ მეზობელი სახელმწიფოების მიმართ წარმოებული აგრესიული პოლიტიკის ფარგლებში, რომლის სტრატეგიული მიზანია შეუმდგარ სახელმწიფოებად აქციოს პოსტსაბჭოთა ქვეყნები და დათესოს მათ ხალხებში რუსეთთან ახალი

ინტეგრაციის სურვილი, ის მომავალშიც გააგრძელებს ამიერკავკასიის ქვეყნებში ყველა შესაძლო სეპარატისტული პროცესებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის ხელშეწყობას.

საქართველოში ეს შეიძლება მოხდეს კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი მისწრაფებების გაღვივების ხელშეწყობის გზით. ასევე ეს შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს შიდა პოლიტიკური არასტაბილურობის, რადიკალიზმისა და შეურიგებლობის გარემოს შექმნით, საზოგადოებაში იდეოლოგიური და კულტურული დაპირისპორებების წაქეზებით.

შესაძლო ახალი ეთნიკური, რელიგიური და კულტურული კონფლიქტების გაჩაღების მცდელობებს საქართველოში აქტიურად ეწინააღმდეგება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. აღკვეთილია დაპირისპირების მცდელობები ეთნიკურად სომხურ და ქართულ

მოსახლეობებს შორის სამცხე - ჯავახეთში, ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის აჭარასა და გურიაში, ეთნიკურ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ქვემო ქართლში, დიდწილად ნეიტრალიზებულია ვახაბისტთა ექსტრემისტული კერები პანკისის ხეობაში. ასევე ქუჩიდან პოლიტიკურ და ვირტუალურ სფეროებშია გადატანილი ხელჩართული დაპირისპოირება თბილისში კონსერვატიულად და ლიბერალურად განწყობილ მოსახლეობას შორის. მიუხედავად ამისა ყველა აღნიშნული კერა ინარჩუნებს დესტაბილიზაციის პოტენციალს და მუდმივ ყურადღებას საჭიროებს.

საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური ვითარება

ქვეყანაში მოუწესრიგებელი კონფლიქტების არსებობა, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, მასთან გაუთავებელი პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირება, დევნილთა დიდი მასა და არსებული კონფლიქტებიდან სხვა გამომდინარე ფაქტორები ქმნიან საზოგადოებაში დაუცველობის, არასტაბილურობის შეგრძნებას და მომავლის უარყოფით მოლოდინებს.

ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტები და მუდმივი დაძაბულობის ატმოსფერო ქვეყნის შიდა პოლიტიკურ პროცესებსაც გადაედო, მათ კულტურად და ტრადიციად იქცა, შექმნა შეურიგებელი, უკომპრომისო პოლიტიკური დაპირისპირების ტოქსიკური გარემო, რომელშიც თითქმის შეუძლებელია ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა.

დასავლეთსა და რუსეთს შორის ბალანსის მოძიების მცდელობის რეჟიმში ყოფნამ, ქვეყნის მოსახლეობაც ორ ბანაკად დაჰყო. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მიისწრაფვის ევროპული ტიპის დემოკრატიული საზოგადოების აშენებისაკენ, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები და მუშაობს თავისუფალ კონკურენციაზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკა. ქართველი ხალხის ეს ნაწილი მომხრეა ქვეყნის NATO-სა და ევროკავშირში გაერთიანებისა და დასავლური სამყაროს სრულუფლებიანი წევრობის. ამასთან ერთად არსებობს მეორე ჯგუფი, რომელსაც საპირისპირო შეხედულებები გააჩნია ქვეყნის განვითარებაზე, მიუღებლად მიაჩნიათ დასავლური ღირებულებები, ესიმპატიურებათ რუსეთი, როგორც დასავლეთთან დაპირისპირებული ცივილიზაცია, განიხილავენ მას ტრადიციული ღირებულებების დამცველად მსოფლიოში და ხშირად ღიად უჭერენ მხარს საქართველოს რუსეთისაკენ გეზის აღებას. საზოგადოებაში ამ ორი რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ხედვის არსებობა კიდევ უფრო უწყობს ხელს მწვავე შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას და არასტაბილური გარემოს შენარჩუნებას.

ტერიტორიების ოკუპაცია, რუსეთთან ქრონიკული დაპირისპირება, ახალი ომის მოლოდინი, შიდა პოლიტიკური და სოციალური დაძაბულობა აფერხებენ საქართველოში ეკონომიკურ და სამრეწველო განვითარებაზე მიმართული მსხვილი, გრძელვადიანი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. შესაბამისად ვერ იქმნება ახალი დიდი საწარმოები და მათთან ერთად სტაბილური სამუშაო ადგილები. სამუშაო

ადგილების ნაკლებობა თავის მხრივ ხელს უწყობს სიღარიბეს და საქართველოდან მკვიდრი მოსახლეობის მიგრაციას საზღვარგარეთ უკეთესი ბედის საძიებლად. ეს თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს არსებულ არასახარბიელო დემოგრაფიულ სიტუაციაზე და კიდევ უფრო ართულებს მას.

ამიერკავკასიის და სხვა მეზობელი ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობები

ქვეყანა	აქტიური სამსახური[2]	რეზერვი [3]	სამხედრო ბიუჯეტი USD	ქვეყნის მოსახლეობა	ქვეყნის მოსახლეობა
რუსეთი	1 000 000	2 000 000	48 000 000 000	145 800 000	1 670 000 000 000
თურქეთი	355 200	378 700	19 000 000 000	85 600 000	809 550 000 000
აზერბაიჯანი	127 000	330 000	2 800 000 000	10 300 000	47 430 000 000
სომხეთი	45 000	210 000	1 390 000 000	2 980 000	13 870 000 000
საქართველო	21 000	---	327 000 000	3 688 000	18 890 000 000

წყარო: https://worldpopulationreview.com/country-rankings/military-size-by-country

ზემოდ მოყვანილ სქემაზე კარგად ჩანს ის საგრძნობი სხვაობა, რომელიც დღესდღეობით შექმნილია საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობებს შორის. რუსეთისა და თურქეთის სამხედრო შესაძლებლობებს რომ დავანებოთ თავი, რომლებიც მსოფლიო დონის მოთამაშეები არიან, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის სამხედრო ბიუჯეტი 8 ჯერ, ხოლო სომხეთის სამხედრო ბიუჯეტი 4 ჯერ აღემატებიან საქართველოს თავდაცვის ძალების ბიუჯეტს.

საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი NATO - ს მოთხოვნებისამებრ არის მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტის ფარგლებში, იმ დროს როდესაც სომხეთის სამხედრო ბიუჯეტი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტს უახლოვდება, აზერბაიჯანისა კი 6 პროცენტია. NATO – ს ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის სამხედრო ხარჯებზე 2 პროცენტიანი მოთხოვნა დაფუძნებულია NATO - ს ქვეყნების კოლექტიურ თავდაცვაზე, როდესაც ბევრი მცირე სამხედრო ბიუჯეტი ერთიან დიდ სამხედრო ძალას ქმნის. საქართველო არ იმყოფება ჩრდილოეთ ათლანტიკურ ალიანსში, არ არის დაცული მისი მე - 5 პუნქტით და მისი სამხედრო ხარჯების მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტიან ნიშნულზე ყოფნა, არ აძლევს საქართველოს თავდაცვის ძალებს საშუალებას დაეწიოს მეზობელი ქვეყნების სამხედრო შესაძლებლობებს ტექნოლოგიურად და სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით.

სომხეთს საქართველოზე 2 ჯერ, ხოლო აზერბაიჯანს 6 ჯერ მეტი ადამიანი ჰყავს აქტიურ სამხედრო სამსახურში. გარდა ამისა აზერბაიჯანს 330 ათასიანი რეზერვი გააჩნია, სომხეთს 210 ათასიანი. საქართველოს სამხედრო რეზერვის რაოდენობის მონაცემები ღია ინტერნეტში არ მოიპოვება, თუმცა თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური განცხადებების მიხედვით საქართველო ქმნის ტერიტორიულ რეზერვს, რომელიც შედგება ეროვნული გვარდიის მე-10 და მე-20 კადრირებული ბრიგადების რეზერვის პერსონალისაგან, რაც ეროვნული გვარდიის 8 (რვა) კადრირებულ ბატალიონს შეადგენს და არანაირ შედარებაში არ მოდის ჩვენი მეზობელი ქვეყნების რეზერვის რაოდენობასთან.

გარდა გარე მეზობლებისა, საქართველოს ასევე არ გააჩნია გადამწყვეტი უპირატესობა მისივე სეპარატისტული რეგიონების სამხედრო შესაძლებლობთან შედარებით, რაც ჩანს ქვემოდ მოყვანილ სქემაზე. მიუხედავად იმისა, რომ აქტიურ სამსახურში მყოფთა რაოდენობით საქართველოს თავდაცვის ძალები საგრძნობლად აღემატება ორივე სეპარატისტული რეგიონის უკანონო შეიარაღებულ ძალებში აქტიურ

სამსახურში მყოფთა საერთო რაოდენობას, მათი რეზერვების გათვალისწინებით ეს უპიორატესობაც ქარწყლდება.

	აქტიური სამსახური	რეზერვი	მოსახლეობა
სეპარ. აფხაზეთი	3 000 - 5 000	40 000	245 000
სეპარ. სამხრეთ ოსეთი	2 500	13 500	55 000
საქართველო	21 000	---	3 688 000

რუსეთ - უკრაინისა და ბოლო ყარაბაღის ომის გამოცდილების მოკლე მიმოხილვა

უკრაინაში მიმდინარე ომისა და ბოლო ყარაბაღის კონფლიქტის გამოცდილების შესწავლა სასარგებლო იქნება თანამედროვე კონვენციური ომების ხასიათის გაგებისა და საკუთარი საჭიროებისათვის გამოყენებისათვის.

ორივე ამ კონფლიქტმა დაგვანახა რამოდენიმე ძირითადი გასათვალისწინებელი მომენტი, რომელთა გარეშე თანამედროვე კონვენციურ კონფლიქტში ნებისმიერი არმია განწირულია დამარცხებისათვის.

ახალი ტექნოლოგიები

მთიანი ყარაბაღის ბოლო კონფლიქტმა და შემდეგ რუსეთ-უკრაინის ომმა ნათლად დაგვანახა მაღალტექნოლოგიური იარაღის გადამწყვეტი მნიშვნელობა თანამედროვე კონვენციურ ომში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შეიარაღების ხარისხი მის რაოდენობაზე არანაკლებად მნიშვნელოვანია. მაგალითისათვის შეიძლება განხილულ იქნას „ბაირაქტარი“-ს ტიპის უპილოტო საფრენი აპარატები. მათმა ეფექტურობამ საგრძნობლად გადააჭარბა ტრადიციული საფრონტო მოიერიშეების ეფექტურობას, რომელთაგან განსხვავებით უპილოტო საფრენი აპარატი რამოდენიმე საათით მეტ დროს რჩება ჰაერში, მუშაობს უფრო დიდი სიმაღლოდან, ძნელად აღმოსაჩენია მოწინააღმდეგისათვის და ამ ყველაფერთან ერთად ბევრად უფრო იაფია საწარმოებლად ვიდრე თვითმფრინავი. გარდა ამისა მას არ მართავს პილოტი, რომლის მომზადებას წლები და მილიონობით დოლარი სჭირდება. იგივეს თქმა შეიძლება მაღალტექნოლოგიური ტანკსაწინააღმდეგო, საარტილერიო და კავშირგაბმულობის სისტემებზე. ასე, უკრაინული ძალები ძალიან ეფექტურად იყენებენ მაგალითად „ჯაველინი“-ს ტიპის ტანკსაწინააღმდეგო დანადგარებს.

მიუხედავად იმისა, რომ მაღალტექნოლოგიური იარაღი შედარებით ძვირია მის ჩვეულებრივ, ტრადიციულ ანალოგებზე, მისი ხარისხი და ეფექტურობა სრულად ამართლებს ფასს. მაგალითისათვის „ჯაველინი“-ს ტიპის ტანკსაწინააღმდეგო დანადგარი, რომელიც რამოდენიმე ათეული ათასი დიოლარი ღირს, თითქმის 100 პროცენტიანი ალბათობით ანადგურებს მასზე ბევრად უფრო ძვირადღირებულ ტანკს.

ადეკვატური რაოდენობის შეიარაღებული ძალები

მიუხედავად მაღალტექნოლოგიური იარაღის უდიდესი მნიშვნელობისა, ის ვერაფერს გახდება ბრძოლის ველზე საკმარისი რაოდენობის ცოცხალი ძალის გარეშე. ცოცხალი ძალის ბრძოლის არეალისათვის შესაფერისი რაოდენობა კვლავ აუცილებლად რჩება თანამედროვე კონვენციურ ომში, მიუხედავად იმისა ვსაუბრობთ ჩვენ შემტევ ძალებზე თუ თავდაცვაში მყოფებზე.

მაგალითისათვის, რუსეთის ფედერაციამ უკრაინაში ინტერვენციისათვის შეტევაზე

2. სამხედრო მოსამსახურეთა კატეგორია, რომელთათვისაც სამხედრო სამსახური წარმოადგენს ცხოვრების პროფესიას ან გარკვეული ვადით გაწვეულები არიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

3. მოქალაქეთა კატეგორია, რომლებსაც გააჩნიათ სხვა პროფესია და ამავეროულად არიან მომზადებულები, რათა ჩაერთონ საბრძოლო მოქმედებებში ქვეყნის ინერესების დაცვისათვის.

გაუშვა დაახლოვებით 200 ათასი მებრძოლისაგან შემდგარი სამხედრო ძალა (დონეცკის და ლუგანსკის სეპარატისტული სამხედრო ძალების გარდა). ეს ძალა გაწელილი იქნა ყირიმიდან, უკრაინის ჩრდილოეთამდე მისი აღმოსავლეთ რეგიონების საზღვრების გასწვრივ. ფრონტის ხაზის საერთო სიგრძე დაახლოვებით 2000 კილომეტრამდე გაიწელა, რისთვისაც 200 ათასი მებრძოლი არ აღმოჩნდა საკმარისი. ამის გამო, როდესაც არ გამართლდა რუსული მხარის თავდაპირველი გათვლა იმაზე, რომ უკრაინული არმია არ გაუწევს მათ წინააღმდეგობას და დაიფანტება, რუსეთის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა მოეხსნა მისი ჯარები კიევის, სუმისა და ჩერნიგოვის მიმართულებიდან და გადაესროლა ისინი აღმოსავლეთში, გადამწყვეტი ბრძოლების ადგილებში.

ხარისხიანად მომზადებული და დაკომპლექტებული რეზერვი

მთიანი ყარაბაღისათვის აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ბოლო კონფლიქტის დროს სომხეთმა ვერ მოახერხა მისი სამხედრო რეზერვების ეფექტურად გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ ჰყავს ორასი ათასი ბრძოლისათვის ინდივიდუალურად მომზადებული რეზერვისტი. ეს ძირითადად იმის გამო მოხდა, რომ სომხურმა მხარემ ვერ მოახერხა რეზერვისტებით დაკომპლექტებული საკმარისი რაოდენობის ქვედანაყოფების ჩამოყალიბება მათთვის საკმარისი რაოდენობის სამეთაურო კადრებისა და ათეულის მეთაურების არარსებობის გამო. აღნიშნული მიზეზით სომხურმა ძალებმა ვერ მოახერხეს რამოდენიმე ასეულ კილომეტრზე გაწელილი ფრონტის ხაზის ეფექტურად დაცვა რაოდენობრივად აღმატებულ აზერბაიჯანულ ძალებთან ბრძოლაში. ასევე აღსანიშნავია უკრაინული ტერიტორიული თავდაცვის სარეზერვო ძალების უაღრესად ეფექტური მოქმედებები რუსეთის არმიის წინააღმდეგ. იმ დროს როდესაც უკრაინული არმიის უდიდესი ნაწილი მიჯაჭვული იყო დონბასისა და ლუგანსკის რეგიონებში საბრძოლო მოქმედებებს, სწორედ უკრაინის ტერიტორიული თავდაცვის სარეზერვო ძალებზე გადაიარა რუსეთის არმიასთან ბრძოლებმა კიევის, ჩერნიგოვისა და ხარკოვის მიმართულებებზე. გარდა ამისა უკრაინამ მოახდინა სხვა მომზადებული რეზერვების მობილიზაცია, რის შედეგადაც ფაქტიურად რაოდენობრივად გადაუსწრო კიდეც ქვეყანაში შემოჭრილ რუსულ ძალებს.

ლოგისტიკა

რუსეთ - უკრაინის ომმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ნაპოლეონ ბონოპარტის სიტყვები იმაზე, რომ ლეიტენანტები ფიქრობენ ტაქტიკაზე, ხოლო გენერლები ლოგისტიკაზე. ზამთრისა და შემდეგ ტალახიანი უკრაინული გაზაფხულის პირობებში, რუსეთმა ფიზიკურად ვერ მოახერხა 2000 კილომეტრზე გაწელილი რუსული ჯარების ეფექტური ლოგისტიკური უზრუნველყოფა. გარდა ტალახისა და გაუვალობისა, ამას ასევე უკრაინული მცირე მობილური ჯგუფებიც უშლიდენ ხელს, ნადირობდენ და ანადგურებდენ რა რუსულ ლოგისტიკურ კონვოებს. ლოგისტიკური პრობლემების ფაქტორი ასევე იყო ერთ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ გახდა რუსეთი იძულებული უკან დაეხია კიევის, სუმის და ჩერნიგოვის მიმართულებებიდან და გადაესროლა ჯარები უკრაინის აღმოსავლეთში, სადაც ლოგისტიკური მომარაგების გზები რუსებს გაკაფული ჰქონდათ 2014 წლიდან.

ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა რომ რუსეთის ავიაციის იერიშებისა და სარაკეტო დარტყმების შედეგად, უკრაინამ დაკარგა თავისი სამხედრო ინფრასტრუქტურისა და საბრძოლო ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, დასავლეთმა უზრუნველჰყო უკრაინული არმიის მუდმივი შევსება თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით, საბრძოლო მასალებითა და აღჭურვილობით მომარაგება და მისცა მას საშუალება აქტიურად და ეფექტურად გაუწიოს წინააღმდეგობა რუსეთის ფედერაციის შეტევით ოპერაციებს, უკუაგდოს ისინი და დიდი ზიანიც მიაყენოს.

საფრთხეებთან გამკლავების გზები

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ საქართველოსათვის ამიერკავკასიაში არსებული და პოტენციური ძირითადი საფრთხეები:

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთთან ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე დაპირისპირება, ომის განახლების მუდმივი საშიშროება;
- ოკუპაცია და ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო ხელისუფლებების შეურიგებელი პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ;
- ახალი სეპარატისტული კონფლიქტების გაღვივების საშიშროება;
- რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების აღმოცენების საშიშროება;

საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების დისბალანსი[4] მისი მეზობელი ქვეყნებისა და სეპარატისტული რეგიონების სამხედრო შესაძლებლობებთან;

- ქრონიკული შიდა პოლიტიკური დაძაბულობა ქვეყანაში.

ზემოაღნიშნულ საფრთხეებსა და გამოწვევებთან გამკლავება შეუძლებელია მხოლოდ ერთი, მაგალითად სამხედრო გზით. ამ საკითხისადმი მიდგომა აუცილებლად კომპლექსური უნდა იყოს, თუმცა სამხედრო გაძლიერებას ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გადაჭარბების გარეშე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შესაბამისად ყველა სხვა ძალისხმევა საბოლოო ჯამში ისევ და ისევ სამხედრო გაძლიოერების ზრდისაკენ უნდა იყოს მიმართული.

NATO - ში გაწევრიანება

საქართველოს, მისი რელიეფის გამოყენებით, მასობრივი რეზერვის შექმნით და მაღალტექნოლოგიური შეიარაღების დანერგვით სავსებით შეუძლია ისეთი სამხედრო ძალის აშენება, რომლის შესაძლებლობების გათვალისწინება ნებისმიერ ავისმოსურნეს მოუწევს და რომელიც შესძლებს ქვეყანაში შემოჭრილ ყველა მოწინააღმდეგესთან ეფექტურად გამკლავებას. ამასთან ერთად ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ ყველაზე მაღალი დონის უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიოს მასშტაბის სამხედრო ძალის მხარდაჭერით, ან მასთან კოოპერაციით, კერძოდ კი საქართველოს NATO - ს სამხედრო პოლიტიკურ ალიანსში გაწევრიანებით.

წლებია საქართველო ცდილობს გახდეს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი, თუმცა გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო ეს მცდელობა იბლოკება რამოდენინე NATO - ს წევრი

ქვეყნის მიერ. ამისდა მიუხედავად მუდმივად ცვლადი პოლიტიკური ვითარების პირობებში ეს დაბრკოლება შეიძლება ნებისმიერ მომენტში მოხსნილ იქნას და იმ მომენტისათვის საქართველო აუცილებლად უნდა იყოს მზად მასში გაწევრიანებისათვის როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, რათა არ მოხდეს NATO - ში გაწევრიანების გაჩენილი შანსის კვლავ ხელიდან გაშვება. ეს შესაძლებელია სტაბილური, პოლიტიკურად მდგრადი დემოკრატიული საზოგადოების აშენებით და NATO - ს სტანდარტებთან თავსებადი ძლიერი თავდაცვის ძალების არსებობით.

თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება

შედარებისათვის რომ ავიღოთ საქართველოსთან ტერიტორიით მიახლოვებული სიდიდის ან უფრო მცირე ზომის ქვეყნები, როგორც ისრაელი, შვეიცარია და ესტონეთია, დავინახავთ რომ მათ ომის შემთხვევაში საქართველოზე ბევრად მეტი რაოდენობის ჯარისკაცების გამოყვანა შეუძლიათ. ასე ისრაელს 500 000-ის, შვეიცარიას 700 000-ის, ხოლო ესტონეთს 300 000 მებრძოლის რაოდენობის ფარგლებში სარეზრვო ძალები ჰყავთ გარდა აქტიურ სამსახურში მყოფი შეიარაღებული ძალების რაოდენობისა.

როგორც უკრაინის და მთიანი ყარაბაღის ბოლო ომებმა გვაჩვენა, კვლავ როგორც ყოველთვის, კონფლიქტში ჩაბმული სამხედრო ძალების რაოდენობას აქვს ძალიან

დიდი, თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა. შესაბამისად ნათლად ჩანს მასობრივი, ქმედითუნარიანი, ეფექტური სარეზერვო ძალის შექმნის აუცილებლობა საქართველოს დაცვისათვის. ეს პროცესი უკვე დაწყებულია, თუმცა სასურველი იქნებოდა ქვეყნის რეზერვის შექმნის გარდა არსებულისა კიდევ დამატებითი გზების მოძიება და შექმნა.

საქართველოს თავდაცვის ძალებში უკვე არის შემოტანილი და ინერგება „ჯაველინი“ - ს ტიპის ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო სისტემა. ასევე დაგეგმილია საქართველოში უპილოტო საფრენი აპარატების წარმოება. თუმცა გამომდინარე ჩვენი მთავარი პოტენციური მოწინააღმდეგის შესაძლებლობებიდან, სასურველი იქნებოდა ეს და სხვა თანამედროვე მაღალტექნოლოგიური იარაღები კიდევ უფრო მასიურად იყოს ჩვენს თავდაცვის ძალებში წარმოდგენილი, რაც ასევე ეხება უახლეს საარტილერიო, სადაზვერვო, კავშირგაბმულობისა და სხვა სახის სისტემებს. თანხები, რომლების დახარჯვაც მოუწევს საქართველოს მისი თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებისათვის, დაბრუნდება საზოგადოებაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების შგრძნების დაბრუნებასთან ერთად ეკონომიკური ზრდით და ასევე უცხოური ინვესტიციებისა სახით.

ეკონომიკური განვითარება და სამხედრო ხარჯების ზრდა

როგორც იქნა აღნიშნული, ამიერკავკასიაში არსებულ და პოტენციურ საფრთხეებთან გამკლავების ყველაზე ეფექტური გზა არის საქართველოს სამხედრო შესაძლებლობების ზრდა. ის კი შეუძლებელია თუ არ მოხდა ქვეყნის ეკონომიკის ზრდა, რომელიც სამხედრო ზრდისათვის აუცილებელ რესურსებს გააჩენს. ეკონომიკის ზრდა კი თავისთავად მიბმულია საზოგადოებაში და ინვესტორებში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდაზე, რასაც ისევ და ისევ სამხედრო სიძლიერე და მისი მიერ მოტანილი სტაბილურობა განაპირობებს.

გარდა სამხედრო დაცულობისა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას ასევე სჭირდება შიდა საზოგადოებრივი კომპრომისი და პოლიტიკური სტაბილურობა, რისი მიღწევის პასუხისმგებლობა არა მარტო ხელისუფლებაზეა, რამდენაც ხალხზე, მის ელიტაზე და ფართო მასებზე. პოლიტიკური სტაბილურობა, საზოგადოებრივი კომპრომისი და პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება ხელს შეუწყობს ინვესტიციების ზრდას და ეკომიკის განვითარებას, რაც გააჩენს სამხედრო შესაძლებლობებისათვის ახალი რესურსების გამოყოფას, ხოლო გაზრდილი სამხედრო შესაძლებლობები თავისთავად გააჩენენ მეტი დაცულობისა და სტაბილურობის შეგრძნებას და ისევ ეკონომიკის განვითარებას შეუწყობენ ხელს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამიერკავკასიის რეგიონში არსებული და პოტენციური საფრთხეები ძირითადად გამომდინარეობს გადაუწყვეტელი ეთნიკურ-ტერიტორიული კონფლიქტებიდან, მათში გარე დიდი სახელმწიფოების ირიბი და პირდაპირი ჩარევიდან, ქვეყნების შიდა პოლიტიკური არასტაბილურობიდან, ეკონომიკების არასაკმარისი განვითარებიდან და ცხოვრების დაბალი დონიდან. საქართველოს შემთხვევაში ამ ყველაფერს ემატება საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების, ასევე სეპარატისტული რეგიონების სამხედრო შესაძლებლობებს შორის საგრძნობი დისბალანსი, რომელთან გამკლავებასაც თავდაცვაზე მიმართული მეტი რესურსი სჭირდება, ვიდრე საქართველო გამოყოფს ამჟამად. ამისათვის კი პირველ რიგში ეკონომიკის ზრდაა საჭირო, რაც შეუძლებელია შიდა საზოგადოებრივი კომპრომისის და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევის გარეშე.

4. ქვეყნებს შორის არსებული იმ სამხედრო შესაძლებლობათა სხვაობა, რომლებიც აუცილებელია ომის შემთხვევაში გამარჯვების მიღწევისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Abkhazian Armed Forces." Wikipedia. Wikimedia Foundation, May 28, 2022. https://en.wikipedia.org/wiki/Abkhazian_Armed_Forces.
2. "Armed Forces of South Ossetia." Wikipedia. Wikimedia Foundation, June 10, 2022. https://en.wikipedia.org/wiki/Armed_Forces_of_South_Ossetia.
3. Circle. "მოსახლეობა და დემოგრაფია - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური." Accessed June 22, 2022. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia.
4. Military size by country 2022. Accessed June 22, 2022. https://worldpopulationreview.com/country-rankings/military-size-by-country.
5. Military spending by country 2022. Accessed June 22, 2022. https://worldpopulationreview.com/country-rankings/military-spending-by-country.
6. "The Nagorno-Karabakh Conflict: A Visual Explainer." Crisis Group, May 18, 2022. https://www.crisisgroup.org/content/nagorno-karabakh-conflict-visual-explainer.
7. "National Leader." Az□rbaycan Respublikasının Nazirl□r Kabineti, June 22, 2022. https://nk.gov.az/en/page/33/.

,,რბილი ძალის'' და საინფორმაციო ომის გავლენა სამხრეთ კავკასიაში

უფროსი სერჟანტი ლერი უშხვანი
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
იუნკერთა სასწავლო ბატალიონის
პირველი კურსის სერჟანტი

აბსტრაქტი

საუკუნეების მანძილზე სამხრეთ კავკასია იქცევდა მსოფლიოს დომინანტი ქვეყნების ყურადღებას მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ძალაუფლების გადანაწილებისთვის მუდმივად მიმდინარეობდა ომები. ცივი ომის დასრულების შემდეგ რეგიონში დაისადგურა შედარებითმა სიმშვიდემ, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასია მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე ისევ მოექცა საერთაშორისო ყურადღების ცენტრში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში, გავლენის მოპოვებას ცდილობენ რუსეთი, აშშ, თურქეთი, ირანი ევროკავშირი, ჩინეთი და ა.შ...

XXI-ე საუკუნეში ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შეიცვალა გავლენის მოპოვების საშუალებები, თუ წინა საუკუნეებში ხდებოდა ,,ხისტი ძალის'' გამოყენებით გავლენის მოპოვება, დღევანდელ რეალობაში მიდგომა შეცვლილია და ინიციატორი ქვეყნები იყენებენ ე.წ. ,,რბილ ძალას''. თუმცა, რეგიონში ფიქსირდება ,,ხისტი ძალის'' პრეცენდენტებიც. აღნიშნული პროცესი საკმაოდ რთულად კონტროლირებადი არის რეგიონში არსებული ქვეყნების მიერ. პატარა ქვეყნები მუდმივად ხდებიან დიდი ქვეყნების ჩარევის მსხვერპლი, რადგან გავლენებისათვის და ძალაუფლებისთვის ბრძოლაში არ შესწევთ შესაბამისი წინააღმდეგობის გაწევის საშუალება. ასევე XXI-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ჰიბრიდული ომი და ,,ჰიბრიდული ომის'' ერთ-ერთი სახე საინფორმაციო ომის სახით. ,,საინფორმაციო ომს'' თან აქვს მიზანშედეგობრივი კავშირი გავლენის მოპოვებასთან და ითვლება მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საუკუთესო საშუალებად და მის წინააღმდეგ დროული ნაბიჯების გადადგმა რთულად პროგნოზირებადია, რადგან ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ვითარდება საინფორმაციო ომის სტრუქტურა.

ჩემი ნაშრომის მიზანი არის წარმოვაჩინო რეგიონში მოქმედი ქვეყნების მიერ გავლენის მოპოვების მიზნით განხორციელებული და მიმდინარე ,,რბილი ძალის'' და ,,საინფორმაციო ომის'' მეთოდები, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფები ხშირ შემთხვევაში მათთვის დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხდებიან დეზინფორმაციის მსხვერპლი. ჩემი მიზანია დავანახო მკითხველს როგორც, დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები, რომელიც თან ახლავს რეგიონში გატარებულ ,,რბილი ძალის'' პოლიტიკას, ასევე იმ ქვეყნების ინტერესები რომლებიც ცდილობენ გავლენის მოპოვებას რეგიონში.

საკვანძო სიტყვები: რბილი ძალა, ჰიბრიდული ომი, საინფორმაციო ომი, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, ენერგო რესურსები, სტრატეგიული პარტნიორი.

IMPACT OF "SOFT POWER" AND INFORMATION WAR IN THE SOUTH CAUCASUS

SENIOR SERGEANT LERI USHKHANI
LEPL- National Defence Academy,
Junkers' training battalion, sergeant of the 1st course

ABSTRACT

For centuries, the South Caucasus has attracted the attention of the world's dominant countries due to its geopolitical position. There were perpetual wars for the redistribution of power. After the end of the Cold War, calmness was restored in the region, but after the collapse of the Soviet Union, the South Caucasus returned to international attention again due to its geopolitical importance.

Russia, the United States, Turkey, Iran, the European Union, China, etc, are trying to gain influence in the South Caucasus region.

With the development of technology in the 21st century, the ways of gaining influence have changed. If in previous centuries influence was achieved through the use of "hard power", in today's reality the approach has changed and the initiating countries are using "soft power", although there are still precedents in the region for the use of "hard power". This process is quite difficult to be controlled by countries of this region, because small countries are regularly victimized by the large countries, and in the fight for influence and power, they cannot provide adequate resistance.

Also, one of the main challenges of the XXI century is the "hybrid war" and one of the forms of "hybrid war" is "information warfare". Information warfare" has a purposeful connection with gaining influence and is considered to be one of the best ways of achieving the goal. It is difficult to take some predictional steps against it, as the structure of the "information warfare" develops with the development of technology.

The aim of my article is to represent the current "soft power" and "information warfare" methods, which are used by the countries in the region for gaining influence, through which vulnerable groups of society became the victims of disinformation, for some independent reasons. Also, my aim is to show to the reader the pros and cons that accompany the "soft power" policy pursued in the region, as well as the interests of countries seeking to gain influence in the region.

Keywords: Soft power, Hybrid war, information war, South Caucasus region, Energy resources, Strategic partner.

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი საუკუნეების მანძილზე იყო რეგიონში და რეგიონს გარეთ არსებული წამყვანი ქვეყენის ინტერესების ასპარეზი. ბოლო საუკუნეების მანძილზე კი გახდა რეგიონში მყოფი ქვეყნების ,,მძევალი''. რუსეთი, ირანი და თურქეთი საუკუნეების მანძილზე მუდმივად ცდილობდენ საკუთარ გავლენის ქვეშ მოექციათ რეგიონი და ეს პროცესი დღემდე მიმდინარეობს. თუმცა გავლენები როგორც წარსულში ასევე დღევანდელ რეალობაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს. აღსანიშნავია რუსეთის დომინირება საუკუნეზე დიდი ხნის მანძილზე სამხრეთ კავკასიისთვის გავლენების გაფართოებისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასია მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოექცა და ჩამოყალიბდა საკმაოდ რთულ რეგიონად. არსებობს ტერიტორიული კონფლიქტები რომელიც იწვევს დაქსასულობას,მუდმივი სწრაფვა დემოკრატიისკენ და ხშირი ცვალებადობა აღნიშნულ სწრაფვასთან დაკავშირებით, განსხვავებული ნაციონალისტური იდენტობა და ამ ყველაფერს ემატება რუსეთის დამოკიდებულება ქვეყნის საგარეო კურსთან მიმართებაში. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ სამხრეთ კავკასია მოიცვა სხვადასხვა სახის სამხედრო კონფლიქტებმა რამაც გამოიწვია რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის განადგურება. პარალელურად სამხრეთ კავკასიის რეგიონი იქცევს მსოფლიოში არაერთი წამყვანი ქვეყნის ინტერესს, რადგან სამხრეთ კავკასიის რეგიონს გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსები და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. სამხრეთ კავკასია მდიდარი არის გაზით, ნავთობით და აქვს მნიშვნელოვანი სატრანზიტო პოტენციალი.მისი გეოგრაფიული მდებარეობა საუკუნეების მანძილზე მუდმივად იპყრობდა სხვადასხვა იმპერიების და ქვეყნების ინტერესს. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ რეგიონში არსებული საბადოების შეფასება თავდაპირველად გადაჭარბებული იყო,[1] არსებული რესურსი მაინც გულგრილს არ ტოვებს მსოფლიოში არსებული აქტორი ქვეყნის ლიდერებს. კასპიის ზღვის რეგიონში არსებულ რესურსებს ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია მსოფლიოსთვის, გამომდინარე იქედან რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არის ნავთობის უდიდესი საბადოები,იგი მოექცა ბევრი ქვეყნის ინტერსის სფეროში.

ძირითადი ნაწილი

ამერიკის შეერთებული შტატები - სამხრეთ კავკასიას ამერიკი შეერთებული შტატებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობაისაა. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ვაშინგტონისთვის სამხრეთ კავკასია განიხილებოდა როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენლებაში შემავალი რეგიონი, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე მისი ინტერესთა სფერო გაფართოვდა. ვაშინგტონს რეგიონში გააჩნია უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. აღნიშნულ რეგიონში ფეხის მოკიდებით აშშ ცდილობს შეამციროს რუსეთის ფედერაციის შესაძლებლობები და ცდილობს მაქსიმალურად მიუახლოვდეს მის საზღვრებს. აშშ-ს ინტერესი რათქმა უნდა არის ირანის ისლამური სახელმწიფოს შესაძლებლობების შეზღუდვა, რადგან ირანის ისლამური სახელმწიფო აშშ-მა შეიყვანა ,,ბოროტების ღერძის''[2] სიაში. ასევე გასათვალისწინებელია ჩინეთი. არ არის გამორიცხული ჩინეთი მისი ამბიციებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე გახდეს მომავალში მისი მოწინააღმდეგე. ვაშინგტონი კრემლისგან განსხვავებით რეგიონში დამკვიდრებას ცდილობს დემოკრატიული ფასეულობების გაზიარებით. მისი მთავარი ინტერესი არის პარტნიორი და სტრატეგიულ ქვეყნების განვითარება და დემოკრატიული ფასეულობების გავრცელება, რითაც შეძლებს მოწინააღმდეგე ქვეყნების გავლენის შემცირებას სამიზნე ქვეყნებში.

სამხრეთ კავკასიის რეგიონების დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე აშშ-ი იწყებს <u>დიპლომატიურ</u> ურთიერთობას რეგიონის ქვეყნებთან და ასახელებს მათ სტრატეგიულ

1 ვაშინგტონი ხშირად სპარსეთის ყურის რესურსების ალტერნატივადაც მოიაზრებდა.

2 აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ირანს,ჩრდილოეთ კორეას და ერაყს უწოდა 2002 წელს ,,ბოროტების ღერძი''

პარტნიორებად, თუმცა მალევე ამოიღებს სომხეთს სტრატეგიულ პარტნიორების სიიდან. რუსეთზე დამოკიდებულების გამო სომხეთი ასევე თავს იკავებს NATO-სთან დაკავშირებით. ამ ყველაფრის მიუხედავად აშშ ცდილობს, რომ შეცვალოს სომხეთის სტრატეგიული ორიენტაცია რუსეთთან მიმართებაში, და ამით ცდილობს პოლიტიკურ ზეგავლენას. აშშ ცდილობს როგორც რუსეთის ინტერესების დასუსტებას სომხეთში და სომხეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანას, პარალელურად ასევე ცდილობს გააწყვეტინოს ირანთან ყველა სახის ურთიერთობა. ამ ყველაფერში კი ცდილობს გამოიყენოს სომხური დიასპორა. აშშ აჟღერებს ოკუპირებული ტერიტორიებთან დაკავშირებული დავის მშვიდობიანად მოგვარების იდეას, როგორც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ასევე ,,მთიან ყარაბაღში''. ვაშინგტონი მუდმივად და ღიად აკრიტიკებს კრემლის მოქმედებებს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში.

აშშ-ს და აზერბაიჯანს შორის დიპლომატიურ ურთიერთობას საფუძველი ჩეყარა 1997 წელს როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონს. აშშ-ის გეოპოლიტიკურ ინტერესის სფეროში არის კასპიის და შავი ზღვის რეგიონი. შესაბამისად აზერბაიჯანის ფაქტორი აღნიშნული ინტერესის განხორციელებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. აშშ-ის როლი განუსაზღვრელად დიდი არის ორი მნიშვნელოვანი ენერგოპროექტის განხროციელაბაში ,,ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა/BTC'' (რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გრძელი(1768კმ.)მილსადენია მსოფლიოში და ,,ბაქო-თბილისი-ერზრუმის/BTE სახით (შაჰდენიზის გაზსადენი)“, ასევე დიდი როლი ითამაშა თურქეთთან ერთად ,,ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზისა'' და ,,ტრანს-ანატოლიური'' (TANAP) პროექტის გახსნაში. აღნიშნული პროექტის სხვა მრავალ დადებით მხარეებთან ერთად არის აღნიშნული ქვეყნების დამოუკიდებლობის გარანტიები.

აშშ-მ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა 1991 წელს და 1992 წელს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. ამავე წელს საქართველოში გაიხსნა აშშ-ის საელჩო. თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობის გაღრმავება დაიწყო 2001 წელს. 2002 წელს ამერიკის რეკომენდაციით და გვერდში დგომით დაიწყო ქართული ჯარის წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა და დღემდე მიმდინარეობს სხვადასხვა სახის დახმარება თავდაცვის სამინისტროს მიმართულებით.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს და აშშ-ს შორის ურთიერთობა გადადის ახალ ფაზაში რაც გამოიხატა ,,2009 წლის 9 იანვარს გაფორმებულ სტრატეგიული განვითარების ქარტიით. ქარტია ეფუძვნება სტრატეგიული თანამშრომლობის პრინციპებს, სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერას, დემოკრატიის და სტაბილურობის განმტკიცებას.''[3]

საქართველო ქმნის დერეფანს ევროპასა და აზიას შორის. აღნიშნული დერეფნის მნიშვნელობა აშშ-თვის საკმაოდ მაღალია გამომდინარე მისი დატვირთვიდან და მნიშვნელობიდან, რადგან ევროკავშირი და აშშ ერთობლივად ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლებად გახდნენ რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებული.

აშშ-ის მხარდაჭერა არაერთხელ გამოიხატა კულტური და ისტორიული ძეგლების აღდგენასა და რეკონსტრქუციაში, ასევე არაერთი საქართველოს მოქალაქე მიდის აშშ-ში გაცვლითი პროგრამების სახით უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში.

აშშ-ის მიერ გატარებული ,,რბილი ძალა'' ქვეყნის ინტერესებს საზიანოდ არ არის განხორციელებული და ემსახურება რუსეთის და ირანის გავლენის შესუსტებას.

თურქეთი - თურქეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ანგარიშგასაწევი ძალაა. შეიძლება ითქვას რომ რუსეთის შემდეგ მეორე დომინანტურ ძალად გვევლინება. ისტორიულ წარსულზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის თქმა რომ თურქეთი მუდმივად ცდილობდა რეგიონის მოქცევას თავისი გავლენის ქვეშ. თურქეთი ამერიკისთვის ათწლეულების მანძილზე იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლაცდარმი საბჭოთა კავშირთან მიმართებაში. ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ

3 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.

პარტნიორობის ფორმატში განიხილებოდა. აშშ-ი მაქსიმალურად ეხმარებოდა თურქეთს გამხდარიყო რეგიონში ერთერთი ანგარიშგასაწევი ძალა, თავის მხრივ თურქეთი ასრულებდა სანდო და დასაყრდენი პარტნიორის როლს, რაც გამოიხატა თურქეთის 1952 წელს ნატოში გაწევრიანებით და მის ტერიტორიაზე სამხედრო-საჰაერო ბაზის მშენებლობით. მას შემდეგ რაც თურქეთი ჩამოყალიბდა ანგარიშ-გასაწევ ძალად მათი ამბიციები დაუბრუნდა წარსულის იმ ნიშნულს როდესაც ლიდერობას არ უთმობდა სამხრეთ კავკასიაში კონკურენტ ქვეყნებს. მათ აღარ აკმაყოფილებთ პარტნიორი ქვეყნის ინტერესების გამტარებლად ყოფნა და დაიწყეს საკუთარი ინტერესების და გავლენის მოპოვება რეგიონში. თურქეთი მუდმივად ცდილობს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას და დამკვიდრებას არამარტო რეგიონში არამედ მსოფლიო ასპარეზზე. მიუხედავად იმისა რომ თურქეთსა და სომხეთს შორის არის ხელმოწერილი დოკუმენტი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ, მათი ურთიერთობა ჩიხში არის მოქცეული. სომხეთს და თურქეთს შორის 1915 წელს მომხდარი ისტორიული ფაქტი ძალიან დიდ გავლენას ახდენს ამ ორი ქვეყნის დიპლომატიურ ურთიერთობაზე. სომხეთი მოითხოვს თურქეთისგან გენოციდის აღიარებას, რომელსაც კატეგორიულად ემიჯნება თურქეთი და აღნიშნულ ფაქტს მიაწერს სომხეთის მიერ დაწყებულ აჯანყებას. ასევე თურქეთ-სომხეთის დიპლომატიურ ურთიერთობაზე უარყოფით გავლენას ახდენს თურქეთის პოზიცია მთიან ყარაბაღის კონფლიქტთან მიმართებაში. თურქეთი ღიად უჭერს აზერბაიჯანს. თავის მხრივ სომხეთი პარტნიორ ქვეყანად მიიჩნევს თურქეთის ისტორიულად მოწინააღმდეგე ირანს. ამ ყველაფრის ფონზე თურქეთის პოზიციები სომხეთში არასახარბიელოა რაც არ აძლევს თურქეთს საშუალებას რბილი ძალის გამოყენების.

აზერბაიჯანის და თურქეთის ურთიერთობაზე ნათლად მეტყველებს ამ ორი ქვეყნის მოსახლეობის და პოლიტიკოსების მიერ გაჟღერებული ლოზუნგი ,,ერთი ერი, ორი სახელმწიფო''.[4] ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატში მიმდინარეობს. თურქეთი აზერბაიჯანს მხარს ღიად უჭერს მთიანი ყარაბიღის კონფლიქტში. მათი ურთიერთობა კეთილმეზობლურია რაც გამოიხატება სტამბოლში პერიოდულად გამართულ ანტისომხური აქციებით და ასახული არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა/BTC და ბაქო-თბილისი-ერზრუმის/BTE სახით (შაჰდენიზის გაზსადენი) ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზისა და ტრანს-ანატოლიური (TANAP) პროექტების განხროციელებაში. საგანმანათლებლო მიმართულებითაც რეგიონში საკმაოდ აქტიური არის თურქეთი. ბაქოდან და თბილისიდან სასწავლებლად ათასობით სტუდენტი მიემგზავრება გაცვლითი პროგრამებით თურქეთში. ასევე გახსნილი არის საგანმანათლებლო დაწესებულებები ბაქოსა და თბილისში როგორიც არის იუნუს ემრეს თურქული კულტურის ცენტრი (YUNUS EMRE INSTI TUTSU). ბაქოს და ანკარას კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე ასევე მეტყველებს 2014 წელს მომხდარი ფაქტი, სადაც ფუთულაჰ გულენი გამოცხადდა ტერორისტულ ორგანიზაციად და ანკარის მოთხოვნით დაიხურა მისი სახელობის სკოლები ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აზერბაიჯანში.

ირანის ისლამური სახელმწიფო - ისტორიულად ირანის ისლამურ სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის რეგიონში მუდმივად წარმოადგენდა ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ძალას და ხშირ შემთხვევაში ლიდერ ქვეყანადაც ითვლებოდა. მისი პოზიციები ამ ეტაპზე რეგიონში შესუსტებულია და შეიძლება ითქვას აუტსაიდერი არის რეგიონისთვის ბრძოლაში, თუმცა მისი შესაძლებლობების უგულებელყოფა არ შეიძლება. თეირანის მიზნები შორს მიმავალი არის სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ირანის ისლამური სახელმწიფოს პოზიციების შესუსტების მთავარი მიზეზი არის მისი პოზიცია აშშ-თან მიმართებაში, რადგან აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2002 წელს ,,ბოროტების ღერძის'' სიაში ერაყთან და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად შეიყვანა და სანქციები დაუწესა რომელიც დღემდე აქტიური არის. ამ ყველაფრის ფონზე ირანის ისლამურმა

4 1990-იან წლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის მიერ წამოყენებული ლოზუნგი

სახელმწიფომ ძალიან დიდი ზარალი განიცადა და მისი პოზიციები შესუსტდა რეგიონში. გასათვალისწინებელი არის შემდეგი გარემოება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა და დაიწყო აღნიშნულ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობები. ირანის ისლამურ სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობა აქვს კრემლთან, სამაგიეროდ თურქეთან აქვს პრობლემები. მათი ინტერესები სამხრეთ კავკასიაში მუდმივად წინააღმდეგობაში იყო. ათწლეულების გადმოსახედიდან თუ თურქეთს მხარს უმაგრებს NATO, ირანს გააჩნია საკმაოდ მდიდარი ბუნებრივი წიაღისეული რაც თეირანს ანგარიშგასაწევ ძალად ხდის. ცალკე გამოსაყოფი არის ირანის ისლამური სახელმწიფოს მუშაობა ბირთვული არსენალის მქონე სახელმწიფოდ შექმნასთან დაკავშრებით, რაც მას ყოველთვის ანგარიშგასაწევ ძალად ხდის.

ირანი განსაკუთრებით ფრთხილად მოქმედებს აზერბაიჯანთან ე.წ ,,სამხრეთ აზერბაიჯანთან''[5] და ერიდება ეთნო კონფლიქტის გაღვივებას, ხოლო სომხეთისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ ეკონომიკურ დასაყრდენს. საქართველოსთან ირანის ისლამურ სახელმწიფოს გააჩნია კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა, თუმცა აღნიშნული ურთიერთობა არც ისე დიდ მასშტაბებს მოიცავს, გამომდინარე საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ს და ირანის ისლამურ სახელმწიფოს შორის არსებული დაპირსიპირების გამო.

რუსეთის ფედერაცია - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს არ დაუკარგავს ლიდერის როლი სამხრეთ კავკასიაში გავლენისთვის ბრძოლაში. კრემლი მუდმივად ცდილობს წნეხში ყავდეს რეგიონში შემავალი ქვეყნები და მაქსიმალურად ცდილობს ჩაერიოს რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაში. კრემლი აჟღერებს ადამიანის ფუნდამენტალურ ფასეულობებს, მაგრამ ამ ყველაფერს აკეთებს საკუთარი ინტერპრეტაციით. მისი მიდგომა მეზობელ ქვეყნებთან გამოიხატება მუდმივი მცდელობით ქვეყნების შიდა პოლიტიკაში ჩართვით ან სამხედრო ინტერვენციის გზით. მიუხედავად იმისა რომ რუსეთის შესაძლებლობები ეჭვქვეშ დადგა რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე, მაინც ძალიან ძნელი არის იმ წნეხთან გამკლავება რომელსაც კრემლი ახორციელებს. რუსი მაღალჩინოსნები პირდაპირ თუ ირიბად აჟღერებენ მოწოდებებს საბჭოთა კავშირის აღდგენასთან დაკავშირებით. მიუხედავად დასავლეთის წინააღმდეგობისა რუსეთის პოლიტიკური კურსი არ იცვლება. მისთვის დამახასიათებელია ,,რბილი'' და ,,ხისტი'' ძალით მოქმედება. არ ერიდება სამხედრო გზით ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევას და ქვეყნებზე ზემოქმედებას ახდენს ოკუპაციის გზით.

ლ. ზილფიმიანი: „სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებსაც კავკასიურ ზონაში უდაო გავლენა აქვთ, რუსეთი ერთადერთია, რომელსაც ფეხქვეშ მიწა ეცლება“[6], მაგრამ, ფაქტია, რომ ჯერჯერობით რუსეთი, მართალია ძირითადად, ოკუპაციის ფაქტორის გამოყენებით, მაგრამ მაინც, წარმატებით ახერხებს მართოს პროცესები სამხრეთ კავკასიაში. რუსეთი ,,საინფორმაციო ომში'' იყენებს აქტიურად ,,გერასიმოვის დოქტრინას'', რომელიც გულისხმობს ომს საინფორმაციო ველზე და მისი მიზანი არის გონებაზე იერიშის მიტანა და სამიზნე აუდიტორიაზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედება. ლატვიის ეროვნული სამხედრო აკადემიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, „მთავარი ამოცანა არის სამხედრო ძალის გამოყენების საჭიროების მინიმუმამდე შემცირება იმით, რომ ოპონენტის სამხედრო და სამოქალაქო მოსახლეობას უბიძგო, მხარი დაუჭიროს თავდამსხმელს საკუთარი ხელისუფლების და ქვეყნის საზიანოდ“.[7]

„გერასიმოვის დოქტრინის'' ,არანაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტია პერმანენტული ომის ცნება, ვინაიდან ის მუდმივი მტრის იდეას გამოხატავს. მიმდინარე კონფლიქტში

5 ირანის მოსახლეობის 40% ეთნიკურად აზერბაიჯანელია, დაახლოებით 20-25 მილიონი

6 Zilpimiani, 2015;

7 Berzins, J., Russia's New Generation Warfare in Ukraine: Implications for Latvian Defense Policy, ლატვიის თავდაცვის ეროვნული აკადემია, უსაფრთხოების და სტრატეგიული კვლევების ცენტრი, 2014 წ.

რუსეთის ხელმძღვანელობისთვის მტერი არც უკრაინაა და არც საქართველო, არამედ თავისუფალი სამყარო მისი ღირებულებებით, იდეოლოგიით, პოლიტიკური სისტემითა და უსაფრთხოების დამკვიდრებული არქიტექტურით. შესაბამისად, რუსეთის მთავარი ამოცანაა, შეარყიოს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს მიღწევები იმით, რომ ეჭვის ქვეშ დააყენოს აშშ-ის როლი ევრო-ატლანტიკური გაფართოებული უსაფრთხოების არქიტექტურაში.

რუსეთი სამიზნე ქვეყნებში მოქმედებს შემდეგნაირად: „1. რაც უფრო მეტად შორდება სამიზნე ქვეყანა რუსულ ორბიტას და დასავლური ინსტიტუტებისკენ მიისწრაფის, მით უფრო ინტენსიურია ამ ქვეყანაში რუსეთის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომი. 2. რაც უფრო მეტად არის ქვეყანა რუსეთზე პოლიტიკურად/ეკონომიკურად/ენერგეტიკულად დამოკიდებული, მით უფრო ნაკლებ ინტენსიურია ამ ქვეყანაში რუსეთის საინფორმაციო ომი. 3. რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, მით უფრო ინტენსიურია ამ ქვეყანაში რუსეთის საინფორმაციო ომი.”[8]

რუსეთის საიმედო პარტნიორობასთან არსებული მითები დამსხვრეული არის სომხეთში. რუსეთმა საბჭოთა კავშირის დასრულების შემდეგ შეძლო სომხური პოლიტიკური ვექტორის სათავისოდ შეტრიალება თუმცა 2020 წლის ,,მთიანი ყარაბაღის'' საკითხში გვერდზე დგომა არჩია რაც სომხეთს გარკვეული ტერიტორიების დაკარგვის ფასად დაუჯდა.

რუსეთი აზერბაიჯანთან მიმართებით შედარებით ფრთხილი მოქმედებებით გამოირჩევა. ორივე ქვეყანა გამოთქვამს მზაობას სტრატეგიულ პარტნიორობასთან დაკავშირებით. რუსეთის ინტერესი აზერბაიჯანთან მიმართებში არის მისი ბუნებრივი რესურსები, ხოლო აზერბაიჯანის ფრთხილი პოლიტიკის დამსახურება არის ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები ,,მთიან ყარაბაღთან'' მიმართებაში.

საქართველოში რუსული ,,რბილი ძალის'' გავლენა საკმაოდ მაღალია. მიუხედავად იმისა რომ ,,მცოცავი ოკუპაცია'' დღემდე გრძელდება საქართველოში საგანგაშო ნიშნულს აღწევს რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილთა რაოდენობა.

კრემლის პროპაგანდას აქვს შემდეგი მიზნები: მოსახლეობაში ანტიდასავლური შეხედულებების ჩამოყალიბება, რაც დაკავშირებული არის რელიგიის, ეროვნულობის, ადამიანის უფლებების დარღვევასთან. ხდება პრორუსული პარტიების შექმნა, რომელთა მიზანი არის მოწყვლად საზოგადოებაზე კრემლის ნარატივის მორგება, მუდმივი აპელირება ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების მიუღწევლობაზე.

კრემლი აქტიურად ცდილობს სეპარატიზმის გაღვივებას დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე და აქტიურად ავრცელებს დეზინფორმაციას, რომლის მიზანიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფ მოსახლეობაში შიშის და ზიზღის გაღვივებაა. აღნიშნული პროცესი კი იწვევს ეთნო-კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების გართულებას.

რუსეთის ,,რბილი ძალის'' ძირითადი დასაყრდენი საქართველოში არის ქართველი მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მგრძნობიარე თემები - რომელიც ეხება რელიგიას და ,,სექსუალური უმცირესობას''. ხდება მუდმივი აპელირება ერთმორწმუნეობაზე რომელიც რუსეთის ნიღაბს წარმოადგენს და ანტიდასავლური გრძნობების გაღვივება, იმ ნარატივზე დაყრდნობით რომელიც გულისხმობს სარწმუნოებისთვის მიუღებელი მოქმედებების განხორციელებას. რასაც ემატება ცალკეული სასულიერო პირების ანტიდასავლური განცხადებები.

,,მართვადი ქაოსი'' ცნება რომელიც ყველაზე ნათლად აჩვენებს კრემლის რეალურ სახეს, განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ როდესაც ,,რბილ ძალაზე'' დაყრდნობით სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები აქტიურად გამოხატავენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას, რასაც თან ერთვის კონსერვატიული ჯგუფების მიერ ძალისმიერი მეთოდებით მოქმედებები. ამ შემთხვევაში კულტურულ მოქმედებებს ანაცვლებს ძალისმიერი მეთოდები, რაც სპეცსამსახურების მოქმედებებს ნათლად

8 ს.გელავა, რუსეთის საინფორმაციო ომი სამხრეთ კავკასიაში: მეთოდები, ნარატივები, ინსტრუმენტები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019;

ასახავს.

ცალკე გამოსაყოფი არის რუსეთის უძლეველობის შესახებ შექმნილი მითები, თუმცა რუსეთ-უკრაინის ომმა ნათელი მოჰფინა რომ ეს ილუზიაა. ამ ყველაფრის განხორციელებაში მედიის და სოციალურ ქსელის როლი საკმაოდ დიდია. სოციალური ქსელების მეშვეობით ხდება სამიზნე და მოწყვლადი ჯგუფების დაყოფა რომლებიც დაუცველი არიან კრემლის ნარატივის წინაშე. დასავლეთის ,,რბილი ძალის'' მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ რომ ორიენტირებული არიან იმის კეთებაზე რაც სახელმწიფოს ჭირდება განვითარებისთვის, ხოლო რუსეთის ,,რბილი ძალა'' ორიენტირებული არის იმაზე თუ რა სჭირდება კრემლს და არა თბილისს.

დასკვნები და რეკომენდაციები

თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე სამხრეთ კავკასიაში იკვეთება სხვადასხვა ქვეყნების ინტერესები. ზემოთ მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება იმის თქმა რომ გავლენის მოპოვების განსხვავებული ხერხები არსებობს. აღნიშნული ფაქტები დადებით ფაქტორთან ერთად ხელის შემშლელი არის სამხრეთ კავკასიაში არსებული ქვეყნებისთვის. რთულია ამ ქვეყნებში დემოკრატიული ფასეულობების განვითარება და სწრაფვა ცივილიზირებული სამყაროსკენ, რადგან ისინი მუდმივად აწყდებიან დომინანტი ქვეყნების წინააღმდეგობას, რაც თავისთავად ხელისშემშლელი ფაქტორი არის იმ ქვეყნის სუვერენიტეტის და დემოკრატიული ფასეულობების განვითარებისათვის, და ხელს უშლის მათ თავად განსაზღვრონ ქვეყნის საგარეო კურსი. თუ დასავლეთი მუდმივად გამოთქვამს მზაობას გვერდში დგომის და არსებული ფუნდამენტალური ფასეულობების რეალიზებისათვის, რუსეთი არ ერიდება აღნიშნული ფუნდამეტალური უფლებების დარღვევას როგორც ,,რბილი ძალის" გამოყენებით ასევე სამხედრო ინტერვენციის გზით. ეს ყველაფერი კი ემსაგავსება ერთ წრეზე სიარულს. თუმცა შეიძლება ითქვას რომ ეგ ყველაფერი ჩვენთვის ისტორიულ კანონზომიერებად იქცა რომელიც გულისხმობს მუდმივ სწრაფვას და ბრძოლას დამოკიდებლობისთვის.

მოწინააღმდეგის ,,რბილი ძალის'' წინააღმდეგ აუცილებელი არის გაერთიანდეს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი თუ ორგანიზაცია და მოხდეს განსაზღვრა მოწყვლადი ჯგუფების და შემდეგ მომზადება მათი, რათა მოხდეს რუსულ პროპაგანდისტულ მანქანასთან განმკლავება. ეს ყველაფერი საკმაოდ შრომატევადი და დროში გაწელილი პროცესი იქნება, თუმცა ამჟამინდელი რეალობა ნათლად ასახავს აღნიშნული პროცესის დაწყების აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. უშხვანი ლ. ,,ჰიბრიდული ომის'' გავლენა ქართულ საზოგადოებაზე;
2. გამთენაძე ზ. ხიდეშელი გ. საერთაშორისო ურთიერთობებში „რბილი ძალის" პრაქტიკის დანერგვა სამიზნე ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე გავლენის მოპოვებისა და შენარჩუნების მიზნით. ქეისი – 75 რუსეთის „რბილი ძალა" საქართველოსა და სომხეთში, პოლიტიკა კავკასიის ირგვლივ, 2018 2.
3. მანჯგალაძე გ. აშშ-ის როლი საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით, ჟურნალი „ახალი აზრი", № 4 (10), აგვისტო, 2003
4. მაისურაძე ნ. ამერიკის შეერთებული შტატების რბილი ძალის ფაქტორი, პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობაში(საქართველოს, უკრაინის და რუსეთის ფედერაციის მაგალითზე)
5. თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1990-2008 (2014). თბილისი, თსუ
6. მანჩხაშვილი მ. „თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი" (სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თურქული მოდელები)
7. ანაშვილი, გ (2015) რუსეთის ,,რბილი ძალის'' პოტენციალი საქართველოში,

რუსეთის რბილი ძალა საქართველოში, თბილისი.
8. ს.გელავა, რუსეთის საინფორმაციო ომი სამხრეთ კავკასიაში: მეთოდები, ნარატივები, ინსტრუმენტები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2019;

ინტერნეტ წყაროები:

1. https://mfa.gov.ge/News/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8-%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92-(1).aspx
2. "პოლიტიკა და ისტორია." აშშ-ის საელჩო საქართველო, November 29, 2016. https://ge.usembassy.gov/ka/our-relationship-ka/policy-history-ka/.
3. "პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები." Accessed June 22, 2022. http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1471530452_hybrid-warfare-report-geo_web.pdf.
4. "სოციალურ და პოლიტიკურ ... - Tsu.ge." Accessed June 22, 2022. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Maia_Manchkhashvili.pdf.

რუსეთის მანიპულირება სამხრეთ კავკასიის ეთნიკური უმცირესობით რეგიონში იმპერიალისტური ზრახვების განხორციელების მიზნით

უფროსი სერჟანტი მირიან იაკობაშვილი
სპეციალური ოპერაციების ძალები
გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია წარმოაჩენს სამხრეთ კავკასიის რეგიონში შემავალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში რუსეთის სურვილს განახორციელოს იმპერიალისტური ზრახვები. რისთვისაც რუსეთი იყენებს ეთნონაციონალიზმზე დაფუძნებულ სეპარატიზმს.

სტატია მიზნად ისახავს, აღწეროს რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) კონტროლის სურვილს, კომპაქტურად ჩასახლებული ეთნიკური უმცირესობების (აფხაზების, ოსების, სომხების) დაცვის საბაბის გამოყენებით. სტატიაში აღწერილია სამხრეთ კავკასიის რეგიონის სადავო მიწების კუთვნილება, ისტორიულ და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების კონტექსტში.

კვლევამ აჩვენა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ გატარებული ქმედებები სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმართულია არა ეთნიკური კონფლიქტების მოსაგვარებლად, არამედ ამ კონფლიქტების გაღვივების მეშვეობით საკუთარი იმპერიალისტური ზრახვების დასაკმაყოფილებლად. აფხაზეთის და ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა გამოიწვევს, აფხაზი და ოსი ხალხის რუსეთის მოსახლეობასთან ასიმილაციას და მომავალში მათი როგორ მცირე ერების სახით, გაქრობას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რუსეთი, აზერბაიჯანი, სასომხეთი, ეთნოკონფლიქტი, იმპერიალიზმი, ეთნიკური კუთვნილება, აფხაზეთი, ოსეთი, მთიანი ყარაბახი, სეპარატიზმი.

RUSSIA'S MANIPULATION OF THE ETHNIC MINORITY REGION IN THE SOUTH CAUCASUS AIMING TO CARRY OUT IMPERIALIST INTENTIONS

SENIOR SERGEANT MIRIAN IAKOBASHVILI
Special Operations Forces. Giorgi Antsukhelidze Sergeants Academy

ABSTRACT

This article shows Russia's desire to pursue imperialist intentions in the independent states of the South Caucasus region. For which Russia uses separatism based on ethno-nationalism.

The article aims to describe the Russian Federation's desire for control of the independent states of the South Caucasus (Georgia, Armenia, Azerbaijan), using the pretext of protecting densely populated ethnic minorities (Abkhazians, Ossetia , Armenians). The article describes the ownership of disputed lands in the South Caucasus region, in the context of historically and internationally recognized borders.

The study showed that the actions taken by the Russian Federation in the South Caucasus region are aimed not at resolving ethnic conflicts, but at satisfying their own imperialist intentions through the escalation of these conflicts. The annexation of Abkhazia and Ossetia

to Russia will lead to the assimilation of the Abkhaz and Ossetian peoples into the Russian population and their disappearance as small nations in the future.

Keywords: Georgia, Azerbaijan, Armenia, ethno conflict, imperialism, ethnicity, Abkhazia, Ossetia, Nagorno-Karabakh, separatism.

შესავალი

სოციალისტური სისტემის დანგრევის შემდეგ პოსტსაბჭოთა ტერიტორია რუსეთმა თავის ინტერესების სფეროდ გამოაცხადა. შესაბამისად, მის ინტერესთა სფეროში მოექცა სამხრეთ კავკასია და მასში შემავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დღემდე სამ ათეულ წელიწადზე ოდნავ მეტი დრო გავიდა, ამ პერიოდის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის რეგიონმა არაერთი ომი და შიდა არეულობა გადაიტანა. ეს ქვეყნები დღეს დამოუკიდებელია, ინსტიტუტები ბევრად უკეთესად გამოიყურება ვიდრე ეს დამოუკიდებლობის დასაწყისში იყო. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის პოლიტიკური კულტურა განსხვავებების მიუხედავად ნელი ტემპით მაგრამ მაინც ვითარდება.

საქართველოს განცხადებული აქვს თავისი საგარეო პოლიტიკა და ამ განცხადების თანახმად საქართველო ორიენტირებულია დასავლელისაკენ, NATO-ში და E.U.-ში (ევროკავშირში) ინტეგრაციისაკენ. რაც საკმაოდ რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. აზერბაიჯანი მეტწილად დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური ერთეულია, რომლის ძლიერ მოკავშირედ თურქეთი ითვლება, თუმცა საყურადღებოა ბოლო დროინდელი განსაკუთრებული ურთიერთობები რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის რაზეც მეტყველებს პრეზიდსენტის ილჰამ ალიევის (02,22,2022-წლის) ვიზიტი რუსეთის ფედერაციაში რომლის დროსაც ხელი მოეწერა 40 პუნქტიან ხელშეკრულებას მათ შორის სამხედრო და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ.[1] სომხეთი ძირითადად პრორუსული ორიენტაციისაა. სომხეთი მიუხედავად 2018 წლის რევოლუციური გზით მოსული თითქოსდა პროდასავლური პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანისა, მაინც ძირითადად პრორუსულ ორიენტაციას ინარჩუნებს, რაზედაც მეტყველებს არაერთი ბოლო დროინდელი ხელშეკრულება და ოფიციალური პირების ვიზიტი რუსეთში.

სამხრეთ კავკასიის სახელწიფოები მიუხედავად თავიანთი პოლიტიკური, რელიგიური თუ კულტურული მრავალფეროვნებისა დგანან საერთო პრობლემის წინაშე, პრობლემისა რომელსაც ეთნიკური უმცირესობები ქვია. ეთნიკური უმცირესობები რომელთა მეშვეობითაც რუსეთი კვლავ ახორციელებს თავისი იმპერიალისტურ სურვილებს.

აღნიშნული თემა საკმაოდ **აქტუალურია,** ვინაიდან რუსეთის ფედერაციას სურს სრულად მისი გავლენის ქვეშ მოაქციოს სამხრეთ კავკასიის რეგიონი. რისთვისაც ერთერთ საშუალებად იყენებს სეპარატისტული აზრებით შეპყრობილ ეთნიკურ უმცირესობებს.

სტატია ეყრდნობა კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის. გაანალიზდა მეორადი წყაროები - სამეცნიერო ლიტერატურა მოცემულ საკითხზე, აგრეთვე ბეჭდვითი პრესა და ელექტრონული წყაროები.

სტატიის მიზანია პასუხი გასცეს შემდეგ **საკვლევ კითხვას:**

იცავს რუსეთი სამხრეთ კავკასიის ეთნიკური უმცირესობების უფლებებს თუ მხოლოდ იყენებს მძლავრ ეთნო ნაციონალიზმს საკუთარი იმპერიალისტური გეგმების მისაღწევად?

საკვლევი კითხვიდან გამომდინარე მოხდა შემდეგი **ჰიპოთეზის გენერირება:**

რუსეთი ახალისებს სეპარატიზმს რეგიონული ჰეგემონიის მისაღწევად.

დამოუკიდებელი ცვლადი: იმპერიალისტური ზრახვებით შეპყრობილი რუსეთის რეგიონული ჰეგემონობის სურვილი.

შემთხვევის ანალიზისთვის სტატიაში განხილულია რუსეთის ზეგავლენა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ რეგიონებზე, რომელიც რუსეთის რეგიონულ ამბიციებს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის.

---

1 თამარ კინწურაშვილი, ირაკლი იაგორაშვილი, and მაიკო რატიანი, "ბრძოლა 'შიდა მტერთან' და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან," mythdetector.ge, February 21, 2022, https://mythdetector.ge/ka/brdzo-la-shida-mterthan-da-kohabitatsia-rusul-propagandasthan/.

სამხრეთ კავკასიის ეთნიკური კონფლიქტები (აფხაზეთი, ოსეთი, ყარაბახი)

სამხრეთ კავკასიის ეთნიკური კონფლიქტებიდან განვიხილავთ აფხაზეთის სამხრეთ ოსეთის და მთიანი ყარაბახის პრობლემებს. სამხრეთ კავკასიის ამ სამივე რეგიონში დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფლიქტის ერთერთი ძირითადი მიზეზი მძლავრი ეთნო ნაციონალიზმის საფუძველზე დაწყებული სეპარატიზმი გახდა. სეპარატიზმი რომელიც საბჭოთა კავშირის დროს დაიგეგმა და მისი დაშლის შემდეგ მოვიდა ქმედებაში. საბჭოთა კავშირი ნამდვილად ბოროტი გენიის ინტელექტით იყო დაგეგმილი. ამაზე ის მიუთითებს, რომ კავშირის დაშლისთანვე მოქმედებაში მოვიდა ,,საათის მექანიზმიანი ნაღმები " რომლებსაც რუსეთი როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე ხან ერთ რეგიონში მოიყვანს მოქმედებაში ხან მეორე.

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტური რეგიონების ისტორიული ჩარჩო

საბჭოთა კავშირიდან დღემდე რუსეთი კარგად იყენებს პროპაგანდას ეთნიკური უმცირესობებში სეპარატიზმის წასახალისებლად. დღემდე ასწავლის ყალბი ისტორიას უნივერსიტეტებში, როგორც საუკუნეების წინანდელ ისტორიას ასევე უახლეს ისტორიას. რუსეთის მიერ პროპაგანდირებული წარსული ისტორიის თანახმად სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელი ერთეულები იყვნენ. ახალი ისტორიის თანახმად ქართველები დაესხნენ თავს დამოუკიდებელ აფხაზ და ოს ხალხს და მოუწყვეს ეთნიკური წმენდა. სამხრეთ კავკასიის ეთნიკურად კონფლიქტურ რეგიონებს რუსეთთან მიმართებაში თუ განვიხილავთ, რუსეთი აფხაზეთს და ოსეთს აღიარებს როგორც დამოუკიდებელ ერთეულებს, თუმცა ყარაბახს აღიარებს, როგორც აზერბაიჯანის შემადგენელ ნაწილს. აფხაზეთი რომ ნამდვილად საქართველოს ნაწილია კარგად არის აღწერილი საინფორმაციო პორტალ Paqtebi.ge-ს 14.12.2017-წლის სტატიაში სახელწოდებით ,,9 ფაქტი იმისა, თუ რატომ არის აფხაზი ქართველი და აფხაზეთი საქართველო." მოცემული სტატიის ფაქტებიდან ერთერთი ფაქტის მიხედვით VIII საუკუნიდან აფხაზეთის ყველა მეფე-მთავარი არა მარტო ქართული ორიენტაციისაა, არამედ ეთნიკურადაც ქართული წარმოშობისა არიან და ძირითადად ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა წრიდან არიან. ქართველების სამეფო ტიტული კი შემდეგნაირად იწერებოდა: მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა. მხოლოდ ეს ფაქტი არის საკმარისი იმის მტკიცებულებად რომ აფხაზებიც ისეთივე ქართველები არიან როგორც მაგალითისთვის იმერლები ან კახელები. აფხაზეთიც ისეთივე ქართული მიწაა როგორც სამეგრელო და აჭარა. ოსეთი, რომ საქართველოს ნაწილია ამას მეფის რუსეთიც აღიარებდა. მეფის რუსეთის დროს ოსეთი ოფიციალურად გორის მაზრის ნაწილი იყო. ყველაფერი ამის მიუხედავად 2018 წლის 25 მაისს ონლაინ გამოცემა " საქინფორმთან " რუსეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიხეილ გალპერინი, სტატიაში ამბობს: " სულ რაღაც 95 წლის წინ, 1922 წლის დეკემბერში, სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიას იოსებ სტალინმა მიუერთა. ამ დროს არავინ ჰკითხა ოსებს, სურთ თუ არა, იყვნენ ქართველები. ამ გადაწყვეტილებიდან 70 წლის შემდეგ საქართველომ გადაწყვიტა, ეს აღესრულებინა, შეიჭრა სამხრეთ ოსეთში და მშვიდობიანი მოქალაქეები დახოცა "(ირაკლი იაგორაშვილი ონლაინ გამოცემა მითების დეტექტორი 07/08/2018)[2]. სწორედ ამდაგვარი სტატიებით რუსეთი ცდილობს, რომ დაამტკიცოს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ისტორიული დამოუკიდებლობა. ქართველები დაადანაშაულოს აფხაზი და ოსი ერის გენოციდში რითიც აღვივებს ეთნიკურ სეპარატიზმს და ეთნიკური სეპარატიზმზე დაყრდნობით აკონტროლოს რეგიონი. რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის ტერიტორიას ისტორიულად ხელიდან ხელში

2 თამარ კინწურაშვილი, ირაკლი იაგორაშვილი, and მაიკო რატიანი, "რძოლა 'შიდა მტერთან' და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან," mythdetector.ge, February 21, 2022, https://mythdetector.ge/ka/brdzo-la-shida-mterthan-da-kohabitatsia-rusul-propagandasthan/

გადადიოდა და იქ როგორც აზერბაიჯანული, ასევე სომხური კვალია რასაც იყენებენ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად. როგორც აზერბაიჯანმა ასევე სასომხეთმა შესაძლოა არგუმენტად მოიყვანოს არაერთი აზერბაიჯანული მეჩეთი, სომხურ ეკლესია, არაერთი აზერბაიჯანული და სომხური წარწერა სასაფლაოს ქვებზე რათა ამით ამტკიცონ მათი უპირატესობა ამ ტერიტორიებზე. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, უდავოა ის, რომ მთიანი ყარაბახი წარმოადგენდა საბჭოთა სოციალისტური აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნაწილს, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბუნებრივია გახდა დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ნაწილი.

მოცემული ისტორიული ჩარჩო გვაძლევს იმის მტკიცების უფლებას, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე კონფლიქტური რეგიონი დღესდღეობით არის სეპარატისტულად ოკუპირებული.

შედარებითი ანალიზი რუსეთის გავლენის სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ რეგიონებზე

აფხაზეთსა და ოსეთში სეპარატისტული იდეებით შეპყრობილი ხალხის მეშვეობით ოკუპაციის შემდეგ რუსეთმა საქართველოს ეს ორი რეგიონი თავის მფარველობაში აიყვანა და აიღო ვალდებულება მათ განვითარებაზე და დაცვის უზრუნველყოფაზე, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ სამხედრო ბაზები განალაგა ამ ტერიტორიებზე რითიც გააძლიერა თავისი სამხედრო გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. ხოლო ეთნიკური აფხაზები და ოსები, მცირე ერები მას საერთოდ არ ადარდებს. აფხაზეთის და ოსეთის მოსახლეობას რუსეთი იყენებს რათა ჩაერიოს დამოუკიდებელი საქართველოს შიდა პოლიტიკაში და მანიპულირება მოახდინოს მისი მისწრაფებით ნატოში და ევროკავშირში. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონში 69 სამხედრო ბაზაა. 2019 წლის მონაცემებით აფხაზეთში ფუნქციონირებს: ბომბორას, ოჩამჩირის, ოხურეის, სოხუმის სამხედრო ბაზები. სამხრეთ ოსეთში სხვა ბაზებთან ერთად 2 დიდი ბაზაა ცხინვალის და უგარდანთას (ჯავის რაიონი) სამხედრო ბაზები მოცემული ბაზების მშენებლობა 2008 წლიდან დაიწყო. მართალია აფხაზეთის და ოსეთის ტერიტორიებზე მდებარე რუსული ბაზების რაოდენობა გასაიდუმლოებულია, მაგრამ არაოფიციალური ინფორმაციით თითოეულ ბაზაზე 4000-დან 4500-მდე სამხედრო მოსამსახურე მსახურობას. სამხედრო თვალსაზრისით, ოსეთში აფხაზეთისგან განსხვავებული მდგომარეობაა. 2017 წელს სამხრეთი ოსეთის ე.წ პარლამენტმა რუსეთის ფედერაციასთან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი „რუსეთის შეიარაღებული ძალების რიგებში შესვლის წესების შესახებ“. ამ ხელშეკრულების თანახმად სამხრეთ ოსეთის სამხედროვალდებული პირები სამსახურს გაივლიან რუსეთის სამხედრო ბაზაზე და რუსეთის ფედერაციის კანონებს ემორჩილებიან. აღნიშნული შეთანხმება არ იყო მოწონებული ადგილობრივ მოსახლეობის მიერ. სწორედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა სამხრეთ ოსეთის სამხედრო ვალდებული პირების უკრაინის წინააღმდეგ ომში გაწვევა. გარდა სამხედრო ვალდებულებისა სამხრეთ ოსეთში შექმნილია შსს-ს საკოორდინაციო ცენტრი რუსული პოლიციის ხელმძღვანელობით და ყველა მათ ოპერაციას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აქვს ლეგალური სტატუსი. რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები და ამისათვის სეპარატისტების გამოყენება ნათლად ჩანს რადიო თავისუფლების ცხინვალის კორესპონდენტ მურატ გუკემუხოვის სტატიიდან „ბიბილოვმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა, მეტროპოლიის სურვილი საკუთარი ტერიტორიების ინტერესებზე მაღლა დაეყენებინა. სამხრეთ ოსეთის ნაციონალურ იდეად რუსეთის შემადგენლობაში შესვლა გაახმიანა”[3].

მთიანი ყარაბახის შემთხვევაში ვითარება შედარებით განსხვავებულია. რუსეთი ოფიციალურად მთიან ყარაბახს აზერბაიჯანის შემადგენლობაში აღიარებს, თუმცა მსგავსება აფხაზეთთან და ოსეთთან არის, ეთნიკური კონფლიქტი და რუსეთის

3 “ცხინვალის პოლიტიკური კრიზისი,” NETGAZETI.ge, accessed June 23, 2022, https://netgazeti.ge/news/416541/.

იმპერიალისტური ზრახვები. რუსეთს დღესდღეობით 2000 მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცი ყავს ჩაყენებული ყარაბაღში. ყარაბახის პირველი ომის შემდეგ პერმანენტულად იმართებოდა შეტაკებები აზერბაიჯანულ და სომხურ მხარეს შორის, მაგრამ ისმის ლოგიკური კითხვები: რუსეთს ოფიციალურად რატომ არ მოუწოდებია სომხური მხარისაკენ დაბრუნებულიყო საყოველთაოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში (საზღვრებში რომლებსაც თავადაც აღიარებს)? თუ გავითვალისწინებთ რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს, პასუხი შესაძლოა იყოს: რუსეთს არასდროს არ ქონია სურვილი სამხრეთ კავკასიაში ყოფილიყო მშვიდობა მისი კონტროლის გარეშე. შემდეგი შეკითხვაა: რა შეიცვალა ყარაბახის პირველ და მეორე ომის განმავლობაში? ერთის მხრივ რუსეთისა და აზერბაიჯანს შორის ბოლოდროინდელი პოლიტიკური კავშირების გამყარება და მეორეს მხრივ რუსეთმა დასაჯა სასომხეთი. სომხეთის სასჯელი გამოწვეული იყო 2018-წელს ხელისუფლებაში მოსული სასომხეთის პრემიერ მინისტრი ფაშინიანისა პროდასავლური ორიენტაციით და რუსეთის გავლენის შემცირებით სასომხეთზე. რაზედაც საუბრობს ექსპერტი ზურაბ ბატიაშვილი ინტერპრესნიუსთან მიცემულ ინტერვიუში: ,,ფაშინიანის პარტიის გამარჯვებამ აჩვენა ის, რომ რუსეთის გავლენა სომხეთზე ისეთი არ არის, როგორიც შეიძლება მოსკოვს სურდეს. სომხეთი მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი რამის გამო არის რუსეთზე დამოკიდებული, მაინც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას“ [4].რუსეთის მხრიდან სასომხეთის იმედგაცრუება კიდევ უფრო ნათლად ჩანს რუსეთის პრეზიდენტის განცხადებაში ყარაბახის ომის განმავლობაში: “მოგეხსენებათ, სომხეთი კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის წევრია და შესაბამისად, ჩვენ გვაქვს გარკვეული ვალდებულებები ამ შეთანხმების ფარგლებში, თუმცა სამარი მოქმედებები არ მიმდინარეობს სომხეთის ტერიტორიაზე.“ მესამე შეკითხვა რატომ ჩააყენა რუსეთმა სამშვიდობოები ყარაბახში? 2000 სამშვიდობოს ჩაყენებით ფაქტიურად რუსეთი დარჩა რეგიონში გამარჯვებული გაზარდა რა თავისი სამხედრო პოტენციალი სამხრეთ კავკასიაში და სასომხეთს კიდევ ერთხელ დაანახა რუსეთის მნიშვნელობა. აზერბაიჯანი დაკმაყოფილდა მიღწევებით, აღადგინა რა დაკარგული ტერიტორიების ნაწილზე კონტროლი.

დასკვნა

რუსეთის იმპერიალისტური სურვილები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, არ გამქრალა მხოლოდ მუტაცია განიცადა. რუსეთი ნამდვილად ნოსტალგიით იხსენებს საბჭოთა კავშირს და სურს იმდროინდელი გავლენების აღდგენა. ამაზე მეტყველებს რუსეთის პრეზიდენტ პუტინის მოსკოვში 2005-წლის გაკეთებული ოფიციალური განცხადება: ,,Распад СССР стал геополитической катастрофой века и настоящей драмой для российского народа, десятки миллионов наших граждан и соотечественников оказались за пределами Россия“ (https://regnum.ru/news/444083.html)[5]. თარგმნაში ეს განცხადება ჟღერს შემდეგნაირად: საბჭოთა კავშირის დაშლა იყო საუკუნის გეოპოლიტიკური კატასტროფა ხოლო რუსი ხალხისათვის ნამდვილი დრამა, ათობით მილიონი ჩვენი მოქალაქე და თანამემამულე აღმოჩნდა რუსეთის ტერიტორიის გარეთ. ამ განცხადებაში პუტინი თავის თანამემამულეებში გულისხმობს რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ სეპარატისტული იდეებით შეპყრობილ ეთნიკურ უმცირესობებს. ეთნიკური უმცირესობების დაცვის მიზეზით ახორციელებს თავის იმპერიალისტურ ზრახვებს . სასურველი იქნება აფხაზეთის და ოსეთის ეთნიკურმა მოსახლეობამ გაითვალისწინოს საქართველოს ხელისუფლების და ხალხის სურვილები და აწარმოონ კონსტრუქციული დიალოგი საქართველოს ხელისუფლებასთან. მათ ელით ფორმალურად თუ არაფორმალურად რუსეთთან გაერთიანება და ასიმილაცია

4 თამარ კინწურაშვილი, ირაკლი იაგორაშვილი, and მაიკო რატიანი, “რძოლა ‘შიდა მტერთან’ და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან,” mythdetector.ge, February 21, 2022, https://mythdetector.ge/ka/brdzola-shida-mterthan-da-kohabitatsia-rusul-propagandasthan/.

5 “Владимир Путин:” ИА REGNUM, April 25, 2005, https://regnum.ru/news/444083.html.

რუსულენოვან მოსახლეობასთან. აფხაზი და ოსი ერები დაკარგავენ თავიანთ ენასაც კულტურასაც რომელიც საუკუნეების მანძილზე იყო შენარჩუნებული ქართველი ერის შემადგენლობაში. რაც შეეხება მთიანი ყარაბახის კონფლიქტს სომხურმა და აზერბაიჯანულმა მხარემ უმჯობესია წარმოშობილი პრობლემა რუსეთის (თუნდაც სამშვიდობოების) გარეშე მოაგვარონ. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს გამოცდილებას რუსეთი ხშირ შემთხვევაში მხარეებს შორის კონფლიქტების პროვოცირებას უწყობდნენ ხელს და არა მოგვარებას. ამის თქმის საბაბს იძლევა 2008-წელს რუსეთის ფედერაციის რუსეთის 58-ე არმის ქმედება საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის 58-ე არმია საქართველოს ტერიტორიაზე არა სამშვიდობო მიზნებისათვის არამედ ოკუპაციის მიზნით შემოიჭრა. სომხურმა და აზერბაიჯანულმა მხარემ კარგად უნდა გაანალიზოს რუსეთის ქმედებები საქართველოსთან მიმართებაში და მარტივ დასკვნამდე მივა. რუსეთის ქმედებები მიმართულია არა მშვიდობის გამყარებისთვის რეგიონში არამედ თავისი იმპერიალისტური მიზნების მიღწევისკენ.

ბიბლიოგრაფია

1. თამარ კინწურაშვილი, ირაკლი იაგორაშვილი, and მაიკო რატიანი, "ბრძოლა 'შიდა მტერთან' და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან," mythdetector.ge, February 21, 2022, https://mythdetector.ge/ka/brdzola-shida-mterthan-da-kohabitat-sia-rusul-propagandasthan/.
2. თამარ კინწურაშვილი, ირაკლი იაგორაშვილი, and მაიკო რატიანი, "ბრძოლა 'შიდა მტერთან' და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან," mythdetector.ge, February 21, 2022, https://mythdetector.ge/ka/brdzola-shida-mterthan-da-kohabitat-sia-rusul-propagandasthan/.
3. "ცხინვალის პოლიტიკური კრიზისი," NETGAZETI.ge, accessed June 23, 2022, https://netgazeti.ge/news/416541/.
4. თამარ კინწურაშვილი, ირაკლი იაგორაშვილი, and მაიკო რატიანი, "ბრძოლა 'შიდა მტერთან' და კოჰაბიტაცია რუსულ პროპაგანდასთან," mythdetector.ge, February 21, 2022, https://mythdetector.ge/ka/brdzola-shida-mterthan-da-kohabitat-sia-rusul-propagandasthan/.
5. "Владимир Путин:" ИА REGNUM, April 25, 2005, https://regnum.ru/news/444083.html.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნები და რუსეთის როლი რეგიონში არსებულ საფრთხეებზე და გამოწვევებზე

მასტერ სერჟანტი ნოდარ გრიგალაშვილი
გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეძღვნება სამხრეთ კავკასიის რეგიონს და საქართველოს როლს აღნიშნულ რეგიონში, ასევე მიმდინარე საფრთხეებს და გამოწვევებს. ნაშრომში წარმოჩენილია პრობლემების გამოწვევის წინაპირობა და რუსეთის როლი ამ პრობლემების წარმოშობაში.

სტატია მიზნად ისახავს წარმოაჩინოს სამხრეთ კავკასიის რეგიონის როლი საერთაშორისო, გლობალურ ეკონომიკურ ჭრილში, კერძოდ საქართველოს და ასევე რეგიონში არსებული ქვეყნების როლი თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, გამოწვევები, საფრთხეები, რუსეთი.

THE COUNTRIES IN THE SOUTH CAUCASUS REGION AND RUSSIAN CONTRIBUTION TO THE THREATS AND CHALLENGES

MASTER SERGEANT NODAR GRIGALASHVILI
Giorgi Antsukhelidze Sergeants Academy

ABSTRACT

The present article is dedicated to the South Caucasus region and the role of Georgia in the region as well as modern threats and challenges. The paper demonstrates the preconditions for causing the problems in addition to Russia's contribution to arise these problems.

The article aims to present the role of the South Caucasus region in the international and global economic context, specifically to demonstrate the role of Georgia and other countries inside the region due to their geographic location.

Keywords: the South Caucasus, challenges, threats, Russia

შესავალი
სამხრეთ კავკასიის რეგიონი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი გეოგრაფიულად მდებარეობს შავი ზღვისა და კასპიის ზღვას შორის. ამიერკავკასია არის კავკასიონის ქედის სამხრეთი რეგიონი. დღეს ფართოდ გამოიყენება უფრო ნეიტრალური ტერმინი - სამხრეთ კავკასია. სამხრეთ კავკასიას ასევე მოიხსენიებენ როგორც ამიერკავკასიას და იგი მოიცავს სამ დამოუკიდებელ ქვეყანას: საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს. სხვადასხვა წყაროებიდან ჩანს, რომ კავკასიის სახელწოდება უკავშირდება აღნიშნული რეგიონის ბერძნულ სახელს **„კაუკასოს“.**

სამხრეთ კავკასია პატარა, მჭიდროდ დასახლებული რეგიონია. იგი განლაგებულია გზაჯვარედინზე, რომელიც აკავშირებს ევროპასა და აზიას. აღსაღნიშნავია, რომ კავკასია ყოველთვის წამყვან როლს ასრულებდა ევროპასა და აზიას შორის. სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგიონი ისტორიულად მუდმივად ჩართული იყო საერთაშორისო პროცესში[1].

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამხრეთ კავკასია მოიცავს სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს: საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს. მიუხედავად იმისა რომ, ეს ქვეყნები თავიანთი ისტორიის მანძილზე დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან და წლების განმავლობაში ასე ვთქვათ ერთ სივრცეში იმყოფებოდნენ, როდესაც საბჭოთა კავშირი არსებობდა, მაგრამ მას შემდეგ რაც დაიშალა სსრკ, სამივე ქვეყანამ თავისი ღიად გაცხადებული საგარეო პოლიტიკის კურსი აირჩია. საქართველო თავდაჯერებულად და მტკიცედ ადგას დასავლეთის კურსს და მისი მისწრაფებაა შეუერთდეს ევრო კავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, სადაც ჭეშმარიტადაა მისი ადგილი. ამ მიზნის განორციელებაში მხარში უდგას როგორც დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობა, ასევე მისი სტრატეგიული პარტნიორი, ამერიკის შეერთებული შტატები. აზერბაიჯანს მჭიდრო სამხედრო და ეკონომიკური კავშირი აქვს თურქეთთან და ამის ნათელი მაგალითი იყო სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მიმდინარე ყარაბაღის ომის დროს, როდესაც თურქეთმა დიდი როლი ითამაშა თავისი დახმარებით აზერბაიჯანის გამარჯვებაში. მას არ აქვს გაცხადებული რომელიმე დასავლურ ბლოკში გაერთიანების სურვილი, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი კარგ დამოკიდებულებას ინარჩუნებს დასავლეთის ქვეყნების მიმართ. რაც შეეხება სომხეთს, იგი მჭიდრო ურთიერთობას ინარჩუნებს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან, რუსეთის ფედერაციასთან. სომხეთი ერთადერთი სახელმწიფოა ამიერკავკასიაში, რომლის ტერიტორიაზეც რუსული ბაზა მდებარეობს. გაწევრიანებულია დსთ-სა და კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციაში. მიუხედავად ამისა სომხეთის სამხედრო ქვედანაყოფები ხშირად მონაწილეობენ NATO-ს ეგიდით დაგეგმილ სწავლებებში და მათი ქვედანაყოფი ასევე სამშვიდობო მისიით იმყოფებოდა ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში.

საქართველოს როლი ამიერკავკასიის რეგიონში

საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კავკასიის რეგიონში, იმ უძველეს სატრანზიტო მაგისტრალზე, რომელსაც „კავკასიის ყელს“ და „აბრეშუმის გზას“ უწოდებენ. საერთოდ გეოპოლიტიკურ ჭრილში განხილვისას ქვეყანა ფასდება მეზობელ ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, აქედან გამომდინარე საქართველო გეოპოლიტიკური მდებარეობას განსაღვრავს მისი ურთიერთობები მოსაზღვრე და არამოსაზღვრე ქვყნებთან. საქართველო ხელსაყრელი ქვეყანაა სატრანზიტო დერეფნის არსის განხილვისას, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა ავტორის მიერ იგი მდებარეობს მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანზე. საბჭოთა კავშირის კოლაფსმა თავისთავად განაპირობა მსოფლიო წესრიგის ცვლილება, ძალთა ბალანსმა დასავლეთით გადაინაცვლა. ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოების ხელში შესაძლებელი გახდა ახალი სატრანზიტო კომუნიკაციების

1 შოთა, გელაძე წყარო მიუთითე სქოლიოს საშუალებით.; აშშ-ს საგარეო პოლიტიკური ამოცანები და გეოპოლიტიკური როლი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ 21-ე საუკუნეში

დახვეწა და რეალიზაცია. თავის მხრივ დასავლეთი დაინტერესდა ახალი გავლენის სფეროების ათვისებით. ცენტრალურ აზიაში მდებარე რიგი ქვეყნებისათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას განაპირობებდა ნავთობისა და გაზის დიდი მარაგი. არსებული ვითრება რა თქმა უნდა ხელს აძლევს საქართველოს და 1992 წელს საქართველოში ევროპა-აზიის სატრანზიტო დერეფნის იდეა დაიბადა, ხოლო 1993 წელს ბრიუსელში ევროკომიის მიერ წამოყენებულ იქნა იდეა ტრანსკავკასიური მაგისტრალის განვითარებაზე, შეიმუშავეს დეკლარაცია და ამ დეკლარაციის საფუძველზე გამოიცა პროგრამა-TRACECA, რომლის მიზანსაც რკინიგზის, საავტომობილო გზების, საღვაო პორტების, ტერმინალების-მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ამ დერეფნების ევროპულ დერეფნებთან მიერთება წარმოადგენდა. ეს კი „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენის წინაპირობა იყო. მალე ამ პროექტს მოჰყვა კიდევ ერთი საერთაშორისო პროექტი-INOGATE, რომლის მიზანი მილსადენების ქსელის განვითარება იყო. 1996 წ. ე.წ. „სარახსის ხელშეკრულება“ შევიდა ძალაში და ყაზახეთიდან ნავთობის რკინიგზით ტრანსპორტირება დაიწყო აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიის გავლით ქ. ბათუმის პორტამდე. ასევე აზერბაიჯანის რეპიბლიკასა და საქართველოს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაზე, რომელიც წარმატებით დასრულდა 1999 წელს. აქვე უნდა აღინიშნოს ორი საერთო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთკავკასიური გაზსადენი[2] . 2.ნ.ჩიტაძე. გეოპოლიტიკა. აღნიშნული პროექტებიდან ნათლად ჩანს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობა კავკასიის ეკონომიკურ-პოლიტიკური კუთხით და ასევე რამდენად ხელსაყრელია საქართველოს განვითარებისთვის ამ პოტენციალის სწორად გამოყენების მნიშვნელობა.

მიმდინარე გამოწვევები და საფრთხეები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კავკასიის რეგიონს და კერძოდ, სამხრეთ კავკასიას გააჩნია მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა, რაც თავის მხრივ მიზეზია იმისა რომ დაინტერესებას იწვევდა სხვადასხვა ქვეყნებში და მეტ ნაკლებად ასეა დღესაც.

სამხრეთ კავკასია ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილს წარმოადგენ პოლიტიკური მდგომარეობით. რუსული და დასავლური ინტერესების თანხვედრის შედეგად რეგიონში შექმნილია მძიმე ვითარება, რაც ხშირ შემთხვევაში არასასურველ შედეგებამდე მიდის. არაერთხელ გამოსცადა საქართველომ თავის თავზე აგრესია, თავისი დასავლური კურსის გამო. ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ მსოფლიო პოლიტიკურ ლიტერატურაში ახალი დამკვიდრებულია, ეს მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას, სამხრეთ კავკასიის ქვეყნება აღადგინეს დამოუკიდებლობა, რამაც რეგიონში სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია. 1998 წელს რუსეთის ფედერაციამ პასუხად შეიმუშავა სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში. რუსეთმა ასევე კარგად იციც„ახალი აბრეშუმის გზის“ ენერგეტიკული გზების მშენებლობის მნიშვნელობა, რომელიც შეასუსტებს ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზის თანაბრად მართვის ფუნქციას, რაც შეამცირებს რუსეთის როლს მსოფლიო პოლიტიკაში. რუსეთს სურ ევრაზიული კავშირის შექმნით შეინარჩუნოს გეოპოლიტიკური კონტროლი რეგიონზე და ამიტომაც მოქმედებს შესაბამისად ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში და სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოსთან მიმართებაში კი რუსეთის ფედერაციამ, მას შემდეგ რაც აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა, ამით ამოეწურა კონფლიქტებით ზემოქმედების ბერკეტები, დარჩა პირდაპირი აგრესიისა და „მცოცავი ოკუპაციის“ შესაძლებლობა და ამ მეთოდით ცდილობს მუდმივ ზეწოლისა და დაუცველობის განცდის ქვეშ ცხოვრობდეს საქართველოს დე ფაქტო საზღვრის პირას მაცხოვრებელი საქართველოს მოსახლეობა.

პოლიტირიკური მდგომარეობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თითქმის მუდმივად

2 „შაჰ-დენიზი“.1.ჟ.რადვანი. ნ.ბერუჩაშვილი.კავკასიის გეოგრაფიული ატლასი.

დაძაბულია. რასაც ხელს უწყობს სამი ფაქტორი: რეგიონისადმი გლობალური-გარე ძალების დიდი ინტერესი, შიდა რეგიონალური ტერიტორიული პრეტენზიები და გაყინული კონფლიქტები. სამხრეთ კავკასიის რეგიონის შემდგომო განვითარების გზა უკავშირდება არსებულ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების საკითხს, რომელთა შორისაა მთიანი ყარაბაღის მიმდინარე კონფლიქტი. საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი ჩარევისა და მცდელობის მიუხედავად, ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებისათვის კონფლიქტის მოგვარების მცდელობა შედეგის გარეშე დასრულდა და 2020 წელს დიდ ომში გადაიზარდა, რაც დღემდე მოუგვარებელია. კონფლიქტის ასეთ აქტუალურობას განაპირობებს რუსეთის ღია თუ ფარული ჩარევა და ასევე, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობების შეუთანხმებლობა. აუცილებელია მხარეებმა დათმონ და ეს კონფლიქტი მოგვარდეს ისე, რომ ორივე მხარის ინტერესები იქნას გათვალისწინებული.

გარდა ყარაბაღის პრობლემისა, რეგიონში არის ისეთი გამოწვევებიც, როგორიცაა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში არსებული სიტუაცია. საქართველოს პოლიტიკა და სტრატეგია მიმართულია, რომ თავისი დასავლური კურსით და თავდაუსხმელობის პირობის დადებით მიმზიდველი გახადოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის ერთიან საქართველოში ცხოვრება, ასევე ცდილობს, რუსეთის გავლენის შემცირებას კონფლიქტის ზონებში და ხელს უწყობს, მეგობარი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენის გაღრმავებას აღნიშნულ ტერიტორიებზე. ავტორის აზრით მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, ასევე დასავლეთის ქვეყნების გავლენითა და დაწესებული ეკონომიკური სანქციებით მოხდება რუსეთის ფედერაციის დასუსტება იმ დონეზე, რომ მას ძალა აღარ ექნება თავის სცენარის მიხედვით წარმართოს სამხრეთ კავკასიაში მოქმედები, რაც საბოლოოდ გამოიწვევს ეთნო კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარებას.

დასკვნა

ამრიგად, სტატია ცხადყოფს, რომ სამხრეთ კავკასია თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ბევრი ქვეყნის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ელიტა კი თვლის რომ რეგიონი თავისი გავლენის სფეროა და მას უფლება აქვს წარმართოს საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ბედი, იგი მანიპულირებს ამ ქვეყნებში არსებული შიდა პრობლემებით და ყველანაირად ცდილობს დაასუსტოს მათი სუვერენული მისწრაფებები. ასევე კარგად აქვს გაცნობიერებული აღნიშნული რეგიონის სტრატეგიული მდებარეობა, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური და ცდილობს ამ რესურსის გამოყენებას თავისი ინტერესების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შოთა, გელაძე წყარო მიუთითე სქოლიოს საშუალებით.; აშშ-ს საგარეო პოლიტიკური ამოცანები და გეოპოლიტიკური როლი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ 21-ე საუკუნეში
2. „შაჰ-დენიზი“.1.ჟ.რადვანი. ნ.ბერუჩაშვილი.კავკასიის გეოგრაფიული ატლასი.
3. ნ.ჩიტაძე. გეოპოლიტიკა.

სამხრეთ კავკასია და საქართველო: მიმდინარე საფრთხეები და გამოწვევები

უფროსი სერჟანტი სერგო კანდელაკი
თავდაცვის ძალების მთავარი სერჟანტის თანაშემწე

აბსტრაქტი

წინამდებარე თემაში განხილულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გატარებული საგარეო პოლიტიკა და მისი ანალიზი. თემის მიზანია აჩვენოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული და პოტენციური საფრთხეები და გამოწვევები, ასევე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკის გაანალიზების შედეგად გამოავლინოს ამ პოტენციური საფრთხეების სავარაუდო მიზეზები.

აღნიშნული თემა დაყოფილია სამ ნაწილად. პირველი ნაწილი ეთმობა ტერმინის „სამხრეთ კავკასია“ წარმოშობასა და ამ რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობის განხილვას. თემის მეორე ნაწილში განხილულია სამხეთ კავკასიის რეგიონში არსებული ვითარება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ხოლო მესამე ნაწილი მოიცავს დასკვნას, სადაც განხილულია სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული და პოტენციური საფრთხეები და გამოწვევები და მათი წარმოქმნის სავარაუდო მიზეზები.

ვიმედოვნებთ, რომ დასკვნაში გამოთქმული მოსაზრება თავის მოკრძალებულ წვლის შეიტანს სამხრეთ კავკასიის რეგიონის შესახებ არსებულ ფართო აკადემიურ დებატებში.

საკვანძო სიტყვები: საგარეო პოლიტიკა, პოტენციური საფრთხეები და გამოწვევები, ტერმინი სამხრეთ კავკასია, საფრთხის წარმოქმნის მიზეზები.

SOUTH CAUCASUS AND GEORGIA: CURRENT THREATS AND CHALLENGES

SENIOR SERGEANT SERGO KANDELAKI
Major Assistant of Command Sergeant of the Defense Forces

ABSTRACT

Following research describes external politics of South Caucasian countries after dissolution of the Soviet Union and regaining independence. The research aims to pinpoint existing and potential threats and challenges in the South Caucasus region and based on the analysis of the external or foreign politics of South Caucasian countries identify the root causes of those threats and challenges.

The research is divided into three parts. First part or the introduction discusses the origin of the term South Caucasus and strategic importance of this region. Second part describes the environment in the South Caucasus region and external politics of its countries after regaining independence. Third part suggests a conclusion which covers identified potential root causes of the threats and challenges in the South Caucasus region.

Hopefully, this research will make its modest contribution to the academic debate in regards to the South Caucasus region.

Keywords: external politics, potential threats and challenges, term “South Caucasus”, root causes of threats.

შესავალი
ტერმინი „სამხრეთ კავკასია“

ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ სხვადასხვა წყაროებში ასევე მოიხსენიება როგორც ამიერკავკასია. ამ ფაქტის ახსნისას თავის წიგნში რევაზ გაჩეჩილაძე[1] მიდის დასკვნამდე, რომ როგორც წესი, გეოგრაფიული ტერმინები ინერციულია და მიუხედავად მათი შეცვლის შემდგომაც კიდევ დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენება სხვადასხვა სახელმძღვანელოებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში. ტერმინი „ამიერკავკასია“ გამომდინარეობს რუსული „ЗАКАВКАЗЬЕ”-დან, რაც კავკასიონის გაღმა მდებარე რეგიონის აღსანიშნავად გამოიყენებოდა როგორც რუსეთის იმპერიაში, ასევე მოგვიანებით საბჭოთა კავშირშიც. ამის ნათელი მაგალითი შეიძლება ვიპოვოთ საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოჭრის შედეგად მოხდა საქართველოს გასაბჭოება. უფრო მოგვიანებით საქართველო, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად შევიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შემადგენლობაში ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელით, რითაც შეიძლება იმის დადასტურება, რომ ტერმინს „ამიერკავკასია“ რუსული ფესვები აქვს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს ტერმინი არასწორია, რადგან თუ კი მოსკოვიდან შევხედავთ, ეს რეგიონი შესაძლებელია ჩაითვალოს კავკასიონის გაღმა რეგიონად, მაგრამ თუ კი, მაგალითად, თეირანიდან შევხედავთ, იგი კავკასიონის გამოღმა რეგიონად ჩაითვლება. ბოლო პერიოდის განმავლობაში როგორც ქართულ, ასევე უცხო ქვეყნების მეცნიერებაში ეს რეგიონი მიოხსენიება სამხრეთ კავკასიის სახელით, რაც გეოგრაფიული თვალსაზრისით ზუსტია. თუმცაღა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთის ფედერაციაში ამ რეგიონს კვლავ „ЗАКАВКАЗЬЕ”-დ მოიხსენიებენ.

რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა

სამხრეთ კავკასიის რეგიონი, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა დიდი სახელმწიფოსათვის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. რაც გამოიხატებოდა ამ სახელმწიფოთა მიერ სამხრეთ კავკასიის რეგიონის დაპყრობებისა და რეგიონში მცხოვრებ ხალხთა დამორჩილების მცდელობებში. შუა საუკუნეების პერიოდში ასეთი სახელმწიფოების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ირანი, ბიზანტია, ოსმალეთი, ხოლო უფრო მოგვიანებით რუსეთის იმპერია და საბჭოთა კავშირი.

დღესაც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონს არ დაუკარგავს თავისი აქტუალურობა საერთაშორისო ასპარეზზე. ამ რეგიონში თავისი გავლენის გავრცელებას ცდილობენ სხვადასხვა სახელმწიფოები. ამასთანავე უნდა ავღნიშნოთ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსაც, რა თქმა უნდა, ასევე გააჩნიათ საკუთარი ინტერესები და სწორედ ამ ინტერესების გათვალისწინებით ეს სახელმწიფოები ცდილობენ მათთვის ყველაზე შესაფერისი სტრატეგიული პარტნიორების შერჩევასა და მიზანმიმართული საგარეო პოლიტიკის გატარებას.

ვითარება სამხრეთ კავკასიის რეგიონში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში, უკვე მეორედ ამ საუკუნეში, უმძიმეს პირობებში იწყება დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იყო. ვითარებას ასევე ამძაფრებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გაჩაღებული სისხლიანი კონფლიქტები, რასაც შედეგად მოყვა საქართველოს

1 გაჩეჩილაძე რევაზი, ახლო აღმოსავლეთი. თბილისი: ბაკურ სულაკაური, 2018.

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომმა გამოიწვია პოლიტიკური სისტემისა და სახელმწიფო სტრუქტურების რღვევა თითქმის ყველა დონეზე. ამ პერიოდში ქვეყანაში არსებული, მაგრამ გაუმართავი და არაეფექტური სამართლებრივი სისტემის, ხელისუფლებისადმი ნდობის არარსებობისა და ქაოტური ვითარების გამო, დიდ პრობლემას წარმოადგენდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა დიდი ნაწილის სამართლებრივი რეგულირება, რის შედეგადაც პრაქტიკულად არ არსებობდა ადამიანის უფლებების პატივისცემისა და მათი დაცვის გარანტიები. ასეთ პირობებში მიმდინარეობდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების გააზრება და მისი ჩამოყალიბება.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში ეტაპობრივად იწყება საგარეო პოლიტიკის შემუშავება და შემდგომ მისი გატარება. ამ კუთხით შესაძლებელია საქართველოს საგარეო პოლიტიკაში სამი მნიშვნელოვანი ეტაპის გამოყოფა . პირველი ეტაპი იწყება საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების შედეგად ხელისუფლებაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოსვლით და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით და გრძელდება 1992 წლამდე. მეორე ეტაპი, საქართველოში მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლას და საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას ემთხვევა და 2003 წლამდე გრძელდება. მესამე ეტაპი 2003 წლის ნოემბერში საქართველოში განხორციელებული „ვარდების რევოლუციის" შედეგად ხელისუფლებაში საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოსვლით იწყება.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პირველი ეტაპი

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოს საგარეო პოლიტიკას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავდა. ამ ფაქტორებს შორის შესაძლებელია სამი ძირითადის გამოყოფა. პირველი ფაქტორი, თავად ზვიად გამსახურდია და მისი დამოკიდებულება როგორც საგარეო, ასევე შიდა პოლიტიკისადმი. მეორე, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური ვითარება. მესამე, საქართველოსათვის იმ პერიოდში არასასურველი გეოპოლიტიკური რეალობა, რომლიც მთავარი განმსაზღვრელი საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, რუსეთის ფედერაცია იყო. ხაზგასასმელია ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ამ პერიოდში საქართველო ჯერ კიდევ არ არის აღიარებული დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ საერთაშორისო საზოგადოების მიერ. მიუხედავად ქვეყანაში არსებული უამრავი შიდა პრობლემის და გამოწვევისა, საქართველოს ხელისუფლება იწყებს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრას. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანით საქართველოს ხელისუფლების მცდელობა გათავისუფლებულიყო რუსეთის გავლენისაგან და საერთაშორისო სივრცეში სხვა სახელმწიფოთა მხარდაჭერა მოეპოვებინა. აღსანიშვავია, რომ 1991 წლის დეკემბრის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა ყოფილ „მოძმე" სახელმწიფოებში თავისი გავლენის შენარჩუნება, რასაც იგი სხვადასხვა გზებით ცდილობდა. საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ცვლილების წარმოჩენისათვის შესაძლებელია ავღნიშნოთ ზვიად გამსახურდიას უარი რუსეთის ფედერაციის მიერ შექმნილ დამოუკუდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე. იგი უფრო შორს წავიდა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს საგარეო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად და ზოგადად ამ სახელმწიფოს მხარდაჭერის მოპოვების მიზნით 1990 წლის მარტში ვაშინგტონში თავისი წარმომადგენელი გაგზავნა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მეორე ეტაპი

1991 წლის ბოლოს, უკიდურესად გამწვავებული პოლიტიკური დაპირისპირების ვითარებაში ხდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ვადამდე ადრე ფაქტობრივი შეწყვეტა.

იქმნება სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა. მოგვიანებით ხელისუფლებაში მოდის საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. საწყის ეტაპზე ედუარდ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში თითქმის არ განსხვავდებოდა მისი წინამორბედის საგარეო პოლიტიკისაგან. მიუხედავად ამისა, ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნდა, რომ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზაცია საქართველოს ინტერესებშიც შედიოდა. მიუხედავად ამისა, საწყის ეტაპზე საქართველოს მეორე პრეზიდენტიც უარს აცხადებდა საქართველოს გაწევრიანებაზე დამოუკუდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. იგი ასევე მოითხოვდა საქართველოდან რუსული ჯარების კონტინგენტის გაყვანას. თუმცა შემდგომში შევარდნაძე ცვლის საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსს, რაც სხვადასხვა ფაქტორებით იყო გამოწვეული. სავარაუდოა, რომ საქართველოს ხელისუფლების მცდელობებს თავი დაეღწია რუსეთის ფედერაციის გავლენას რუსეთმა დაუპირისპირა საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებში სეპარატისტების მხარდაჭერა. შექმნილ პირობებში შევარდნაძე დასავლეთის მხარდაჭერას მოელოდა. მას შემდეგ, რაც დასავლეთიდან მხარდაჭერა ვერ მიიღო, 1993 წლის 27 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძე რუსეთის პრეზიდენტს, ბორის ელცინს უგზავნის ტელეგრამას, რომელშიც იგი თანხმობას აცხადებს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე, რასაც შემდეგ მოყვა საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯარების განთავსება. 1995 წლიდან სამხრეთ კავკასიაში ვითარება მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის. თუ მანამდე ამ რეგიონში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა ნაკლებად იზღუდებოდა, 1995 წლიდან მას დასავლეთის ქვეყნების[2] სახით სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი კონკურენტი გამოუჩნდა.

1995 წლიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება, რაც განპირობებული იყო იმ პერიოდში საქართველოში ახალი კონსტიტუციის მიღებით. საქართველოს ახალი კონსტიტუცია ნათლად ასახავდა ქვეყნის დასავლეთზე ორიენტირებულ საგარეო კურსს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონსტიტუციის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დასავლეთის სახელმწიფოების სხვადასხვა ექსპერტს[3]. ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში საქართველოში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია[4] და სემინარები. ასევე მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა ვენეციის კომისიასთან. 1995 წლის თებერვალში ედუარდ შევარდნაძე ახორციელებს ვიზიტს დიდ ბრიტანეთში, რომლიც ფარგლებში იგი ხვდება დიდი ბრიტანეთის დედოფალს და მის პრემიერ-მინისტრს. ასევე საქართველო ააქტიურებს ურთიერთობებს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან. საქართველო ასევე ერთვება პროგრამაში პარტნიორობა მშვიდბისათვის[5], მოგვიანებით კი, საქართველო ევროპის საბჭოს წევრი ხდება. 2002 წლის ნოემბერში პრაღაში ნატო-ს სამიტზე შევარდნაძე საჯაროდ აცხადებს საქართველოს სურვილს გაწევრიანდეს ნატოში.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მესამე ეტაპი

2003 წლის ნოემბერში საქართველოში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციის შედეგად, რომელიც ისტორიაში ცნობილია როგორც „ვარდების რევოლუცია“, ედუარდ შევარდნაძე ტოვებს მის პოსტს. 2004 წელს საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, საქართველოს პრეზიდენტი გახდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი. პირველ ეტაპზე ახალმა ხელისუფლებამ გამოთქვა მზაობა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის.

---

2 მთავარ კონკურენტს უპირველესყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა.

3 კონსტიტუციის პროექტზე საკმაოდ დიდ ხანს იმუშავა კანადელმა ექსპერტმა ჯონ უაიტმა.

4 1993 წლის 19 აპრილს ფრაიბურგის ფედერალიზმის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით, თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. ადამიანის უფლებები“.

5 ნატოს პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენს ნატოსა და ევროპის სხვა ქვეყნებს შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში იწყება მასშტაბური რეფორმები სხვადასხვა სფეროებში როგორიცაა თავდაცვა და უსაფრთხოება, განათლება, ეკონომიკა, მართლმსაჯულება, სოციალური საკითხები და კიდევ სხვა. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში, მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს პოლიტიკა არ იქნებოდა არც პრორუსული და არც პროდასავლური, არამედ ის იქნებოდა პროქართული. ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა ასევე ორიენტირებული იყო დასავლეთთან ინტეგრაციაზე და დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვებაზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა მოხდა. 2004 წელს საქართველო შეუერთდა ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას (Individual Membership Action Plan), რამაც კიდევ უფრო დაახლოვა საქართველო მის სტრატეგიულ მიზანთან, რომელსაც ნატოში გაწევრიანება წარმოადგენდა. აღსანიშნავია ასევე შემდგომში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ორიენტირებულია საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარებაზე, მის მოდერნიზაციაზე და ნატოსთან თავსებადობისა და საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე. ამის მაგალითია 2015 წელს საქართველოში ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის7 დაფუძნება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლიდან საქართველოში ტარდება მრავალეროვნული სამხედრო სწვავლება „NATO-Georgia Exercise", რომელიც ხორციელდება ქართული მხარის ხელმძღვანელობით. დღესაც საქართველო აგრძელებს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების მიზნით. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2017 წელს დადებული ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირმა საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი დააწესა. 2014 წელს ნატო-ს უელსის სამიტზე საქართველომ, თავდაცვისა და უსაფრთხოების აღმშენებლობის ინიციატივის ფარგლებში, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი მიიღო.

აზერბაიჯანი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში ასევე შესაძლებელია გამოიყოს სამი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლებიც აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავებულია. პირველი, 1992-1993 წლები, ემთხვევა აზერბაიჯანის პრეზიდენტის აბულფაზ ელჩიბეის მმართველობას. მეორე ეტაპი იწყება ჰეიდარ ალიევის პრეზიდენტობით და 2003 წლამდე გრძელდება. და მესამე, 2003 წლიდან ხელისუფლებაში ილხამ ალიევის მოსვლას ემთხვევა და დღემდე გრძელდება.

აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის პირველი ეტაპი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აზერბაიჯანის ხელისუფლებაში მოდის საბჭოთა კომუნისტური პარტიის ყოფილი პირველი მდივანი აიაზ მუთალიბოვი, რომელიც პრორუსული პოლიტიკის გატარებით ხასიათდებოდა. თუმღა მთიან ყარაბაღში აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიქტის პერიოდში განვითარებული მოვლენების შედეგად, 1992 წელს იგი გადადგა. ამავე წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტად აირჩიეს სახალხო ფრონტის ლიდერი აბულფაზ ელჩიბეი. ელჩიბეიმ მოსვლისთანავე აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად თურქეთთან დაახლოება დასახა, რამაც გამოიწვია რუსეთის ფედერაციის და ირანის გაღიზიანება. იგი ასევე ეწინააღმდეგებოდა აზერბაიჯანის გაწევრიანებას დამოუკუდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. ამასთანავე, მის მმართველობის პერიოდს ემთხვევა აზერბაიჯანის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა. აზერბაიჯანი იყო პოსტსაბჭოთა სივრცის პირველი სახელმწიფო, რომელმაც შეძლო რუსეთის ჯარების გაყვანა თავისი ტერიტორიებიდან. ირანის გაღიზიანების ერთ-ერთ მიზეზად ასევე შეიძლება დასახელდეს ელჩიბეის განცხადებები „გაყოფილი აზერბაიჯანის" გაერთიანების შესახებ, რომელიც ირან-აზერბაიჯანის სადავო ტერიტორიების შესახებ საკითს წინა პლანზე აყენებდა. შედეგად, ირანმა აზერბაიჯანი მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მნიშვნელოვან

საფრთხედ აღიქვა. შესაძლებელია, რომ ამ გარემოებამ დიდი როლი ითამაშა ირანის მიერ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთის პოზიციების გაზიარებით. ამის კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ირან-აზერბაიჯანის დავა კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის საკითხის შესახებ. ელჩიბეის პროთურქული ორიენტაცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ მას თურქეთი დასავლეთთან დამაკავშირებელ ხიდად მიაჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა აღიარა. ქვეყანაში შექმნილი კრიზისული ვითარების გამო, რაც გამოწვეული იყო ერთი მხრივ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში წარუმატებლობით, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყანაში პოზიტიური შედეგის მომტანი რეფორმებისა და საგარეო პოლიტიკის ვერგანხორციელების შედეგად, 1993 წლის ივნისში ელჩიბეი ჩამოშორდა ხელისუფლებას.

აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის მეორე ეტაპი

1993 წლის ივლისში ელჩიბეის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ მის ადგილს იკავებს ყოფილი საბჭოთა კომუნისტური პარტიის ლიდერი ჰეიდარ ალიევი. ალიევმა, მის წინამორბედთან შედარებით, უფრო პრაგმატული საგარეო პოლიტის გატარება დაიწყო. რას გამოიხატებოდა რუსეთის ფედერაციასთან და ირანთან ურთიერთობების ნორმალიზების მცდელობებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 1993 წლის სექტემბერში ალიევი ახორხიელებს ვიზიტს მოსკოვში, სადაც ხელს აწერს აზერბაიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებაზე. ამ ნაბიჯის გადადგმა უკავშირდება ალიევის მოსაზრებას, რომ მოგვიანებით რუსეთი მას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაეხმარებოდა. მიუხედავად ამ გადადგმული ნაბიჯისა, ალიევს არ სურდა ქვეყნის რუსული გავლენის ქვეშ დაბრუნება, რაც გამოიხატა არამარტო რუსეთთან სხვადასხვა სამხედრო ხელშეკრულებების გაფორმებაზე უარის განცხადებით, აზერბაიჯანულმა მხარემ ასევე უარი განაცხადა რუსული ჯარების საკუთარ ტერიტორიაზე შემოყვანაზე. ალიევმა არ მიიღო რუსეთის წინადადება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში რუსული სამშვიდობო ძალების შემოყვანის შესახებ. მან ასევე სცადა ურთიერთობების ნორმალიზება ირანთან. ამ ურთიერთობების გაუმჯობესების პირველ ნიშნად 1993 წლის ოქტომბერში ბაქოში ირანის პრეზიდენტის რაფსანჯანის ვიზიტი იქცა, რის შედეგადაც ორ სახელმწიფოს შორის სხვადასხვა ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. მომდევნო წელს ამ შეხვედრას მოყვა ალიევის საპასუხო ვიზიტი თეირანში. თუმცა მოგვიანებით ურთიერთობა ირანსა და აზებაიჯანს შორის კვლავ დაიძაბა და პიკს 2001 წელს მიაღწია, როდესაც ირანის საბრძოლო გემებმა იერიში მიიტანეს აზერბაიჯანულ ხომალდზე, რომელიც კვლევით სამუშაობებს ასრულებდა კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში. ამ დაძაბული ვითარების ფონზე, ალიევი ააქტიურებს დიპლომატიურ ურთიერთობებს დასავლეთთან, რის შედეგადაც, აზერბაიჯანი იწყებს აქტიურ თანამშრომლობას ნატოსთან. 1994 წელს იგი ასევე ერთვება ნატო-ს პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამაში. ხოლო 2000 წელს აზერბაიჯანი ევროპის საბჭოს წევრი გახდა.

ჰეიდარ ალიევის პრაგმატულმა საგარეო პოლიტიკამ, რომელიც ორიენტირებული იყო, როგორც რუსეთთან და ირანთან, ასევე დასავლეთთან ურთიერთობების დაბალანსებაზე საბოლოო ჯამში უკეთეს შედეგემაბდე მიიყვანა აზერბაიჯანი. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ჰეიდარ ალიევი იძულებული გახდა გადამდგარიყო, რის შემდეგაც 2003 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა მისვა ვაჟმა ილჰამ ალიევმა და აზერბაიჯანის მომდევნო პრეზიდენტი გახდა.

აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის მესამე ეტაპი

ილჰამ ალიევის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა მისი წინამორბედისაგან. აზერბაიჯანის მოქმედი პრეზიდენტი საკმაოდ აქტიურ თანამშრომლობას ახორციელებს ისეთ სახელმწიფოებთან, როგორიცა თურქეთი

და ამერიკის შეერთებული შტატები. აზერბაიჯანი მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას იღებს როგორც თურქეთისაგან, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. მათი თანამშრომლობა გამოიხატება ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარებაშიც. ისევე როგორც მისი წინამორბედი პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება აზერბაიჯანისათვის სასურველი შედეგების მიღწევით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარების მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო. ვითარება უკიდურესად დაიძაბა 2020 წელს, როდესაც საბრძოლო მოქმედებებმა ფართო მასშტაბები მიიღო. აღნიშნულ საბრძოლო მოქმედებებში აზერბაიჯანმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა, ამ უპირატესობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად შესაძლებელია მივიჩნიოთ აზებაიჯანის მიერ უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც აზერბაიჯანული მხარე ზუსტ წერტილოვან დარტყმებს ახორციელებლა მოწინააღმდეგის სამხედრო ტექნიკასა და ობიექტებზე. ამ დარტყმებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სომხურ მხარეს, რაც აისახა როგორც ცოცხალი ძალის, ასევე ტექნიკის მნიშვნელოვან დანაკარგებში.

სომხეთი. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ სომხეთის საგარეო პოლიტიკა პირობითად იყოფა სამ ეტაპად. პირველი ეტაპი იწყება 1991 წლიდან ლევონ ტერ პეტროსიანის და სომხეთის ეროვნული მოძრაობის მმართველობით, რომელიც 1998 წლამდე გაგრძელდა. მეორე ეტაპია, როდესაც სომხეთის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი ხდება და 2008 წლის აპრილამდე გრძელდება. მესამე პერიოდი ემთხვევა 2008 წელს სერჟ სარქისიანის მთავრობის მოსვლას ხელიფუფლებაში და 2018 წლამდე გრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წელს სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა რუსეთის ფედერაციასთან კეთილმეზობლური და თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებით გამოირჩევა.

სომხეთის საგარეო პოლიტიკის პირველი ეტაპი

ლევონ ტერ პეტროსიანის ხელიფუფლების აზრით, სომხეთ-თურქეთის საგარეო ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის ხელი არ უნდა შეეშალა ამ ორ სახელმწიფოს შორის მძიმე ისტორიულ გამოცდილებას. სომხეთის მაშინდელი ხელიფუფლების ასეთ მოსაზრებას შემდეგი ფაქტორები ედო საფუძვლად: (1) თურქეთი სომხეთის მეზობელი დიდი სახელმწიფოა, რაც გულისხმობს იმას, რომ სომხეთმა მასთან შეთანხმებას უნდა მიაღწიოს; (2) თანამედროვე თურქეთი დიდად განსხვავდება ოსმალთა იმპერიისაგან და განსხვავებული მიზნები აქვს. (3) თანამედროვე თურქეთი გაემიჯნა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის იდეებს და ევროპული ორიენტაცია აიღო. ზემოთაღნიშნული ფაქტორები სავსებით გასაზიარებელია და მათ ასევე შეიძლება დავუმატოთ ის მოსაზრებაც, რომ სომხეთის მთავრობისათვის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე საკმაოდ მომგებიანი იყო თურქეთთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების შენარჩუნება რაც თავის თავში ასევე გულისხმობდა თურქეთის მეშვეობით ევროპასთან დაკავშირებას. თუმცაღა, სომხეთში ასევე დიდი გავლენა ჰქონდა იმ მოსაზრებას, განსაკუთრებით სომხური დიასპორის მხრიდან, რომ თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მას შემდეგ რას ეს უკანასკნელი აღიარებდა სომეხთა გენოციდს. მიუხედავად ორივე სახელმწიფოს მხრიდან ურთიერთობების დარეგულირების მცდელობებისა, ამ ქმედებებს მნიშვნელოვანი წარმატებები არ მოჰყოლია. თურქეთისაგან განსხვავებით, სომხეთმა მეგობრული ურთიერთობები ირანთან დაამყარა. სომხეთმა ასევე გააქტურა ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან. რუსეთ-სომხეთის ურთიერთობები თავიდანვე პოზიტიურად განვითარდა. ქვეყნის ხელიფუფლებას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში მის ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ სწორედ რუსეთის ფედერაცია მიაჩნდა. ამ მხარდაჭერის იმედით, სომხეთი შეუერთდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას. რასაც შემდგომში მოყვა რუსეთის

მხრიდან მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარების აღმოჩენა. უფრო მოგვიანებით კი ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც რუსეთის ფედერაცია ვალდებულებას იღებდა, სამხედრო ძალის გამოყენებით, სომხეთის საგარეო საფრთხისგან დაცვას.

სომხეთის საგარეო პოლიტიკის მეორე ეტაპი

1997 წელს ქვეყანაში შექმნილი შიდა პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად მოხდა ლევონ ტერ პეტროსიანის გადადგომა და მისი ადგილი დაიკავა მთიანი ყარაბაღის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ქოჩარიანმა. რობერტ ქოჩარიანის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, სომხეთის საგარეო პოლიტიკაში საწყის ეტაპზე ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. იმ პერიოდში გავცრელებული მოსაზრების თანახმად, ქოჩარიანს უფრო რადიკალური ზომები უნდა მიეღო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად, თუმცა ქოჩარიანს ასეთი სახის ზომები არ მიუღია. სომხეთის საგარეო პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები შეიძლება დავინახოთ ახალი ადმინისტრაციის მიერ რადიკალურ-ნაციონალისტურად განწყობილი პარტიის „დაშნაკტიუცუნის“[6] ლეგალიზაციაში, რაც სომხეთ-თურქეთის შემდგომი ურთიერთობების გართულებაზეც მიანიშნებდა. რაც შეეხება სომხეთირანის ურთიერთობას, 2002 წელს ირანისა და სომხეთის თავდაცვის მინისტრებმა წამოიწყეს საუბარი სამხედრო სფეროში თანამშორმლობის შესახებ. ქოჩარიანის მმართველობის პერიოდში მოხდა რუსეთ-სომხეთის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური მიმართულებით. გახშირდა ამ ორ სახელმწიფოთა შორის ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარება, ასევე რუსეთის ფედერაციას სომხეთის სამხედრო ბაზების გამოყენების უფლება მიეცა. ამავე შეთახმბების ფარგლებში ხორციელდებოდა სომხეთის ჯარის გაწვრთნა და მოდერნიზაცია რუსეთის ფედერაციის მიერ. ეკომომიკური ურთიერთობების გაღრმავების შედეგად, გაიზარდა სომხეთის დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციაზე როგორც ენერგომომარაგების, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ქოჩარიანის მმართველობის პერიოდი სომხეთის საგარეო პოლიტიკაში რუსეთის ფედერაციასთან მნიშვნელოვანი თანამშრომლობითი და კეთილმეზობლური ურთიერთობებით გამოირჩევა.

სომხეთის საგარეო პოლიტიკის მესამე ეტაპი

2008 წელს სომხეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოდის სერჟ სარქისიანი. მისი მმართველობის პერიოდი გამოირჩევა სომხეთის შედარებით დაბალანსებული საგარეო პოლიტიკით. მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა სომხეთის გენოციდის აღიარება საერთაშორისო საზოგადოების მიერ. აღსანიშნავია 2008 წელს ნიუ იორკში მისი გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 63-ე სხდომაზე, სადაც მან რუსეთ-საქართველოს კონფქლიქტში გაეროს ჩართულობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. მან ასევე ხაზი გაუსვა აზერბაიჯანის მილიტარიზაციის პროცესს და ეს ფაქტი სამხეთ კავკასიაში პოტენციური საომარი რიტორიკის გაზრდის მიზეზად დაასახელა. სერჟ საქრისიანის პრეზიდენტობის პერიოდში სომხეთ-რუსეთ შორის გრძლელდება პრაგმატული საგარეო ურთიერთობების პრაქტიკა. თუმცაღა, აქვე უნდა აღინიშნოს რომ, სომხეთმა პარალელურად გააქტიურა საგარეო ურთიერთობები დასავლეთთანაც. დღის წესრიგში დადგა სომხურ-ამერიკული სამხედრო სწავლების ჩატარების საკითხიც. ასევე სომხური ჯარის კონტინგეტის მონაწილეობა ნატოს ეგიდით განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციებში ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში.

სომხეთის მესამე პრეზიდენტის მმართველობა გამოირჩევა სომხეთის მიერ წარმოებული დაბალანსებული საგარეო პოლიტიკით როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ასევე მის გარეთ.

6 სომხეთის რევოლუციური პატრია, დაფუძნდა 1890 წელს, თბილისში.

დასკვნა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის სტრატეგიების გაანალიზების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საგარეო პოლიტიკა ცვალებადი პროცესია და ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსი განისაზღვრება სახელმწიფოში მმართველი პოლიტიკური რეჟიმის მიერ ან კონკრეტული პიროვნების და/ან პიროვნებათა მცირე ჯგუფის ხედვების თუ პოლიტიკური პრეფერენციების ანალიზით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული ვითარების გაცნობისას, ალბათ შენიშნავდით თუ როგორ იცვლებოდა პოლიტიკური ვითარება ხელისუფლების შეცვლასთან ერთად და თუ როგორ ხდებოდა ერთი კონკრეტული პიროვნება სრულიად სახელმწიფოს პოლიტიკის მთავარი არქიტექტორი. საზოგადოების დიდი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკური სტრატეგია უწინარესყოვლისა უნდა გამომდინარეობდეს ამ სახელმწიფოს ინტერესესებიდან. ამასთანავე, მასმედიაში, სოციალურ ქსელებში და მთავრობის მიერ გაკეთებულ განცხადებებში ხშირად ვაწყდებით ამ სიტყვებს „სახელმწიფო ინტერესები“ ან „სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით“. მაგრამ ვინ არის სახელმწიფო? ვინ განსაზღვრავს სახელმწიფო ინტერესებს? თუ საუბარი გვაქვს რესპუბლიკური მოწყობის სახელმწიფოებზე, როგორებიც არიან სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამივე სახელმწიფო, ასეთ სახელმწიფოებში ძალაუფლების მთავარ წყაროს წარმოადგენს ხალხი. თუ გავაკეთებთ დაშვებას, რომ სახელმწიფო არის წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპიპების გათვალისწინებით, კანონიერი არჩევნების ჩატარების შედეგად, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, მაშინ მივიღებთ პასუხს პირველ კითხვაზე და შესაბამისად, პირველი კითხვის პასუხიდან ასევე გამომდინარეობს პასუხი მეორე კითხვაზეც. გამოდის, რომ სახელმწიფო ინტერესებს, განსაზღვრავს ხელისუფლება. ახლა უნდა დავინტერესდეთ, მაგალითად, რამდენად დემოკრატიული, ავტოკრატიული თუ ტოტალიტარულია ეს ხელისუფლება, რადგან ამ ცვლადზე დაყრდობით შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი იმასთან დაკავშირებით როგორ პოლიტიკურ რეჟიმთან გვაქვს საქმე, ერთპიროვნულ ან ოლიგარქიულ თუ თანამედროვე დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ მმართველობასთან. თუ გავიხსენებთ, მაგალითად, როგორი მკვეთრი ცვლილება მოხდა აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში რუსეთის ფედერაციასა და ირანთან მიმართებით, მას შემდეგ რაც 1993 წლის ივლისში ელჩიბეის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, მისი ადგილი დაიკავა საბჭოთა კომუნისტური პარტიის ყოფილმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა. ამ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე, შესაძლებელია გავამყაროთ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ინტერესები პირდაპირ კავშირშია მმართველი პოლიტიკური რეჟიმის ინტერესებთან. შესაბამისად, არსებობს საფრთხე, რომ ხელისუფლებას ძალუძს საკუთარი ინტერესების სახელმწიფო ინტერესებად გასაღება, ხოლო ერთპიროვნული მმართველობის პირობებში კი, კონკრეტული მმართველის პირადი ამბიციები და ინტერესები ასევე შესაძლებელია წარმოჩენილ იქნას, როგორც სახელმწიფო ინტერესები. ასეთი სახის პოლიტიკური რეჟიმების საგარეო პოლიტიკის შედეგად მატულობს ამ სახელმწიფოთა სხვა სახელმწიფოებთან კონფლიქტში ჩართვის რისკი, რამაც შესაძლებელია ქვეყანა ან რეგიონი კატასტროფულ შედეგებამდე მიიყვანოს. უახლეს ისტორიაში სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებს ასეთი სახის მმართველობის გამოცდილება უკვე გააჩნიათ. მაშასადამე, ზემოთქმულის შეჯამების მიზნით, გვინდა ავღნიშნოთ, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ პოტენციურ საფრთხედ და გამოწვევად მიგვაჩნია სახელმწიფოში არადემოკრატიული ან მოჩვენებითი დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი ხელისუფლება. ჭეშმარიტ დემოკრატიულ ღირებულებზე დაფუძნებული ხელისუფლების მიერ საკუთარი ინტერესების სახელმწიფო ინტერესებად გასაღების რისკი ყველაზე მცირეა, იმ შემთხვევაშიც თუ ასეთი სახის მცდელობა ხელისუფლების მხრიდან იქნება, მისი სისრულეში მოყვანა გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, რადგან ასეთი

სახის რესპუბლიკებში, როგორც წესი, ხელისუფლების ძალაუფლება შეზღუდულია. იგი პროპორციულად არის გადანაწილებული ხელისუფლების შტოებს შორის, როგორიცაა საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. ძალაუფლების გადანაწილების ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება ერთპიროვნული მმართველობის დამყარების რისკი. არ შეიძლება სახელმწიფო ძალაუფლება ერთი პიროვნების ან პიროვნებათა მცირე ჯგუფის ხელში იყოს კონცენტრირებული, ასევე დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესებს არ შეიძლება წარმოადგენდეს სხვა სახელმწიფოსთან კონფლიქტში შესვლა ან ისტორიული კონფლიქტის გაღვივება, არამედ გარკვეული სადავო საკითხების არსებობის შემთხვევაში, ასეთმა ხელისუფლებამ ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს კონფლიქტური ვითარების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. თუმცაღა, თავდაცვითი ომის წარმოება ყველა სუვერენული სახელმწიფოს განუყოფელი უფლებაა, მათ შორის დემოკრატიულისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე, რევაზ. 2018. ახლო აღმოსავლეთი. ტომი I (მეოთხე გამოცემა). თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. გვალია, გიორგი. 2008. ძალთა წონასწორობა თუ საფრთხის წინასწორობა. თბილისი: ბთკკ პოლიტიკის კვლევის ჯგუფი.
2. დავითაშვილი, ზურაბ. 2001. მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია. თბილისი.
3. ჰეივუდი, ენდრიუ. 2008. პოლიტიკა. მესამე გამოცემა. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცმლობა. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. მთარგმენელები: გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭელიძე.
4. Heywood, Andrew. 2021. London. Red Globe Press.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
ტელეფონი: +995 32 2 30 52 85
ტელეფონი: +995 5 77 19 92 05
ელ. ფოსტა: nda@mod.gov.ge
ტირაჟი: 25

ISBN 978-9941-8-4587-1